# არ დაეკარგოს ამაგი, ვინაც სამშობლოს უკლისა.

ვაჟა ფშაველა.

პრეზიდენტი

## „მჯერა, თქვენი მხარდაჭერით ქართული საჭადრაკო სკოლა ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს"



— ასე მიმართა 12 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს კირსან ილუმჟინოვს, რომელსაც მსოფლიოში ჭადრაკის განვითარებასა და პოპულარიზაციაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, ქართული საჭადრაკო სკოლის თანადგომისა და ნაყოფიერი საქველმოქმედო, საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, საზეიმო ვითარებაში გადასცა „ოქროს საწმისის" ორდენი.

„მადლობას გიხდით არა მარტო პირადად ჩემი, არამედ ჩემი მცირერიცხოვანი ხალხის, ყალმუხებისა და ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელით, რომლის პრეზიდენტიც გახლავართ. მიხარია, რომ ამ ჯილდოს გადმომცემთ თქვენ, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი პოლიტიკოსი,"— აღნიშნა კირსან ილუმჟინოვმა და განაცხადა, რომ საქართველოს ქალთა ჭადრაკის მსოფლიო ცენტრად მიიჩნევენ.

ოფიციალური ცერემონიის შემდეგ, რომელსაც ქართული საჭადრაკო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, გაიმართა საუბარი. ყურადღება მიაპყრეს საქართველოს ჭადრაკის სამყაროში დღეს არსებულ ვითარებას.

საქართველოს პრეზიდენტმა სიამაყით ისაუბრა ქართველ მოჭადრაკე ქალთა ისტორიაზე, რომელმაც ჩვენს ქვეყანას მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი.

„მიხარია, რომ ბოლო პერიოდში ჩვენს ღირსეულ ქალბატონებს გვერდს უმშვენებენ ასევე სასახელო ქართველი მოჭადრაკე მამაკაცები,"— განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა და სტუმარს ქალთა მსოფლიო საჭადრაკო ჩემპიონატის საქართველოში გამართვის იდეა შესთავაზა.

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ისაუბრა ამ ორგანიზაციის გეგმებზე და აღნიშნა, რომ მომავალ წელს მისი დაარსების 80 წლისთავს აღნიშნავენ.

„ბედნიერი ვარ, რომ ფიდეს ხელმძღვანელ სტრუქტურებში პირველი ქართველი სწორედ ჩემი პრეზიდენტობის პერიოდში გამოჩნდა. ქართველი მოჭადრაკე, ევროპის ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი დღეს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია,"— განაცხადა სტუმარმა და დასძინა, რომ არც მომავალში დაიშურებს ძალისხმევას საქართველოს საჭადრაკო სკოლის ხელშეწყობისა და გაძლიერებისათვის.

შეხვედრაზე კირსან ილუმჟინოვმა საქართველოს მეთაურს გააცნო აგრეთვე მისი ქვეყნის — ყალმუხეთის ავტონომიური რესპუბლიკის ბოლოდროინდელი მიღწევები.

ედუარდ შევარდნაძემ გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოსა და ყალმუხეთს შორის დამყარდება მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა. მან კიდევ ერთხელ მიულოცა სტუმარს დამსახურებული ჯილდო და ახალი წარმატებები უსურვა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური.

კოლეგები

## „მირი" — პირველი გადაცემა თანამგზავრზე

სანამ თხრობას დავიწყებ ერთადერთი სახელმწიფოთაშორისო ტელერადიოკომპანიის შესახებ, ჩავუსხდეთ ცისფერ ეკრანებს და თვალი გადავავლოთ საეთერო პროგრამებს, სერიალებს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მოსაბეზრებელია დეტექტივების, ტერორისტული აქტების, ძალადობისა და ეროტიკული სცენების ცქერა. ამას გარდა, ხომ არსებობს სხვა რეალობაც, პარალელურად ხომ იმართება დღესასწაულები, შეხვედრები, იწერება ლექსები, მოთხრობები, შენდება სკოლები, იდგმება სპექტაკლები... თუმცა, გასაგებია, სატელევიზიო ეთერის ტექნოლოგია მოითხოვს უფრო სენსაციური, სკანდალური ინფორმაციების გაშუქებას, მაგრამ — რა სიხშირით? რა კუთხით?

იხ. მე-3 გვ.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ..."

„საქართველოს რესპუბლიკა" ინტერნეტში: http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელსა და სხვა ქვეყნებში.

# საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №244 (4623) შაბათი, 13 სექტემბერი, 2003 წელი. ფასი 50 თეთრი.

The Georgian Railway Ltd

საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

დერეფანი

## აბრეშუმის გზის მექარავნეები მალე საქართველოში იქნებიან

15 სექტემბერს ფოთში, დილის 10 საათზე შემოვა ქარავანი, რომელიც აბრეშუმის გზის გავლით ავღანეთში ჰუმანიტარულ ტვირთს ჩაიტანს. როგორც 12 სექტემბერს, სასტუმრო „თბილისი-მარიოტში" გამართულ ბრიფინგზე ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა განაცხადა, აქციაში, რომლის ორგანიზატორია გერმანული საავტომობილო ფირმა „დაიმლერ-კრაისლერი", მონაწილეობენ ტრასეკას პროექტის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი და ძირითადად ჟურნალისტები, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ტრასეკას პროექტის პოპულარიზაციისათვის.

ქარავანში შედის 12 ტრაილერი. ტვირთის საერთო მოცულობაა 220 ტონა.

საქინფორმი.

ვიზიტი

## ლიტვის პრეზიდენტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის უცხოელი საპატიო წევრი გახდა

ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი როლანდას პაქსასი საქართველოში ოფიციალური ვიზიტის მეორე დღეს — 12 სექტემბერს დილით ეწვია ვაკის პარკს და გვირგვინით შეამკო უცნობი ჯარისკაცის საფლავი. მეორე მსოფლიო ომის, ხალხმა მას დიდი სამამულო ომი რომ უწოდა, მრისხანე დღეებში ქართველი მებრძოლები თავიანთი სიცოცხლის ფასად იბრძოდნენ შიაულიაისა და ვილნიუსის, მოძმე ლიტვის მიწის გათავისუფლებისათვის, რომელიც ისევე ძვირფასი იყო ქართველებისათვის, როგორც მშობლიური მიწა-წყალი.

იხ. მე-3 გვ.



დღეს ჩარგალში ვაჟაობაა

## ვაჟას სურათზე მინაწერები



შენი სიტყვა ცასაც შვენის,
შვენის მიწის სიმართლეს,
იმ სანთელს ჰგავს
სიტყვა შენი,
სულს რომ მარად გვინათებს.

* * *

შენ გიგალობდა ჩარგულა,
ებანებოდა სვობა.
დღეს შენი ლექსის მზეობა
ამზევებს კაცთა ზნეობას.
სულის უქრობელ მზეობით
ბევრს უწევ მეტოქეობას.

* * *

ვაჟას სიცოცხლის ქარ-წვიმა,
სიმღერაა თუ ტირილი,
ზეცაში დაჰქრის არწივად,
ზღვაზე მიცურავს ტივივით.

* * *

შენი ფიქრი ცის და მიწის
სიდის ბურჯად ვიცან.
შენი ამოთქმული ფიქრი
უკვდავებად მწამს.
დიდი იყო შენი ფიქრის
მოზურმუხტე მიწა,
დიდი იყო შენი ფიქრის
ლაჟვარდგულა ცა.

აკაკი გეწაძე.

წინ, საქართველო!

## დღეს თუ არა, ხვალ მაინც...

პაკისტანელები რვაათასიან მწვერვალ „K-2"-ს (8611) „ჩოგორის" ეძახიან, ალპინისტებმა კი „მთაქილერი" შეარქვეს და არცთუ უსაფუძვლოდ: მასზე ამსვლელი ყოველი მეოთხე ადამიანი დაიღუპა. სულ ამ მწვერვალზე 190-მდე კაცს თუ დაუდგამს ფეხი. ეს მაშინ, როცა მსოფლიოს უმაღლეს ცათამბჯენ ევერესტზე მარტო წლეულს 240 ალპინისტი ავიდა, სულ კი ამ თვალშეუდგამი სიმაღლიდან 1400 კაცს გადმოუხედავს დედამიწისთვის.

„ჩოგორი" — დღემუდამ თოვლიან-ყინულიანი, ასეთი სტუმართმოყვარე არ არის. ბოლო ორი წლის განმავლობაში „K-2"-ზე 18 ექსპედიცია მოეწყო და ვერც ერთმა ადამიანმა ვერ შეძლო მისი დამორჩილება.

იხ. მე-11 გვ.



გია თორთლაძე K-2-ის მისადგომებთან.

გიხაროდეთ!

## ოჯახის სიხარული

ექიმმა-სტომატოლოგმა გურანდა რუხაძემ და ეკონომისტმა გიორგი კაციტაძემ ამ ერთი წლის წინათ შექმნეს ოჯახი. ამ დღეებში მათ პირველი შვილის შეძენის სიხარულიც ეწვიათ. 3 სექტემბერს სამეანო-გინეკოლოგიურ კლინიკა „ბიბიდაში" შეეძინათ ბიჭი დავითი. ბიჭი გოლიათი დაიბადა — 5 კილო და 300 გრამი.



დავითი მეორე შვილიშვილია ამ სამკურნალო კომბინატის აფთიაქის პროვიზორ ლია ბარაბაძისათვის. ბიჭის შეძენამ ოჯახი სიხარულით აავსო.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

ინფორმაცია

### „თელასი" ზამთრისთვის ემზადება

თბილისის მოსახლეობის ელექტრომომარაგების საიმედოდ უზრუნველსაყოფად „თელასმა" ზამთრისათვის მზადება დაიწყო. თბილისის ელექტროქსელის სარემონტო სამუშაოებისა და „ეი-ი-ეს მტკვრის" მე-9 ენერგობლოკის ზამთრისთვის მომზადების მიზნით კომპანიამ 2 მილიონ ლარზე მეტი გამოყო.

როგორც „ინტერ-პრესს" „ეი-ი-ეს თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში აცნობეს, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან" მიღწეული შეთანხმების მიუხედავად, თბილისის ელექტრომომარაგებაში შეზღუდვები გრძელდება.

### ვისი პროდუქციაა საუკეთესო?

საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე საუკეთესოდ მიჩნეული პროდუქცია, რომელსაც ფონდ „ქართული ხარისხის" ნიშანდება მიენიჭება, 22 სექტემბერს გახდება ცნობილი.

ამჟამად ფონდი „საქსტანდარტთან" და ანტიმონოპოლიურ სამსახურთან ერთად სამომხმარებლო ბაზარზე არსებული პროდუქციის ლაბორატორიულ კვლევას აწარმოებს, ხარისხის შემოწმების შემდეგ კი პროდუქციის შეფუთვას შეისწავლის.

ფონდ „ქართულ ხარისხში" მიიჩნევენ, რომ საუკეთესო პროდუქციისათვის ხარისხის ნიშნის მინიჭება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ხარისხიანი პროდუქციის წარმოებასა და ქართულ ბაზარზე საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრებას.

### შინაგანი ჯარის ტრადიციული ზეიმი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანმა ჯარმა დაარსების 12 წლისთავი აღნიშნა.

იუბილეს ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი კობა ნარჩემაშვილი, შინაგანი ჯარის სარდალი გია შერვაშიძე და სხვა ოფიციალური პირები.

12 წლის იუბილესთან დაკავშირებით გაიმართა საზეიმო მარში, რის შემდეგაც შინაგანი ჯარების კლუბში საიუბილეო საღამო მოეწყო.

### დევნილთა ყრილობა ზუგდიდში გაიმართება

გალის რაიონიდან დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციების ყრილობა სექტემბრის ბოლოს ზუგდიდში გაიმართება.

პარტიზანული მოძრაობა „ტყის ძმების" მეთაურის დავით შენგელიას განმარტებით, სექტემბრის შუა რიცხვებისათვის დანიშნული ყრილობა საორგანიზაციო პრობლემების გამო სექტემბრის ბოლოსათვის გადაიდო და თვის ბოლოს ზუგდიდში აუცილებლად გაიმართება.

ზუგდიდში მოქმედი დევნილთა შტაბის წევრის ვახტანგ გამსახურდიას განცხადებით, ყრილობა, რომელიც საზოგადოებრივი მოძრაობების „გალის", „სამურზაყანოსა" და ზუგდიდში მოქმედი დევნილთა პოლიტიკური ორგანიზაციების შტაბის ინიციატივით დაიგეგმა, შეეცდება, აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად გალის რაიონიდან დევნილი მოსახლეობის კონსოლიდირება მოახდინოს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: ინტერ-პრესმა, საქინფორმმა.

არჩევნების წინ

## სახელისუფლებო ბლოკში არავითარი დაპირისპირება არ არსებობს



ყოველი სამუშაო დღე უაღრესად დატვირთული და დაძაბულია დედაქალაქის მერის ცხოვრებაში. უამრავი მომსვლელ-მომსვლელი, მოზღვავებული პრობლემები ბატონი ვანო ზოდელავასგან დიდ ენერგიასა და ყურადღებას მოითხოვს.

ყველასათვის ცნობილია, რომ არჩევნების დროს განვითარებულ მოვლენათა ეპიცენტრი მუდამ დედაქალაქია ხოლმე. ასე იქნება წლეულსაც. თანაც, ამ საპასუხისმგებლო კამპანიას სულ რამდენიმე დღით უსწრებს ტრადიციული „თბილისობის" დღესასწაული, რაც ორმაგ დატვირთვას მოითხოვს მისგან...

იხ. მე-3 გვ.

უკანასკნელ საათს

ლონდონის სასამართლომ შეწყვიტა ოლიგარქ ბორის ბერეზოვსკის რუსეთში ექსტრადიციის საქმის განხილვა. მილიონერმა ბერეზოვსკიმ საბოლოოდ დაიმკვიდრა პოლიტიკური დევნილის სტატუსი და მოხერხებულად გააცუცურაკა რუსეთის ადმინისტრაციული (და არა მარტო ადმინისტრაციული) ორგანოები.



ამერიკის შეერთებულ შტატებში სტალინის შვილიშვილს გადასცეს დოკუმენტების ასლი, რომლითაც დგინდება, რომ იაკობ ჯუღაშვილი ნაცისტებმა საკონცენტრაციო ბანაკიდან გაქცევის მცდელობისას მოკლეს. გაქცევა მან მაშინ სცადა, როცა შეიტყო, რომ მამამისი ჯარისკაცს ფელდმარშალ პაულიუსზე არ ცვლიდა.



ამინდი დღეს

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +14, დღისით +22 |
| ბათუმი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +16, დღისით +24 |
| სოხუმი | — ცვ. მოღრ. წვიმა. | ღამით +15, დღისით +23 |
| ფოთი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +15, დღისით +23 |
| ქუთაისი | — მცირე მოღრ. უნალექოდ. | ღამით +14, დღისით +22 |
| გორი | — ცვ. მოღრ. წვიმა. | ღამით +13, დღისით +20 |
| თელავი | — ცვ. მოღრ. უნალექოდ. | ღამით +14, დღისით +21 |

ლარის კურსი

13 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.4151 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1429 | ლარი |
| ევრო | 1 | 2.3962 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0699 | ლარი. |

გვირეკავენ, გვეკითხებიან

— ვარ 67 წლის, მაქვს 30 წლის შრომის სტაჟი, მაგრამ უკანასკნელი 2 წელია არ მიმუშავია.

გთხოვთ, მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა პენსიის დანიშვნა და ვის მივმართო?

ნუგზარ ორაგველიძე.

— მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოხუცებულობის პენსია ენიშნებათ მამაკაცებს 65 წლის ასაკში 25 წლის შრომის სტაჟით, ხოლო ქალებს 60 წლის შესრულების შემდეგ 20 წლის შრომის სტაჟით.

ვინაიდან თქვენ უკვე 67 წლის ბრძანდებით და 25 წელზე მეტი შრომის სტაჟიც გქონიათ, გირჩევთ პენსიის დანიშვნის საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური დაზღვევის ფონდის რაიონულ განყოფილებას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ის ფაქტი, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში არ მუშაობთ, თქვენთვის პენსიის დანიშვნას ხელს არ შეუშლის.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

ინტერპანორამა

ათი დღის განმავლობაში 5,5 და 3,5 წლის ფრანგი დები ცხოვრობდნენ მოულოდნელად გარდაცვლილი დედის ოთახში. მათ ხმამაღლა არ უტირიათ და არც მეზობლები შეუწუხებიათ, არც მოსამზადებელი სკოლისთვის მიუმართავთ, რომელშიც უფროსი გოგონა დადიოდა... საბედნიეროდ, ბავშვები უვნებლად გადარჩნენ.



მათემატიკურმა ექსპერიმენტებმა „სუსტი სქესის" კიდევ ერთი უპირატესობა გამოავლინა. ქალები, თურმე, ანგარიშის დროს, მამაკაცებზე უფრო ძლიერები არიან.



ინგლისელმა მეცნიერებმა გამოიგონეს კიდევ ერთი მეთოდი, რომლითაც კომპიუტერის სკანერზე ზუსტად ჩანს, თუ როგორ ტირის, იცინის, თითს ლოკავს და ა. შ. მუცლად მყოფი ემბრიონი. სწავლულთა აღიარებით, ეს არის რევოლუციური მიგნება დაბადებამდე ჩანასახის განვითარების დაკვირვების გზაზე.



„საქართველოს რესპუბლიკა" — ავიაკომპანია „აირზენა-საქართველოს ავიახაზების" თვითმფრინავებში.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 244. შაბათი. 13 სექტემბერი. 2003 წელი

ვიზიტი

# „ევროკავშირში ჩვენი მეგობარი ბალტიის სახელმწიფოების შესვლა ევროპის გაერთიანებაში საქართველოს წარმატებული ინტეგრაციის იმედებს გვიმყარებს“

## საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიტყვა საქართველო-ლიტვის ბიზნეს-ფორუმზე

თქვენო აღმატებულებავ!
ბატონო პრეზიდენტო!
ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ, საქართველოს მთავრობისა და ჩვენი ხალხის სახელით გულითადად მივესალმო ლიტვის დელეგაციას და მის მეთაურს ბატონ პრეზიდენტს, ამ შეხვედრის ყველა მონაწილეს. მწამს, დღევანდელი დღე უსათუოდ მისცემს დასაბამს ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობის შემდგომ გაფართოებას, ურთიერთგაგების გაღრმავებას და ახალი ნაყოფიერი კავშირურთიერთობის დამყარებას ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში.

თავის მხრივ, საქართველოს მთავრობა მზად არის, სათანადოდ შეუწყოს ხელი ორმხრივი თანამშრომლობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის გამიზნულ საინტერესო ინიციატივებს და ჩვენი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის ზრდას. ჩვენ გუშინ ბატონ პრეზიდენტთან ბევრი ვილაპარაკეთ ამ საკითხებზე და ვფიქრობ, რადგან ყველა არ ესწრებოდა, ზოგიერთი რამის გამეორება მომიხდება. საამისოდ ჩვენ სერიოზული წანამძღვრები გვაქვს. ჯერ კიდევ, არცთუ შორეულ წარსულში, ორივე ქვეყანა ხომ ერთიან ეკონომიკურ სივრცეში იყო მოქცეული, და ჩვენი სამეურნეო კომპლექსები მჭიდროდ უკავშირდებოდა ერთმანეთს. ახლა ჩვენი ქვეყნები, რომლებიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან, ურთიერთვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმით სარგებლობენ. ეს ძალიან საინტერესო პერსპექტივაა, რომ ჩვენ ამ ორგანიზაციის წევრი ვართ და საშუალება გვაქვს ვისარგებლოთ ხელშეწყობის რეჟიმით.

და მაინც, ორმხრივ ვაჭრობას ჯერ არ მიუღწევია იმ დონისთვის, რომელიც შეესაბამება ჩვენი ქვეყნების შესაძლებლობებს, მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა ვაჭრობაზე, იმაზე, რომ იგი კომპლექსურად აისახება სწორედ ამ მონაცემში, მთლიანად ეკონომიკური თანამშრომლობის დონეზე. მაგალითად, 2002 წელს საქონელბრუნვა უტოლდებოდა 2,8 მილიონ ამერიკულ დოლარს. ამასთან, საქართველოს საქონლის ექსპორტმა შეადგინა 1,5 მილიონი დოლარი, რაც საქართველოსათვის საერთო საქონელბრუნვის სულ რაღაც 2,7 პროცენტს აღწევდა. საქონელბრუნვის ერთ-ერთი ძირითადი მუხლია სამკურნალწამლო პრეპარატების ექსპორტ-იმპორტი. როგორც სავაჭრო სტატისტიკის მონაცემები ცხადყოფს, ლიტვის ბაზარზე სტაბილური მოთხოვნილებით სარგებლობს საქართველოს მეღვინეობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია. აქ შეიძლება გამოვნახოთ შეხების კარგი წერტილები არა მარტო ვაჭრობის სფეროში, არამედ საწარმოო კოოპერაციებისა და ინვესტიციების სფეროშიც. ამას უნდა დაემატოს, აგრეთვე, ჩვენი სახელმწიფოების თანამშრომლობის პოტენციალი მეცნიერებატევად წარმოებათა სფეროში და, კერძოდ, ელექტრონულ მრეწველობაში.

იმის საჩვენებლად, თუ რა მიმართულებებით უნდა განხორციელდეს ხელსაყრელი თანამშრომლობა ჩვენს ქვეყნებს შორის, ნება მიბოძეთ, მოკლედ დავახასიათო საქართველოს ეკონომიკაში შექმნილი სიტუაცია და ჩვენი საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები.

ჩვენი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების დასაწყისში, 1989-1994 წლებში საქართველოში უმძიმესი კრიზისული პროცესები მიმდინარეობდა, რომლებსაც შედეგად მოჰყვა ჰიპერინფლაცია და წარმოების საყოველთაო დაქვეითება: მთლიანი შიდა პროდუქტი ოთხჯერ და მეტად შემცირდა 80-იანი წლების შუა ხანებთან შედარებით.

ამ პირობებში ქვეყანაში შემუშავდა ეკონომიკის რადიკალური რეფორმირების ანტიკრიზისული პროგრამა. უკვე 1995 წლის დამლევისათვის წარმოების დაქვეითება არა მარტო შეჩერდა, არამედ მივაღწიეთ მთლიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტით მატებას. თუმცა ინფლაციის ტემპი შენელდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მაღალი იყო და საშუალო წლიური დონე 50 პროცენტს უტოლდებოდა.

მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწიეთ 1997-98 წლებში, როდესაც საშუალო წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 11 პროცენტი, ინფლაციის ტემპი კი ერთმნიშვნელოვან ციფრამდე შემცირდა.

სამწუხაროდ, 1998 წლის დამლევისათვის ვითარება რადიკალურად შეიცვალა გლობალურ ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებით და მეტწილად ეს კრიზისი განპირობებული იყო მოვლენებით, რომლებიც დამახასიათებელი იყო რუსეთის ეკონომიკისათვის. ამ ფონზე თანდათან გაიზარდა ინფლაცია და განვითარდა ფარული ეკონომიკა. გაუარესდა საინვესტიციო კლიმატი, გაიზარდა ფინანსური რესურსების დეფიციტი, გამწვავდა საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისი.

იქიდან მოყოლებული, მრავალი წლის განმავლობაში საზოგადოებრივი ფინანსების სფერო სუსტ რგოლად რჩებოდა ჩვენს ეკონომიკაში.

მთავრობის გადამჭრელი ღონისძიებებისა და მსოფლიო და ევროპის ფინანსური ინსტიტუტების მხარდაჭერის მეოხებით 2001 წლისათვის მოხერხდა ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზება და შევძელით მიგვეღწია მთლიანი შიდა პროდუქტის 5-პროცენტიანი მატებისათვის. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქვეყნის ეროვნული ბანკი ახორციელებს მკაცრ საკრედიტო-ფულად პოლიტიკას, რის შედეგადაც სამომხმარებლო ფასების ინფლაციის მაჩვენებლები შემცირდა 4-5 პროცენტამდე.

ეკონომიკის სტაბილიზაციის დადებითი ტენდენცია დღესაც გრძელდება. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველი ნახევარწლეულის განმავლობაში მთლიანი შიდა პროდუქტის მატებამ შეადგინა ბოლო პერიოდის მანძილზე თითქმის ჩვენთვის რეკორდული მაჩვენებელი — 8,6 პროცენტი, მაშინ როდესაც ინფლაციის დონე სულ რაღაც 2,4 პროცენტს აღწევს. განვითარების ასეთი სწრაფი ტემპის შენარჩუნება ყველა საამისო საფუძველს გვაძლევს, რომ ველოდოთ სამეწარმეო აქტიურობის საერთო აღმავლობას და, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, საქართველოს მიმართ უცხოელ ინვესტორთა ინტერესის გაზრდას.

ყველაზე სერიოზული ყურადღება ეთმობოდა და კვლავ ეთმობა ეკონომიკის კერძო სექტორის განვითარებას. ფართო მასშტაბის პრივატიზაცია დაიწყო უკვე 1993 წელს. ამ პროცესში უცხოური კაპიტალის აქტიური მონაწილეობით.

1998 წლისათვის პრაქტიკულად დამთავრდა მცირე და საშუალო საწარმოთა პრივატიზაცია და დაიწყო ყველაზე მსხვილი ობიექტების პრივატიზაცია, რაც დღემდე გრძელდება. სულ 2002 წლამდე პრივატიზებული იყო 16 ათასი ობიექტი. არასახელმწიფო სექტორში მოქმედებს 26 ათასი საწარმო, რაც შეადგენს მათი საერთო რაოდენობის 91 პროცენტს. საერთო — საბიუჯეტო შემოსავლის 75 პროცენტზე მეტი მოდის არასახელმწიფო სექტორზე.

პრივატიზაციის პროცესი მიმდინარეობს ისეთ სტრატეგიულ დარგებში, როგორიც არის ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერგეტიკა, მეტალურგია — მძიმე მეტალურგია.

კანონმდებლობა ეკონომიკის დარგში ნიადაგ იხვეწება იმ მიზნით, რომ იგი აკმაყოფილებდეს ღია საბაზრო ეკონომიკის და კერძო მეწარმეობის განვითარების მოთხოვნებს. მე ვიცი, რომ თქვენთან ეს პროცესი თითქმის დასრულებულია. ამჟამად ეკონომიკის სფეროში მიღებულია 300-ზე მეტი საკანონმდებლო აქტი, რომლებიც მოიცავს ეკონომიკური ურთიერთობის ყველა ასპექტს. ახლა მზადდება ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიზანია საწარმოო-სამეწარმეო აქტიურობის სტიმულირება განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესის დარგში.

1998 წლიდან საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით ყველა საკანონმდებლო აქტი ჰარმონიულად უნდა შეეხამოს ევროკავშირის დირექტივებს.

დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სასიკეთო საინვესტიციო კლიმატის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ეკონომიკური პოტენციალის აღდგენისა და წარმოების ტექნიკური განახლების პროცესში უცხოური კაპიტალის მოზიდვას. ამ საკითხში საქართველოს გარკვეული უპირატესობა აქვს, რადგან ჩვენს ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ქვეყნებში საბაჟო შეღავათებით სარგებლობს პრეფერენციის განზოგადებული სისტემის ფარგლებში. ამ ქვეყნების გარდა ჩვენი ექსპორტისათვის პრეფერენციული რეჟიმები დაგვიწესეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, იაპონიამ, შვეიცარიამ, პოლონეთის რესპუბლიკამ, ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებმა. და მე არ გამოვრიცხავ, რომ ანალოგიური რეჟიმი ჩამოყალიბდება ჩვენს ქვეყნებს შორის.

ამას უნდა დაემატოს ის გარემოებაც, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ძირითად სავაჭრო პარტნიორებთან, როგორიც არის რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, სომხეთი და უზბეკეთი, საქართველომ დაამყარა თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ორმხრივ შეთანხმებათა საფუძველზე. მსოფლიო ეკონომიკურ გაერთიანებაში შემდგომ ინტეგრაციასთან დაკავშირებით, სერიოზულ, და მე ვფიქრობ, სავსებით საფუძვლიან იმედს ვამყარებთ ისეთი ცნობილი პროექტის განხორციელებაზე, როგორიც არის ტრასეკა — „ახალი დიდი აბრეშუმის გზა“. აქ უკვე ბევრი რამ გაკეთდა და კვლავ ხორციელდება. საქართველომ, რომელსაც ხელსაყრელი პოზიცია უკავია ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის გზაზე, თავისი ტერიტორია შესთავაზა ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობისათვის, კასპიისპირა აზიის რეგიონიდან ამ სტრატეგიული ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის. უკვე დაიწყო ამ უმნიშვნელოვანესი პროექტების განხორციელება, ზოგიერთი უკვე მოქმედებს, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა. ორი წლის შემდეგ დაიწყება აზერბაიჯანიდან გაზსადენის მშენებლობა.

საქართველო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველი გახდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი: ამით მსოფლიო გაერთიანებამ აღიარა, რომ ჩვენი სახელმწიფო ერთგულობს კერძო პარტნიორულ ურთიერთობას ღია კონკურენციის საფუძველზე. მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა 1999 წელს ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების დადებას. რა თქმა უნდა, ჩვენ ევროკავშირთან დამოკიდებულებაში წინ წავიწიეთ.

ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ლიტვაში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების დიდი წარმატებები და ეფექტიანობა. ევროპის გაერთიანება ჯეროვნად აფასებს თქვენი სახელმწიფოს მიზანსწრაფულ პოლიტიკას, რომლის მიზანია ღია საბაზრო ეკონომიკის შექმნა და ფუნდამენტურ დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული საზოგადოების შენება.

ჩვენ მეტად გვახარებს ეს კიდევ იმიტომ, რომ ევროკავშირში ჩვენი მეგობარი ბალტიის სახელმწიფოების შესვლა ევროპის გაერთიანებაში საქართველოს წარმატებული ინტეგრაციის იმედებს გვიმყარებს.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ მოვახსენო დიდი მადლობა ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ როლანდას პაქსასს [illegible] ცესში და ვუსურვებ ამ შეხვედრის ყველა მონაწილეს მისი წარმატებით დაგვირგვინება.

# „თვალს ვადევნებთ საქართველოს ძალისხმევას ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე და მზად ვართ თანამშრომლობისათვის: ლიტვა იქნება ის სახელმწიფო ევროპის კავშირსა და ნატოში, რომელიც ნიადაგ დასვამს საკითხს სამხრეთ კავკასიის მომავლის შესახებ“

## ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის როლანდას პაქსასის სიტყვა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრში

ბატონო ინსტიტუტის დირექტორო,
პატივცემულო სტუმრებო,
ქალბატონებო და ბატონებო,

სულითა და გულით გიხდით მადლობას იმისათვის, რომ მომანიჭეთ ამ ავტორიტეტიანი საერთაშორისო კვლევითი ცენტრის საპატიო წევრის სახელი და მომეცით შესაძლებლობა, გამეზიარებინა ჩემი მოსაზრებები ევროინტეგრაციის იმ გამოცდილების შესახებ, რომელიც შეიძინა ლიტვამ, აგრეთვე, იმის თაობაზე, თუ რა ადგილი განეკუთვნება მას სახეცვალებად ევროპაში, როგორია ჩვენი სახელმწიფოების ურთიერთობა და რა პერსპექტივები აქვს მას.

უწინარესად, მინდა გავიხსენო მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დამდეგი, როდესაც ჩვენმა ხალხებმა ააფრიალეს დამოუკიდებლობის დროშები, როდესაც ჩვენს ხალხებს აერთიანებდა ერთი ლოზუნგი: „ჩვენი და თქვენი თავისუფლებისათვის“. ეს იყო საინტერესო პერიოდი, რომელსაც ჩვენ ყველა, ალბათ, ახლა ნოსტალგიით ვიხსენებთ. გვაგონდება იმედითა და რომანტიზმით აღსავსე ეს პერიოდი, მაგრამ არ გვავიწყდება სისხლიანი მოვლენები თბილისსა და ვილნიუსში, რომლებმაც კიდევ უფრო დაგვარაზმა და გაგვიძლიერა დამოუკიდებლობისაკენ მისწრაფება. მაშინ საქართველოს ახლანდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გაგვაფრთხილა, რომ რეაქციული ძალები ცდილობდნენ გაეტეხათ ჩვენი სწრაფვა თავისუფლებისაკენ. ეს იყო გაბედული და კეთილშობილური ნაბიჯი.

ჩვენი ქვეყნების ურთიერთობა დღეს როდი იქმნება. მას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომელიც უკვე ასწლეულებს ითვლის. როგორც ლიტვასა და საქართველოს, ისე, საერთოდ, ბალტიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს აერთიანებთ ტრადიციულად მჭიდრო კავშირურთიერთობა. დღეს ჩვენ მხოლოდ უნდა განვაახლოთ იგი და დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით ახალი იმპულსი მივანიჭოთ მას.

ჩვენ ვბრუნდებით ევროპაში. ვბრუნდებით იქ, საიდანაც გამოგვდევნეს ჩვენი ნების გარეშე, თუმცა ყოველთვის ვიყავით, ვართ და ვიქნებით ევროპის განუყოფელი ნაწილი.

ლიტვა დამოუკიდებლობის აღდგენის დასაწყისიდანვე ისახავდა საგარეო პოლიტიკის სამ ძირითად პრიორიტეტს, როგორიც არის ინტეგრაცია ევროპის კავშირში, ინტეგრაცია ნატოში, აგრეთვე, კეთილმეზობლური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან.

ჩვენი დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, ზოგის აზრით, მეტად ამბიციური მიზნები გვამოძრავებდა, ვიღაცას კი, უბრალოდ, ილუზიად ეჩვენებოდა, რომლის რეალობად გადაქცევა თითქმის შეუძლებელი იყო. დიდი შრომა და ძალისხმევა დაიხარჯა და ის, რაც ძნელად მისაღწევი ეგონათ, რეალობად იქცა.

მოხარული ვარ, რომ ლიტვის პოლიტიკური ძალების აბსოლუტური უმრავლესობა, განსხვავებული იდეოლოგიების პარტიებს, ლიდერებს შორის აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, შეთანხმდა ამ პრიორიტეტების თაობაზე და მტკიცედ, მიზანმიმართულად ესწრაფვოდა მათს განხორციელებას.

დღეს შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ეს სამივე მიზანი უკვე მიღწეულია. უფრო ზუსტად კი ფორმალურად შეისხამს ხორცს მომავალი წლის 1 მაისს, როდესაც ლიტვა ოფიციალურად გახდება ევროკავშირისა და ნატოს წევრი.

მე ვამაყობ ჩემი ხალხით, რომელმაც მტკიცედ დაუჭირა მხარი ევროპაში შესასვლელად სახელმწიფოს ამ გზას. ამას მოწმობს ევროპის კავშირში ლიტვის წევრობის შესახებ რეფერენდუმი, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 10-11 მაისს, რომლის დროსაც რეფერენდუმის მონაწილე მოქალაქეთა 98 პროცენტზე მეტმა თქვა „დიახ“.

ლიტვა ამთავრებს ევროპაში თავისი დაბრუნების გზას და ახლა ემზადება იმისათვის, რომ ისარგებლოს ევროპის კავშირში წევრობით მინიჭებული უპირატესობებით და შეიტანოს თავისი წვლილი ევროპის კავშირის შემდგომ განვითარებაში.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, საბაზრო ეკონომიკის შექმნა, ინვესტიციებისათვის ხელის შეწყობა, პრივატიზაცია, საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია, საგადასახადო სისტემის რეფორმა — ეს მხოლოდ იმ ნაბიჯების ნაწილია, რომლებიც სწრაფად და მტკიცედ უნდა გადაედგა ლიტვის ხელმძღვანელობას, თუმცა ხშირად აცნობიერებდა, რომ ეს მტკივნეულად აისახებოდა საზოგადოების სოციალურად დაუცველ ნაწილზე.

მაგრამ სახელმწიფოში მკაფიოდ იყო გაცნობიერებული, რომ თუ არ განხორციელდებოდა არსებითი და სწრაფი ეკონომიკური რეფორმები, ვერ მივაღწევდით ეკონომიკურ ზრდას, უამისოდ კი ჩვენი მოძრაობა ევროპაში შეუძლებელია.

ევროპისაკენ მიმავალმა გზამ დარაზმა და შეაკავშირა ლიტვის საზოგადოება, დააჩქარა სამოქალაქო საზოგადოების შექმნა და პოლიტიკური კულტურის განვითარება. პოზიცია და ოპოზიცია პოლიტიკაზე გარკვეულწილად განსხვავებული შეხედულებების მიუხედავად, საერთო მიზნის მიღწევისათვის ესწრაფვოდნენ და ესწრაფვიან კონსენსუსს სახელმწიფოს ცხოვრების ძირითად საკითხებში.

ევროპაში ამ გზამ განამტკიცა საკუთარი სახელმწიფოს რწმენა. შესაძლოა, ჩვენთვის ეს უფრო იოლი იყო იმის გამო, რომ უფროსი თაობის ადამიანთა უმეტესობას ჯერ კიდევ ახსოვს ლიტვის დამოუკიდებლობა 1918-1940 წლებში.

მაგრამ, ამასთან ერთად, ადამიანებს ახსოვთ დაძაბული ურთიერთობა პოლონეთთან ომისშემდგომ პერიოდში, საბჭოთა ოკუპაცია, რასაც მოჰყვა, აგრეთვე, რეპრესიები, ახსოვთ ჰიტლერული ოკუპაცია და იმ დროს ჩადენილი დანაშაულობანი.

ეს იყო ტვირთი, რომელიც ჩვენს ახალგაზრდა სახელმწიფოს მეზობელ ქვეყნებთან ერთად უნდა დაეძლია დამოუკიდებლობის პირველი დღეებიდანვე. წყენა, სტერეოტიპები და უარყოფითი ემოციები პოლიტიკოსების მოკავშირეებად ვერ ივარგებენ, მაგრამ ხალხში ეს დავიწყებას არ ეძლევა, ხშირად გადაეცემა თაობიდან თაობას და ხელს უშლის ქვეყნებისა და ხალხების ნორმალურ ურთიერთობას.

მოხარული ვარ, რომ დღეს პოლონეთთან ლიტვის ურთიერთობა ხასიათდება როგორც პარტნიორული ურთიერთობა, თუმცა ომისშემდგომ პერიოდში იგი ცივი ომის ყინულებში გაიჭედა. ვფიქრობ, ლიტვასა და პოლონეთს დღეს საუკეთესო ურთიერთობა აქვთ, როგორიც კი ოდესმე ჰქონიათ ჩვენი სახელმწიფოების მთელი საერთო ისტორიის მანძილზე, რამდენიმე ასეულ წელს რომ ითვლის.

რუსეთთან ლიტვის ურთიერთობამ, რომელმაც გაიარა სტერეოტიპების, უნდობლობისა და რევანშიზმის პერიოდი, შეიძინა კონსტრუქციული და პრაგმატული ხასიათი, რომელიც ორიენტირებულია ურთიერთპატივისცემაზე, ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებასა და ერთიანი და უსაფრთხო ევროპის შექმნაზე.

ევროპისაკენ გზამ გვასწავლა, რომ აქტიურად უნდა განვავითაროთ რეგიონალური თანამშრომლობა. ბალტიის სამმა სახელმწიფომ — ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა — შექმნა სამმხრივი თანამშრომლობის უნიკალური მოდელი. ბალტიის ზღვის გარშემო მდებარე სახელმწიფოები გაერთიანდნენ ბალტიის ზღვის სახელმწიფოთა საბჭოში, დაიწყო ბალტიის სამი ქვეყნის და ჩრდილოეთის ხუთი ქვეყნის დიალოგი, ლიტვა, პოლონეთი და უკრაინა სამმხრივი თანამშრომლობით დაინტერესდნენ. და ეს რეგიონალური თანამშრომლობის მხოლოდ რამდენიმე მაგალითია.

რეგიონალური თანამშრომლობის ინსტრუმენტების ასეთმა გადახლართულმა, რთულმა ქსელმა, რომლებიც ზოგჯერ თითქოს ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, ხელი შეუწყო რეგიონის ქვეყნებს, დაეძლიათ წარსულის ნეგატიური სტერეოტიპები, განემტკიცებინათ ურთიერთნდობა, წარმოეჩინათ ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მიზნები და განეხორციელებინათ ისინი, ხელი შეეწყოთ თანამშრომლობისათვის, და ბოლოს, დაეხმარა მათ უკეთ მომზადებულიყვნენ ევროკავშირისა და ნატოს წევრობისათვის.

ვამაყობ იმით, რომ ამჟამად ბალტიის ზღვის რეგიონი იწოდება ევროპის ერთ-ერთ ყველაზე სტაბილურ, წარმატებულ და სწრაფად განვითარებად რეგიონად, ბალტიის ქვეყნები კი ხასიათდებიან, როგორც ქვეყნები — ევროკავშირის მომავალი წევრები — რომლებმაც ყველაზე დიდ პროგრესს მიაღწიეს.

მე უკვე ვახსენე, რომ ევროპაში დაბრუნების გზაზე უკვე დავიწყეთ მასში ჩვენი ნიშის ძიება.

მართლაც, დღეს, როდესაც უკვე თითქმის მიღწეულია ლიტვის საგარეო პოლიტიკის სამივე ძირითადი მიზანი, ჩვენს წინაშე ახალი, ამოცანა დგება. დღეს ჩვენ უკვე ვფიქრობთ არა იმდენად ევროპის კავშირსა და ნატოში ჩვენს წევრობაზე, რამდენადაც ამ წევრობის ხარისხზე, ამ ორგანიზაციებში ლიტვის როლზე, ლიტვის შესაძლებლობებზე, მიიღოს აქტიური მონაწილეობა ევროკავშირისა და ნატოს პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში.

დარწმუნებული ვარ, ლიტვამ უწინარესად, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს როგორც ევროკავშირის პოლიტიკის, ისე აღმოსავლეთში ნატოს პოლიტიკის განხორციელებაში. ჩვენი გამოცდილება, ჩვენი ცოდნა და შესაძლებლობანი უეჭველად ხელს შეუწყობს გაფართოებული ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთობის განვითარებას აღმოსავლეთში მდებარე ქვეყნებთან, რომლებსაც კიდევ ახალ მეზობლებს უწოდებენ.

ლიტვა ესწრაფვის იმას, რომ დემოკრატიისა და სტაბილურობის სივრცე არ შემოიფარგლოს ჩვენი აღმოსავლეთი საზღვრებით, თავად საზღვარი კი არ გახდეს ახალი რკინის ფარდა, რომელიც კვლავ გათიშავს ძველ კონტინენტს. ჩვენ დაინტერესებული ვართ, რომ დემოკრატიისა და სტაბილურობის სივრცემ უფრო შორს აღმოსავლეთი მოიცვას.

სწორედ ამიტომაც, მზად ვართ, ჩვენს აღმოსავლელ პარტნიორებს გავუზიაროთ სამოქალაქო საზოგადოების შექმნის, ეკონომიკური რეფორმების განხორციელების და ევროინტეგრაციის მთელი გამოცდილება, ისევე როგორც თავის დროზე ეს გამოცდილება გადმოგვცეს დასავლელმა პარტნიორებმა.

ამ თვალსაზრისით მე განსაკუთრებულ მნიშვნელობას მივანიჭებდი ლიტვისა და ბალტიის სხვა ქვეყნების თანამშრომლობას სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან.

ათენში, ევროპის კონფერენციაზე გამოსვლისას ჩემს კოლეგებს, ევროპის სახელმწიფოების ხელმძღვანელებს ვუთხარი, რომ, „როდესაც ახალ მეზობლებთან დიალოგს ვავითარებთ, არ უნდა მოვიტოვოთ გვერდზე სამხრეთი კავკასიის სახელმწიფოები. ვფიქრობ, ამ ქვეყნებსაც უნდა შევთავაზოთ ევროპის კავშირთან ურთიერთობის ხედვა“.

საკუთარი გამოცდილებით ვიცით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობაში მკაფიო პერსპექტივას. ჩვენთვის ევროპის კავშირის წევრობის პერსპექტივა მობილიზების დამატებითი ფაქტორი გახდა.

ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ევროპის სხვა ქვეყნებსაც მკაფიოდ უნდა ჰქონდეთ წარმოდგენილი, ევროპის კავშირსა და ნატოსთან რა ურთიერთობის იმედი უნდა ჰქონდეთ. ეს საშუალებას მისცემდა ორივე მხარეს დაესახათ რეალისტური მიზნები, მათი განხორციელების საშუალებები და ამრიგად, შესაძლებელი იქნება უსაფუძვლო იმედების თავიდან აცილება..

პატივცემულებო,

დღეს ამ ტრიბუნიდან მინდა მკაფიოდ და გულახდილად ვთქვა, რომ იმ გზას ევროპაში შესასვლელად, რომელიც გინდათ გაიაროთ, თქვენს გარდა სხვა ვერავინ ვერ გაივლის, იგი მხოლოდ თქვენ უნდა გაიაროთ. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დაგეხმაროთ და გირჩიოთ, მაგრამ მთელი მძიმე სამუშაოს შესრულება თავად თქვენ მოგიწევთ.

მე გეუბნებით ამას გულახდილად, როგორც მიღებულია მეგობართა წრეში.

ევროპაში გზის გაკაფვისას ყოველმა პოლიტიკოსმა, თითოეულმა მოსამსახურემ, სახელმწიფოს თითოეულმა მოქალაქემაც კი თავისი წვლილი უნდა შეიტანოს.

სტაბილური და თავის მოქმედებებში გამჭვირვალე სახელმწიფოს შექმნა, რომელიც უწინარესად დაფუძნებული იქნება თავისუფალ და სამართლიან არჩევნებზე, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებზე როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია.

მომწიფებული და ტოლერანტული სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ეს არის ეროვნული თანხმობის, განსხვავებული აზრის პატივისცემის, საზოგადოებასა და ადამიანთა ცნობიერებაში დემოკრატიული ღირებულებების შეუქცევადი განმტკიცების გზა. თავისუფლება და დემოკრატია ადამიანთა ცხოვრების განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს.

უსაფრთხო სახელმწიფოს შექმნა — ეს არის ბრძოლა ორგანიზებულ დამნაშავეობასთან, ბრძოლა კორუფციასთან, კონტრაბანდასთან, ეს არის სახელმწიფოს ადმინისტრაციული უნარის განმტკიცება. სახელმწიფო მოვალეა უზრუნველყოს ადამიანის უშიშროება. აუცილებელი პირობებია მეზობლებთან ურთიერთობის მოწესრიგება, საგარეო პოლიტიკაში მკაფიო პრიორიტეტების ჩამოყალიბება და მათი თანამიმდევრული განხორციელება.

მე მხოლოდ ზოგადად მოვხაზე ის ამოცანები, რომლებიც ლიტვას უნდა გადაეწყვიტა ევროპაში დაბრუნების გზაზე და რომლებსაც დღეს აწყდება და მომავალშიც წააწყდება საქართველო.

ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის უნდა გამოიყენოთ ყველა საშუალება, მიაღწიოთ საშინაო პოლიტიკურ კონსენსუსს, გამოიყენოთ ევროპის კავშირისა და შეერთებული შტატების დაინტერესება როგორც საქართველოთი, ისე მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონით, დაამყაროთ კარგი ურთიერთობა რუსეთთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან.

მზად ვართ გაგიზიაროთ რეგიონალური თანამშრომლობის გამოცდილება, ჩემი აზრით, ამაში განსაკუთრებული როლი აკისრია საქართველოს, როგორც ქვეყანას, რომელსაც შეუძლია რეგიონალური თანამშრომლობის ინიცირება სამხრეთ კავკასიაში. რეგიონალური თანამშრომლობა ევროპის კავშირთან ურთიერთობის წარმატებული განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა.

განსაკუთრებით მინდა გავუსვა ხაზი სამხრეთ კავკასიაში ევროპის კავშირის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნას, ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომელიც მოწმობს, რომ ევროპის კავშირი მზად არის მეტი ყურადღება დაუთმოს რეგიონს, წაახალისოს რეგიონალური თანამშრომლობა და ხელი შეუწყოს კონფლიქტების მოწესრიგებას და ამ კონფლიქტების შემდეგ გადაწყვეტილებათა მიღებას.

დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის კავშირის სპეციალურ წარმომადგენელთან თანამშრომლობის კონკრეტული დღის წესრიგის შექმნას, ევროპის კავშირში ამ თანამდებობის შემოღება საშუალებას იძლევა კიდევ უფრო ეფექტიანად გაფართოვდეს თანამშრომლობა ევროპის კავშირთან, უფრო ოპერატიულად გადაწყდეს წამოჭრილი საკითხები.

ეჭვგარეშეა, რომ კონფლიქტები ძირითადი ბარიერია სამხრეთ კავკასიაში რეგიონალური თანამშრომლობის განვითარების გზაზე. აქ მე შეიძლება მხოლოდ მოვუხმო ჩვენს გამოცდილებას, რომელიც შესაძლოა არ ყოფილა ესოდენ მტკივნეული, მაგრამ საკმაოდ რთულია მაინც. შერიგების ერთადერთი გზა გახლავთ დიალოგი, ურთიერთპატივისცემა და შემწყნარებლობა.

ამიტომ მივესალმები საქართველოს მხარის გააქტიურებულ ძალისხმევას, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებას რომ ისახავს მიზნად. ეს მოწმობს რომ თქვენ სწორი შეხედულება გაქვთ ქვეყნის მომავალსა და მის მოქალაქეებზე.

იმავდროულად მე მახსენდება ლიტვის გამოცდილება, როდესაც, რაც უფრო წარმატებით ხორციელდებოდა ჩვენი რეფორმები, რაც უფრო ვუახლოვდებოდით ევროპის კავშირსა და ნატოს, მით უფრო მეტ მოთხოვნებს გვიყენებდნენ.

ჩვენ ევროპის კავშირსა და ნატოს [illegible] განიზაციების წევრობა, რამდენადაც თავად ვიყავით მზად, [illegible] რაციისათვის.

თვალს ვადევნებთ საქართველოს ძალისხმევას ევროატლანტიკური ინტეგ- [illegible]

თანადგომა

## ქართველმა ბავშვებმა ლიტველ [illegible] [illegible]



12 სექტემბერს ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლე [illegible] ქალბატონი ლაიმა პაქსიენე საქართველოს კულტურის მინისტრთან სესილი გოგიბერიძესთან ერთად ეწვია წყნეთის ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლს. ლიტვის პირველმა ლედიმ ამ სახლის 130 პატარა ბინადარი ლიტველ ინვალიდ ბავშვთა მიერ შექმნილი სათამაშოებით დაასაჩუქრა. სახლის აღსაზრდელებმა კი ლაიმა პაქსიენეს საკუთარი შემოქმედებით მოაწონეს თავი.

შემდეგ ლიტვის რესპუბლი- [illegible] წავლე ახალგაზრდობის [illegible] პუბლიკური სასახლე [illegible] ლა, სადაც შეხვდა სასახლე[illegible] მოქმედ „პიონერ-ფილმის [illegible] დრამატული წრის წარმომადგენლებს. ახალგაზრდა [illegible] ხიობებმა ქალბატონს [illegible] თავიანთი მიღწევები [illegible] მატებები, მათ სურვილი [illegible] ქვეს, რომ ლიტველ ახალ[illegible] რდობასთან უფრო მჭიდრო [illegible] თიერთობა დაამყარონ. [illegible] პაქსიენემ მასპინძლებს [illegible] კითხში თანადგომა აღ[illegible] სტუმრის პატივსაცემად, [illegible] პროფესიულად შესრულ[illegible] ამავე დღეს, ლიტვის პირვე[illegible]

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

### დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 11 სექტემბერი ქ. თბილისი

**ვლადიმერ არტამონოვის, ვლადიმერ გორდიენკოს, ანატოლი სიმანოვსკისა და ალექსანდრე ვალიავკოს საქართველოს მედლებით დაჯილდოების შესახებ**

განსაკუთრებით სამძიმო, მძიმე დანაშაულის ჩამდენთა ქ. მოსკოვში აღმოჩენისა და დაკავებაში ქართველ სამართალდამცველთათვის გაწეული დახმარებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს მედლებით დაჯილდოვდნენ რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური მილიციის სამსახურის სისხლის სამართლის სამძებრო მთავარი სამმართველოს თანამშრომლები:

**მედლით „მხედრული მამაცობისათვის“**

**ვლადიმერ არტამონოვი** – მილიციის პოდპოლკოვნიკი, უფროსი ოპერრწმუნებული; **ვლადიმერ გორდიენკო** – მილიციის გენერალ-ლეიტენანტი, მთავარი სამმართველოს უფროსი.

**მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:**

**ანატოლი სიმანოვსკი** – მილიციის მაიორი, განყოფილების უფროსის მოადგილე.

**ღირსების მედლით:**

**ალექსანდრე ვალიავკო** – მილიციის პოდპოლკოვნიკი, განყოფილების უფროსი.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 11 სექტემბერი ქ. თბილისი

**თემურ ბურბენიძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

განსაკუთრებით სამძიმო, მძიმე დანაშაულის ჩამდენთა ქ. მოსკოვში აღმოჩენისა და დაკავებაში გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან მუშაობის საკოორდინაციო მთავარი სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსი ინსპექტორ-კოორდინატორი, პოლიციის პოდპოლკოვნიკი თემურ ბურბენიძე დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 11 სექტემბერი ქ. თბილისი

**ელგუჯა ჯამრიშვილის წახალისების შესახებ**

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სამაგალითო მუშაობისა და გამოჩენილი ვაჟკაცობისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის მთავარი სამმართველოს ცენტრალური საავარიო-სამაშველო ასეულის მეთაურს, პოლიციის მაიორ ელგუჯა ჯამრიშვილს გამოეცხადოს მადლობა.

**ედუარდ შევარდნაძე.**

**ა. წ. 15 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე საქართველოს ახალგაზრდობის საქმეთა სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებული „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი“ სახელმწიფო მხარდაჭერის მოსაპოვებლად აცხადებს კონკურსს ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირებისათვის შემდეგ პრიორიტეტებზე: „მარგინალური ჯგუფების საზოგადოებაში დაბრუნების ხელშეწყობა და მათი შემდგომი რეაბილიტაცია“, „ახალგაზრდობა მშვიდობიანი კავკასიისათვის“.**

### ვიზიტი

# ლიტვის პრეზიდენტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის უცხოელი საპატიო გახდა

(პირველი გვერდიდან)



ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა როლანდას პაქსასმა, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, თავდაცვის მინისტრმა დავით თევზაძემ, სხვა ოფიციალურმა პირებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უცნობი ჯარისკაცის ხსოვნას.

* * *

**— რა შედეგითაც უნდა დამთავრდეს საქართველოს პარლამენტის არჩევნები, საქართველო-ლიტვის ურთიერთობა არ შეიცვლება და კვლავაც სამაგალითო იქნება, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ 12 სექტემბერს ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტთან როლანდას პაქსასთან შეხვედრაზე. ნინო ბურჯანაძემ ლიტვის რესპუბლიკის ლიდერს პარლამენტის 2 ნოემბრის არჩევნებზე მეთვალყურეების გამოგზავნა სთხოვა.**

შეხვედრაზე, რომელსაც ლიტვის წარმომადგენლობითი დელეგაცია ესწრებოდა, მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ უნდა გაღრმავდეს ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობა, გააქტიურდეს საპარლამენტო დონის თანამშრომლობა, გაფართოვდეს სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა. როლანდას პაქსასის განცხადებით, ლიტველი და ქართველი ხალხების ინტერესები და მათი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა და თითქმის იდენტურია, ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა იქვე დასძინა, რომ ლიტვა მხარს დაუჭერს საქართველოს დასახული მიზნების განხორციელებაში. შეხვედრაზე ითქვა, რომ ჩვენი ქვეყნების მჭიდრო ურთიერთობისათვის პოლიტიკური ნება უკვე არსებობს და ახლა რეალური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო.

ნინო ბურჯანაძემ ლიტვის წარმომადგენლებს სთხოვა, მხარი დაუჭირონ საქართველოს მოხვდეს იმ მეზობელი ქვეყნების ჯგუფში, რომლებიც ევროკავშირში შესასვლელად ემზადებიან.

შეხვედრის დასასრულს ლიტვის პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტის საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა, ჟურნალისტებს კი განუცხადა: მთავარია არჩევნები სამართლიანად წარიმართოს და გაიმარჯვოს იმან, ვისაც ქართველი ხალხი ენდობა.

* * *

**აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრს, რომლის უცხოელი საპატიო წევრები თანამედროვეობის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან, 12 სექტემბერს კიდევ ერთი უცხოელი საპატიო წევრი — ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი როლანდას პაქსასი შეემატა. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ოფისში გამართულ ცერემონიაზე აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის მეცნიერთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, ამავე ცენტრის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი დიპლომი ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს საზეიმოდ გადაეცა.**



აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის ვიცე-პრეზიდენტმა ვაჟა ლორთქიფანიძემ ილაპარაკა ქართველი და ლიტველი ხალხების ისტორიულ მეგობრობასა და ერთმანეთისადმი მუდმივად გაწეულ მხარდაჭერაზე, რაც კიდევ უფრო აძლიერებს თანამედროვე ევროპულ სივრცეში ორი ქვეყნის თანამშრომლობისა და მეგობრობის პერსპექტივას.

ლიტვის პრეზიდენტმა მადლობა გადაუხადა აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელებს ამ საპატიო ჯილდოს მინიჭებისათვის. როლანდას პაქსასი შეკრებილ საზოგადოებას ლიტვურ ენაზე მიესალმა და, კერძოდ განაცხადა, „მჯერა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ევროკავშირის მასშტაბით ლიტვური და ქართული ენები ოფიციალურ ენებად გამოცხადდება. იმედი მაქვს, ჩვენი სახელმწიფოები, თავიანთი ისტორიული წარსულითა და კულტურული ტრადიციებით გაამდიდრებენ ერთიან ევროპულ ოჯახს“ **(ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის სიტყვა გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება).**

ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს მიესალმნენ საქართველოში ლიტვური დაისპორის წარმომადგენელი ზინაიდა ქარუხიშვილი, გამოჩენილი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე, ლიტვური ლიტერატურის ქართულ ენაზე მთარგმნელი ნანა დევიძე. საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტმა გიორგი ჭანტურიამ ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტს როლანდას პაქსასს საჩუქრად თავისუფლებისმოყვარე ქართველი მხედრის სკულპტურა გადასცა.

* * *

**საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის როლანდას პაქსასის ოფიციალური ვიზიტის მეორე დღეს 12 სექტემბერს მთავრობის კრწანისის რეზიდენციაში გაიმართა ბიზნეს-ფორუმი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ლიტვისა და საქართველოს საქმიანი წრეების წარმომადგენლები, წარმატებული ბიზნესმენები და ორ ქვეყანაში მოქმედი მსხვილი საინვესტიციო კომპანიების ხელმძღვანელები.**

ფორუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ (საქართველოს პრეზიდენტის სიტყვა გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება).

ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა როლანდას პაქსასმა საქართველოს პრეზიდენტს მადლობა გადაუხადა ლიტვის რესპუბლიკის მიმართ გამოთქმული გულთბილი სიტყვებისა და საქართველოში სტუმართმოყვარე მიღებისათვის. როლანდას პაქსასმა მაღალი შეფასება მისცა იმ შეხვედრებს, რომლებიც მისი ვიზიტისას, უკვე როგორც ორ პარტნიორ ქვეყანას შორის გაიმართა. „ეს ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტია საქართველოში ლიტვის პრეზიდენტის რანგში და ვფიქრობ, იგი სამომავლოდ ბიძგს მისცემს ჩვენს ქვეყნებს შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სახის ურთიერთობათა გაღრმავებას,“ — თქვა ლიტვის ლიდერმა. მან ილაპარაკა ქართველ და ლიტველ ხალხებს შორის შექმნილ იმ ურთიერთობაზე, რომელიც ლიტველი ჟურნალისტებისათვის ამ ორიოდე დღის განმავლობაში გახდა თვალსაჩინო. როლანდას პაქსასმა ასევე აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყნებს აქვთ შესანიშნავი საფუძველი და ბაზა სამომავლოდ ურთიერთობის გასაღრმავებლად. „ლიტველებს გვაქვს ასეთი ანდაზა, — თქვა ლიტვის პრეზიდენტმა, „ბევრმა ჩვენგანმა იცის, როგორ იყო, ბევრმა იცის — როგორ არის და იციან, როგორ თქვენ ეს, მაგრამ ძალიან ცოტანი არიან ისინი, რომელთაც შეუძლიათ თქვან, როგორ იქნება, რა გზას დავადგეთ“. მე ვფიქრობ, ამჟამად ქართველი პოლიტიკოსები იტყვიან, რომ არ იციან როგორ იქნება, როგორ განვითარდება საქართველო ან ლიტვა და როგორ ჩამოყალიბდება ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობანი. მაგრამ, მიმაჩნია, არსებობს შესანიშნავი ბაზა განვითარებისა და თანამშრომლობისათვის, — დასძინა როლანდას პაქსასმა.

რაც შეეხება პოლიტიკურ ურთიერთობას, ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის აზრით, ისინი ყველა დროს საუკეთესო იყო, არის და იქნება „ლიტვაში ყველას ახსოვს 1989 წელი, ის მოვლენები, რომლებიც თბილისში განვითარდა. ჩვენ გვახსოვს 1991 წლის მოვლენებიც, როდესაც საქართველომ მხარი დაგვიჭირა, როდესაც საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავისი თანამდებობისა და მდგომარეობის გარისკვის ფასად გაგვაფრთხილა ლიტველები — რა გველოდა“, — თქვა როლანდას პაქსასმა.

მან ილაპარაკა ლიტვის გაწევრებაზე ევროკავშირში. „ეს მომავალი წლის მაისში მოხდება. ეს ლიტვის რესპუბლიკის ოცნება და მიზანია. ლიტვის რესპუბლიკა ყოველთვის იქნება ის ქვეყანა, რომელიც ყველგან, ევროკავშირის ყველა ინსტიტუტში საქართველოს მხარს დაუჭერს და ეს იქნება ობიექტური შეფასება,“ — განაცხადა ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა. მან ასევე ილაპარაკა რეგიონალურ და სამმხრივ თანამშრომლობის შესაძლებლობაზე, რომელიც შესაძლოა სამ ბალტიისპირა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის უახლოეს მომავალში განხორციელდეს. „ამ ურთიერთობების გასაღრმავებლად ბევრი რამ არის გასაკეთებელი, თუმცა ჩვენ დავიწყებთ იმ პროექტებით, რომელთა განხორციელება დაუყოვნებლივ არის შესაძლებელი. მაგალითად, თუკი ავიღებთ კომბინირებულ გადასასვლელს — ვიკინგს, და ოდესა-კლაიპედას გადასასვლელს, ამას დავუმატებთ ნავსადგურებს საქართველოში, ეს თქვენს ქვეყანას გაუხსნის სკანდინავიის, ბალტიის ზღვისპირა ქვეყნების ბაზარს. თავის მხრივ, კი მათთვის გაიხსნება კავკასიის ბაზარი. ეს კი შესანიშნავი ურთიერთობებისა და ბიზნეს-პარტნიორობის ბაზაა,“ — განაცხადა ბიზნეს-ფორუმზე როლანდას პაქსასმა.

ფორუმზე ლიტვის პრეზიდენტმა ილაპარაკა რესპუბლიკის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ზრდაზე გასული წლის განმავლობაში და აღნიშნა, რომ ევროკავშირში გაწევრების კანდიდატ ქვეყანათა შორის ლიტვამ ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა. მან თქვა, რომ ლიტვის რესპუბლიკა დღეს ევროკავშირისა და ნატოს წევრობის ზღურბლზე დგას და იმედი გამოთქვა, რომ საქართველო, რომელმაც ანალოგიური მიზანი დაისახა, სულ მალე მიაღწევს მას. „ყველაზე მთავარი, პოლიტიკური ნების, ხალხის ურთიერთობის და აღნიშნულ ორგანიზაციებში გაწევრების გარდა არის მიზანი, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხმა მშვიდად და კარგად იცხოვროს“. როლანდას პაქსასმა იმედი გამოთქვა, რომ ედუარდ შევარდნაძე მის საპასუხო მიწვევას მიიღებს და მომავალი შეხვედრა ლიტვაში გაიმართება.

ფორუმზე ქართველმა და ლიტველმა ბიზნესმენებმა იმსჯელეს ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავების პოზიტიურ მხარეზე. საქართველოს ბიზნეს-კონფედერაციის პრეზიდენტმა ფადი ასლიმ აღნიშნა, რომ ქართველი ბიზნესმენები თავის საქმეს შემოქმედებითად უდგებიან. რაც განაპირობებს მათ წარმატებას. ქართულ პროდუქციაზე დასავლეთის ქვეყნებში მოთხოვნა უკვე გაიზარდა. თუმცა, როგორც გარდამავალი ეკონომიკის ქვეყანას, საქართველოსაც აქვს თავისი პრობლემები, რის გამოც ინვესტირება რამდენადმე რთულდება. მიუხედავად ამისა, უცხოელი ბიზნესმენები, რომლებიც სოფლის მეურნეობის დარგსა და საბანკო სფეროში მოღვაწეობენ, აფართოებენ თავიანთ ინვესტიციებს.

როგორც ლიტველმა, ისე ქართველმა ბიზნესმენებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ იმ მრავალრიცხოვან, საქმიან წრეებში ცნობილ ფირმათა წარმომადგენლები, რომლებიც ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტის დელეგაციას საქართველოში ჩამოყვნენ აქაური საინვესტიციო გარემოს გასაცნობად, უდავოდ ადასტურებს ქართულ ეკონომიკაში მიმდინარე სასიკეთო ძვრებს.

საბანკო სისტემის წარმატებებზე ილაპარაკა ფორუმზე „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტმა ვლადიმერ პატეიშვილმა და თანადგომა აღუთქვა ყველა იმ ბიზნესმენს, ვინც გადაწყვეტს ინვესტიციები ჩადოს საქართველოს ეკონომიკაში.

* * *

**იმავე დღეს, საღამოს ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტი როლანდას პაქსასი და მისი მეუღლე ლაიმა პაქსიენე ეწვივნენ საქართველოს უძველეს დედაქალაქს — მცხეთას, დაათვალიერეს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი.**

**საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.**

### არჩევნების წინ

# სახელისუფლებო ბლოკში არავითარი დაპირისპირება არ არსებობს

(პირველი გვერდიდან)

**გუშინწინ კი სახელისუფლებო ბლოკის „ახალი საქართველოსათვის“ წარმომადგენელთა მორიგი შეხვედრა გაიმართა. ზოგიერთმა ტელეარხმა (ეს უკვე მერამდენედ) განაცხადა, თითქოს ამ ბლოკში მონაწილე პარტიები კვოტებზე ვერ თანხმდებიან. საკითხში გასარკვევად ვეწვიე დედაქალაქის მერს ვანო ზოდელავას.**

***— ბატონო ვანო, რაზე იყო საუბარი ამ შეხვედრაზე?***

— ლიტვის პრეზიდენტის როლანდას პაქსასის საქართველოში სტუმრობის გამო, ბუნებრივია, ავთანდილ ჯორბენაძე შტაბის სხდომაზე ვერ მოვიდა. ჩვენი წინადადება კი ასეთია: 100 პროცენტიდან 75 პროცენტი უნდა ჰქონდეს მოქალაქეთა კავშირს, ანუ საქართველოს პრეზიდენტს და მის პარტიას, 25 პროცენტი — დანარჩენ სხვა პარტიებსა და მოძრაობებს. გულახდილად რომ ვთქვათ, ყველაზე მრავალრიცხოვანი პარტია ხომ მოქალაქეთა კავშირია? მითქმა-მოთქმის მიუხედავად, მინდა დაგარწმუნოთ, რომ არავითარი დაპირისპირება სახელისუფლებო ბლოკში არ არსებობს.

რაც შეეხება საკითხს კვოტების გადანაწილების თაობაზე, ბლოკში შემავალ პარტიებსა და მოძრაობებს ჰყავთ თავიანთი ლიდერები. მიმაჩნია, რომ უნდა ჩატარებულიყო რეიტინგული გამოკითხვა ქვეყნის მასშტაბით და ვისაც რა შედეგი ექნებოდა, იმის მიხედვით უნდა გადანაწილებულიყო ადგილები. ზოგი ლიდერი, ჩემი მეგობარი, ამბობს, ეს ძალიან რთული იქნებოდაო, მაგრამ მე ამაზე კარგა ხანია ვსაუბრობ. ასეთი გამოკითხვა უფრო ნათელ სურათს მოგვცემდა და მაღალი რეიტინგის მქონე სუბიექტებს სიაში უფრო მეტი ადგილი ექნებოდა...

***— სახელისუფლო ბლოკშიც გამოჩნდა ახალი სახეები?***

— ისეთი ახალი სახეები შემოგვემატნენ, რომ ბლოკი აუცილებლად უმრავლესობაში მოვა. ვინც კი მაჟორიტარ დეპუტატობაზე წარვადგინეთ, ყველა ღირსეული პიროვნებაა. ისინი დამოუკიდებლად იყრიან კენჭს და, მწამს, კიდეც გაიმარჯვებენ...

***— როგორ უნდა გამოიყურებოდეს დედაქალაქი არჩევნების წინ?***

— სიტუაცია არ უნდა დაიძაბოს. ყველას მოვუწოდებ კონსოლიდაციისკენ. ხალხი დაიღალა. თქვენ გახსოვთ სამოქალაქო ომი, რა მდგომარეობაში იყო თორმეტი წლის წინათ დედაქალაქი, — დღემდე ვიმკით იმ საშინელებების შედეგებს. მიმაჩნია, რომ ყოველგვარი ზედმეტი აჟიოტაჟის, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე უნდა გაიმართოს ეს არჩევნები და ვისაც მოსახლეობა დაუჭერს მხარს, ის უნდა იყოს მისაღები ყველასათვის. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ რომელიმე ქალაქში ან რაიონში მოხდეს დაპირისპირებები, მაგრამ ვისურვებდი, რომ არასასიამოვნო ექსცესები ნაკლები იყოს.



მოვუწოდებ ყველა მაჟორიტარს, დეპუტატობის კანდიდატს, ყველა პარტიის ლიდერებს, რომ იმოქმედონ კონსტრუქციულად, რაც მთავარია, ქვეყნის მოსალონიერებლად და არა — პირადი ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

***— ბატონო ვანო, დესტაბილიზაციას იწვევს უშუქობა, უგაზობა... თბილისში, რატომღაც კვლავ დღის წესრიგში დადგა გაზის მიწოდების პრობლემა. რას ეტყვით მკითხველს ამის შესახებ?***

— სამწუხაროდ, გასულ შაბათ-კვირას გათიშეს გაზი. წესით, ეს „იტერას“ არ უნდა გაეკეთებინა, რადგან ჩვენ 15 რიცხვამდე ვიხდით გადასახადს. უფრო სწორად, მერიას არ ჰქონდა დავალიანება. ქალაქის მოსახლეობას და ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს ჰქონდა გადასახდელი სულ რაღაც 250 ათას დოლარამდე. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ისეთი დიდი თანხა, რომ ვერ დაგვეფარა, ამიტომ ორშაბათსვე, მე და ქალაქის პრემიერი დავუკავშირდით „იტერას“ ხელმძღვანელობას და გაუგებრობაც აღმოიფხვრა. მოსახლეობა უკვე იღებს ბუნებრივ გაზს. ვაკე-საბურთალოს რაიონში 20 სექტემბრისთვის აღსდგება გაზის მიწოდება. ოქტომბრის შუა რიცხვებში კი გლდანი-ნაძალადევის და ისანი-სამგორის რაიონებს მივაწვდით გაზს. მოსახლეობას მთელი ზამთრის პერიოდში ექნება ბუნებრივი აირი.

***— რას ეტყოდით წინასაარჩევნოდ დედაქალაქის მოსახლეობას?***

— უპირველესად, მივმართავდი მათ, რომ აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში და თავიანთი პოზიცია გამოხატონ. ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გააკეთონ სწორი არჩევანი. ყველა ბლოკსა და პარტიაშია მოსაწონი თუ არმოსაწონი პიროვნებები. ასეა ჩვენთანაც. საბოლოოდ კი, ვინც უფრო რეალურად გადაწყვეტს დედაქალაქის თუ ქვეყნის საქმეებს, ხალხმა ყველაზე უკეთ იცის... დემაგოგიას და პოპულიზმს არავინ არ უნდა აჰყვეს.

ვისურვებდი, რომ არჩევნების დღეს საღმა აზრმა გაიმარჯვოს.

***— არჩევნებს სულ რამდენიმე დღით წინ უსწრებს „თბილისობის“ დღესასწაული. რას იტყვის ამის შესახებ დედაქალაქის მერი?***

— „თბილისობა“ ყოველთვის გამოირჩეოდა არა პომპეზური, არამედ საქმიანი, ლამაზი ღონისძიებებით, ახალი ობიექტების ამოქმედებით, მშენებლობათა დამთავრებითა და ახლის დაწყებით; წელსაც გაიმართება ტრადიციული ვაჭრობები რიყეზე, სხვა უბნებშიც. იქნება კონცერტები ფილარმონიაში, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში... მოეწყობა სპორტული ღონისძიებები და, რაც მთავარია, რაც მე ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია, ამ დღესასწაულზე გლდანში გაიხსნება სასმელი წყლის ახალი მილსადენი და მოსახლეობა წყალს დღე-ღამეში უკვე 12-15 საათის განმავლობაში მიიღებს. ასევე, ვარკეთილში დამთავრდება ორი რეზერვუარის მშენებლობა და იქაც კიდევ უფრო გამოსწორდება სასმელი წყლის მიწოდება.

გარემონტდება რამდენიმე ქუჩა სიონის მიმდებარე ტერიტორიაზე, ძველ თბილისში. მსოფლიო ბანკთან ერთად ჩვენი ერთობლივი სამუშაოები დასრულდება ერეკლეს, სიონის, შარდენის ქუჩებზე, რკინისა და ბამბის რიგებზე... აქ მთლად შეიცვლება ინფრასტრუქტურა, აღდგება და ძველ სახეს დაიბრუნებს თბილისი... ეს პროცესი კვლავაც გაგრძელდება.

ასე რომ, ბევრი საინტერესო სიახლე და მოვლენა ელოდება წინ დედაქალაქის მოსახლეობას.

ესაუბრა **ლია ძიგლაძე.**

### კოლეგები

# „მირი“ — პირველი გადაცემა თანამგზავრზე

(პირველი გვერდიდან)

ჩვენს ტელერეალობაში არსებობს „ნათელი არხი“, სახელმწიფოთაშორისი ტელერადიოკომპანია „მირი“. მას 10 წელი შეუსრულდა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ „მირი“ მხოლოდ პოზიტიური ინფორმაციის არხია, რომელიც ხელს უწყობს მსოფლიო ხალხების ურთიერთობას, მათ შორის კეთილგანწყობის ჩამოყალიბებას, ინტეგრაციას, პროცესების ურთიერთგაცვლას და, რაც მთავარია, ობიექტურია მოვლენების მიმართ.

ტელევიზია „მირი“ 1992 წლის 9 ოქტომბერს დააარსა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობამ. მანამდე დსთ ქვეყნებზე ინფორმაციას საქართველო (და არა მარტო საქართველო) მხოლოდ რუსეთის არხების მეშვეობით იღებდა იმ კუთხით, როგორადაც რუსეთი ხედავდა.

10 წლის განმავლობაში „მირი“ სიძნელეებს არ ეპუებოდა. მისი მთავარი მიზანი იყო საინფორმაციო სივრცის გარღვევა ყოფილი საბჭოთა კავშირის, შემდეგ კი დსთ-ს ქვეყნებს შორის, რათა ობიექტური, ამომწურავი ინფორმაცია მიეწოდებინა მასობრივი საშუალებებისათვის. ტელერადიოკომპანია მაყურებელს განსაკუთრებით ახსოვს გადაცემით „D vtcnt“ („ერთად“), სადაც კვირაში ერთხელ, ნახევარი საათის განმავლობაში, მაგიდის გარშემო იკრიბებოდნენ ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ყირგიზი ჟურნალისტები და დსთ-ს პრობლემებზე საუბრობდნენ. მავანს ეტყობა არ მოსწონდა, არ „აწყობდა“ ამ ტიპის გადაცემა, და იგი 2001 წელს დახურეს. ეს მოხდა რუსეთის საზოგადოებრივ არხზე „JHN“-ზე.

ბადრი ნაჭყებია, სახელმწიფოთაშორისი ტელეკომპანია „მირის“ საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი, დაბრკოლებების მიუხედავად, არასოდეს გაჩერებულა, საქმისთვის არასოდეს უღალატია. გადაცემის დახურვის შემდეგ, კომპანიამ 10-15-წუთიანი საინფორმაციო გადაცემები მოამზადა და რუსეთის არხებზე განათავსა.

„მირი“ ერთადერთი ტელერადიოკომპანიაა, რომელსაც საკმაოდ დიდი სეგმენტი აქვს — (მხედველობაში მაქვს ქვეყნები) ევრო-ამერიკულ თანამგზავრზე. არის CNN-ის კონტრიბუტერი საქართველოს ტერიტორიაზე და მჭიდრო კავშირი აქვს მასთან. თანამშრომლობს აგრეთვე რუსეთის სხვადასხვა სატელევიზიო არხთან. ჩვენს ეთერში „მირი“ გადის საქართველოს სახელმწიფო არხის, მე-2 და მე-7 არხების საშუალებით. მართალია, მას მხოლოდ 6-საათიანი საეთერო დრო ეთმობა, მაგრამ კომპანია მუშაობის 18-საათიან გრაფიკს გეპირდება.





„მირი“ ამზადებს კლასიკური ტიპის საინფორმაციო გამოშვებებს, ასევე გადაცემებსა და პროგრამებს „ფესვები“, რომლის მიზანია ფართო აუდიტორიას მიაწოდოს ინფორმაცია ქართული კულტურის უძველესი ისტორიული ძეგლების შესახებ, რომლებზეც, სამწუხაროდ, ხშირად გვედავებიან.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ ქართველებს „მირის“ მეშვეობით მოგვეცა საშუალება თავად წარვუდგინოთ თავი მსოფლიოს, გავაცნოთ ჩვენი მწერლები, მხატვრები, მომღერლები, სპორტსმენები, ახალგაზრდა ნიჭიერი ადამიანები... გავაცნოთ ისე, როგორც საქართველოს უნდა! ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა „მირის“ საქართველოს წარმომადგენლობა, რომელსაც ძლიერი კოსმოსური ტელეპორტები აქვს თბილისში, ერევანში, ბაქოში, სანკტ-პეტერბურგში, მინსკში, კიშინიოვში, ალმათში. ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციასა და სახის დამკვიდრებაში „მირს“ დიდი წვლილი შეაქვს. ბუნებაში არსებობს ქართველი კაცის ღირსების ფენომენი, რომელსაც აღიარება და გაფრთხილება სჭირდება. სწორედ ამას აკეთებს „მირი“.

**ეთერ საბანაშვილი.**

**სურათებზე: ბადრი ნაჭყებია; ეთერში გასვლის წინ.**

### რეპლიკა

# პწკენა-პწკენით პატარძალი დაურსულდაო

სათაურად გამოტანილი ეს ანდაზა, შესანიშნავად წარმოაჩენს საქმის არსს.

თუ კაცს გამუდმებით უტენი თავში რაიმე აზრს, ბოლოს და ბოლოს შეიძლება ისე ჩაუჭედო, რომ გამოღება ველარ შეძლოს.

არის წამების ასეთი სასტიკი წესი: მჭიდროდ მიბმულ კაცს თავზე აწვეთებენ ცივ წყალს. წვეთი რა ბედენაა, მაგრამ 50-ე თუ მე-100 წვეთს ადამიანი ჭკუიდან გადაჰყავს, ბოლოს კი სულაც თავის ქალას უხვრეტს.

თუმცა რაღა შორს მივდივართ, შოთაც ხომ მას ბრძანებს: „გასტეხს ქვასაცა მაგარსა, გრდემლი ტყვიისა ლბილისა“. ან ისევ ქართული ხალხური — „შეძახილით ხე გახმაო“.

ჩვენს ძვირფას ოპოზიციას მოუმარჯვებია ეს მეთოდი და უბედურ ელექტორატს თავში დაუღალავად უჩაჩქუნებს, გინდა თუ არა, ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებსო.

აბა მოვუსმინოთ!

თვითონ ხელისუფლების პრიმასი, ქვეყანაში მეორე პირი ნინო ბურჯანაძე სოფელ-სოფელ დადის და დაუღალავად იმას უმეორებს ამომრჩევლებს, ხელისუფლება (არადა, შენ თვითონაც ხომ ხელისუფლება ხარ?!) აუცილებლად მოგაღორებსო და სთხოვს „არ შეეგუოს საპარლამენტო არჩევნების შედეგებს, თუკი დაინახავს, რომ ამომრჩევლის უმეტესობამ ხმა ოპოზიციას მისცა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კი ხმათა უმრავლესობა სახელისუფლებო ბლოკს დაუფიქსირა“.

ნინო ბურჯანაძე დემოკრატების ლოგიკა გადაგრევს: როგორ, რა ხერხებით უნდა „დაინახოს“ ამომრჩეველმა, რომ „ოპოზიციისათვის მიცემული მისი ხმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სახელისუფლებო ბლოკს დაუფიქსირა“?

ან როგორ, რა ფორმით „არ უნდა შეეგუოს“ ამ ვითარებას?

აქ ძალაუნებურად იხატება სავარაუდო სურათი: შედეგებით უკმაყოფილო ბურჯანაძე დემოკრატები ხალხს პირისპირ ამზადებენ ამბოხებისათვის.

და ამას იქმს ქვეყნის მეორე პირი!

„ხელისუფლება საარჩევნოდ კრიმინალებს გამოიყენებს, ოქტომბერში დიდ არეულობას უნდა ველოდეთ“, — „გვაფრთხილებს“ კვლავ ბურჯანაძე დემოკრატი ედვარდ სურმანიძე.

„ჩოლოქს გაღმა-გამოღმა შევარდნაძე-აბაშიძის ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს“, — ტრადიციულად სახეზე ზეთჩამომდინარი წინასწარმეტყველებს ცრუდიმიტრი დავით ბერძენიშვილი.

„ხელისუფლებამ არჩევნების ბედი უკვე გადაწყვიტა. 2 ნოემბერს საპარლამენტო არჩევნები ხელისუფლების მიერ დადგმული ფარსი იქნება და მასში მონაწილეობის მიღებას აზრი არა აქვს“, — ფეხი გამოჰყო პარტია „დათვის“ ლიდერმა თემურ ხაჩიშვილმა, მეც ნახირ-ნახირაო.

მიზანი ერთია — თავის დაზღვევა. თუ დამარცხდნენ, ხომ უნდა გაამართლონ თავიანთი დამარცხება?

იქმნება შთაბეჭდილება, რომ დღეს სწორედ შიში წარმართავს ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიას.

თვით ქალბატონ ნინო ბურჯანაძე დემოკრატების ხმაშიც კი ძალუმად ფეთქავს ეს შიშის ნერვი, ამიტომაც დაჰკრავს მის სიტყვებს ისტერიული ელფერი. ჩვეულებრივ შემთხვევაში, დადინჯებული მსჯელობისას, იგი ხალხს, ალბათ, დაუმორჩილებლობა-აჯანყებისკენ არ მოუწოდებდა.

ვინ ვინ და პარლამენტის სპიკერმა, რაგინდ შეზრდილი უნდა იყოს გაერთიანებულ დემოკრატებთან, კი უნდა გაისიგრძეგანოს, რაც შეიძლება მოჰყვეს ამ მოწოდებას.

მაგრამ მათი გამართლებაც შეიძლება: ჩვენ ხომ არ ვიცით, რა კოშმარულ სიზმრებს ხედავენ ისინი ღამღამობით? მით უფრო ახლა, როცა საბოლოოდ გაცხადდა, რომ ოპოზიციის დიდი გაერთიანება, რისთვისაც ასე ჩაუქად იღვწოდნენ ქალბატონი ნინო და მისი თანამოსაგრენი, ჩაიშალა და ყველას ცალ-ცალკე მოუწევს სახელისუფლებო ბლოკთან შერკინება.

**ბორის კუტალაძე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ახალი თარგმანი

### პაულო კოელიო

# მეხუთე მთა

### ეძღვნება ა. მ., სინათლის მხედარს, და მაურო სალესს

ნაცვალი და მღვდელი საყარმლეში ჩასხდნენ. მესამე საყარმელი მხედართუფროსისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ის ჯერ არ ჩანდა.

— საზეიმოდ ვაცხადებ ქალაქ აქბარის სამსჯავროს დაწყებას! უხუცესნი წინ გამობრძანდნენ!

რამდენიმე ბერიკაცი ქურუმსა და ნაცვალს მიეახლოვა, და საყარმლების უკან ნახევარი წრე გახნდა. ეს იყო უხუცესთა საბჭო. წინა დროს, ადრე, უხუცესნი რასაც გადაწყვეტდნენ, პატივსა მიაგებდნენ და სრულდებოდა კიდეც. აწ კი ისინი გინდ ყოფილიყვნენ, გინდ არა, სულერთი იყო. ახლა პირწმინდად ცერემონიული როლი ეკისრებოდათ, — მხოლოდღა იმისთვის იყვნენ საჭირონი, რომ ნაცვლის ყველა გადაწყვეტილებაზე ჰოობა ეთქვათ და თანხმობის ნიშნად თავი ექნათ.

ნაცვალმა აუცილებელი წესი და რიგი შეასრულა: მეხუთე მთისა ღმერთებს ლოცვა აღუვლინა, გარდასულ გმირთა სახელები მოიხსენია. მერმე ტყვექმნილს მიუბრუნდა:

— რას გვიბრძანებ?

მან არა უპასუხა რა. რაღაც უცნაურად უცქეროდა ნაცვალს სახეში, როგორც ტოლი ტოლს.

— რა გინდა-მეთქი? — ბრაზიანად გაუმეორა ნაცვალმა.

ქურუმმა ხელი შეახო ნაცვალს.

— მოენე გვინდა. ჩვენი ენა არ იცის.

გაიცა ბრძანება. ერთ-ერთი ჯარისკაცი ისეთი ვაჭრის სამებნელად წავიდა, რომელიც მოინახ გამოდ- [illegible]

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 234-242.

ილია შემოტრიალდა: ხელთ მოღიმარი მხედართუფროსი შერჩა.

— ჩვენ ვერავითარ წინადადებებს ვერ მოვისმენთ. — განაგრძობდა ქურუმი და ხელებს ისე იქნევდა, ისე მღელვარებდა, აშკარად ჩანდა, რა აზრითაც იყო შეპყრობილი. — რა მოლაპარაკება, რის მოლაპარაკება, მაშინვე იმას იტყვიან, შეგვაშინეთო. აქბარელი ხალხი მამაცი ხალხია და ყველა შემოსევას გაუძლებს.

— ამ კაცს მშვიდობა ალაპარაკებს, ხალხო, კარგ საქმეზეა მოსული, — მიმართა ბრბოს ნაცვალმა.

იმწამს ვიღაცის ხმა გაისმა:

— ვაჭრებს მშვიდობა ხელს აძლევს. ქურუმნიც მშვიდობის მოწადინენი არიან. ნაცვალთაც მშვიდობიანი ქალაქების მართვა უნდათ. მარტო ერთი ჯარია, ვისაც სულ ომი ელანდება!

— განა უომრად არ მოვერიეთ ისრაელურ სარწმუნოებას? — შეიძახა ნაცვალმა. — არც ჯარი გავგზავნია, არც ხომალდიონი, იზებელი გავგზავნეთ. ისრაელელნი უკვე ბაალს ეთაყვანებიან, და არც ერთი ჯარისკაცი იქ არ გვეღუპება.

— ასირიელთ ლამაზი ქალი კი არ გამოგვიგზავნეს, მეომრები მოგვიგზავნეს, — კიდევ უფრო ისმამაღლა ქურუმმა.

ხალხი ასირიელის სიკვდილს ითხოვდა. ნაცვალმა ხელი წაავლო ქურუმს, ძალით დასმა მოუნდომა.

— დაჯექი, — უთხრა. — ძალიან შორს შეტოპე.

— ეს საჯარო სამსჯავრო შენი მოწვეობილია, უფრო სწორად, ამ ის- [illegible]

ჩვენი მამა-პაპანი მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. ჩვენ რატომ უნდა ვუღალატოთ ამ წესსა და რიგს? დღეს ომები სავაჭრო საქმეებშია და არა ბრძოლისა ველზე.

ბრბო თანდათან შოშმინდებოდა. ნაცვალი მალავდა!

ხმაური რომ ჩადგა, მან ასირიელს მიმართა:

— რასაც შენ გვთავაზობ, ცოტაა. გამოსაღები უნდა გაიღოთ, რასაც ვაჭრები იხდიან ჩვენს მიწა-წყალზე გავლისას.

— დამიჯერე, ნაცვალო, ჩვენ ასარჩევად არა გვაქვს საქმე. — ჩვენ საკმარისი ხალხი გვყავს, რომ ეს ქალაქიც მიწასთან გავასწოროთ და არც ცოცხალი გავუშვათ ვინმე. თქვენ დიდი ხანი სულ მშვიდობიანად ცხოვრობთ და დავიწყებული გაქვთ, როგორ უნდა ბრძოლა, ჩვენ კი მთელ მსოფლიოს ვიპყრობთ.

ბრბო კვლავ ახმაურდა. ილია ფიქრობდა: „ნაცვალი თავისი გაუბედაობით სულ დაღუპავს საქმეს". მაგრამ ახლა დავა ასირიელ მეომართან, რომელიც ტყვექმნილიც არ იშლიდა და თავის პირობებს ახვევდა, ადვილი არ იყო. ხალხი მოედანზე სულ მატულობდა და მატულობდა. ის კი არა, ილიამ ბრბოში ვაჭრებსაც მოჰკრა თვალი, რომელთაც, შექმნილი მდგომარეობით შეშფოთებულთ, თავიანთი საქმეებისთვის მიუნებებინათ თავი. სამსჯავრო საინტერესო გზაზე შედგა. ჭოჭმანი აღარ ეგებოდა, გარიგება იქნებოდა თუ სიკვდილი, სასწრაფოდ უნდა გადაწყვეტილიყო.

* * *

ხალხი გაიყო: ერთნი მშვიდობის მხარეს იყვნენ, მეორენი მოითხოვდნენ, აქბარმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიოსო. ნაცვალმა ჩურჩულით გადაულაპარაკა ქურუმს:

— ამ კაცმა ხალხის თვალწინ დამამცირა. მაგრამ არც შენ მოქცეულხარ უკეთესად.

ქურუმი შემოუბრუნდა. და, ჩემი ლაპარაკი სხვამ არ გაიგონოსო, ისე უთხრა, ბრძანებაგარეული კილოთი, ასირიელს ახლავ სიკვდილი მიუსაჯეო.

— კი არა გთხოვ, მოვითხოვ. შენ ძალაუფლებას ჩემი წყალობით ინარჩუნებ, და როცა მინდა, მაშინ ჩამოგაბრძანებ საყარმლიდან, გაიგე? თუ იძულებულნი გავხდით და მმართველი დინასტიის შეცვლა განვიზრახეთ, ისიც ვიცით, ღმერთების რისხვა როგორ შევაჩბილოთ. ეს პირველი შემთხვევა არ იქნება: ეგვიპტეშიც კი, რომელმა სამეფომაც ათასი წელიწადი იარსება, მრავალი შემთხვევა ყოფილა, როცა დინასტიები იცვლებოდნენ. მაგრამ ქვეყნიერება არ დანგრეულა, ცა არ დაგვემხობია თავზე.

ნაცვალი გაფითრდა.

— მხედართუფროსი ხალხში დგას რამდენიმე ჯარისკაცთან ერთად. თუ ასირიელებთან შეთანხმებას დაიჟინებ, ყველას ვეტყვი, რომ ღმერთებმა დაგიტევეს, ხელი აიღეს შენზე. და გარევე დაემშვიდობები მაგ შენს ძალაუფლებას. ხალხი არ დაგითმობს. გა- [illegible]

მაინც არ გაუშვიროდეს.

ქურუმმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. და გაისმა ვერდიქტი.

— აქბარს ვერცვინ დაიპყრობს, — წარმოთქვა ნაცვალმა. — და ვერცვინ ფეხს ვერ შემოდგამს ჩვენ ქალაქში, თუ აქბარელებმა არ ინდომეს. შენ სწორედ ნებადაურთველად სცადე ფეხის შემოდგმა, და ამიტომ სიკვდილს გისჯი.

ამ სიტყვების გაგონებისთანავე, ილიამ თვალები დახუჭა. მხედართუფროსი იღიმებოდა.

7.

ხალხით გარშემორტყმული ტყვექმნილი ქალაქის კედელ-გალავანთან სიკვდილით დასჯის ადგილას მიიყვანეს. რაც ტანზე სამოსი შერჩენოდა, ისიც გახადეს და მთლად ტიტველი დატოვეს, ტანტარა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა ხელი ჰკრა და კედელ-გალავნის გვერდით გათხრილ ორმოში გადაუძახა, ხნარცვში. ორმოს ირგვლივ უმალ ხალხი შეგროვდა. ყველას ახლოს მისვლა უნდოდა, რათა კარგად დაენახათ, რა ხდებოდა.

— მეომარს ვამაყება თავისი აბჯარ-აბგარი და მტერს არ ემალება, რადგან მამაცია, ქმუტი და მშტოვარი ქალურად იცვამს, რადგან ლაჩარია, — ისმამაღლა ნაცვალმა, რათა ყველას გაეგონა. — ამიტომ სიკვდილს ვუსჯი, სამარცხვინოდ უნდა მოკვდეს.

ხალხმა სტვენით აიკლო ტყვექმნილი და ნაცვალს კი საქციელი მოუწონეს.

ტყვექმნილი რაღაცას ამბობდა, მაგრამ მოენე ახლომახლო აღარ ჩანდა, და არცვის ესმოდა, რას ლაპარაკობდა. ილია, როგორც იქნა, წინ წადგა და ახლოს მივიდა ნაცვალთან, მაგრამ უკვე გვიან იყო. როცა სირღაზე შევსო, ნაცვალმა უხეშად აუკრა ხელი.

— სულ შენი ბრალია. საჯარო სამსჯავროს გამართვა შენი მოწადინება იყო.

— არა, ჩემი კი არა, შენი ბრალია, — მიუგო ილიამ. — აქბარის საბჭო საიდუმლოდაც რომ მიგეწვია, მხედართუფროსი და ქურუმი მაინც იმასვე იზამდნენ, რის ქმნაც უნდოდათ. სანამ შენ მართლმსაჯულებდი, მე ჯარისკაცებს ალყაში ვუვედი. ყველაფერი კარგად მოუფიქრებიათ.

წესჩვეულებისამებრ, სიკვდილით დასჯის სანგრძლივობას ქურუმი ირჩევდა. ის დაიხარა, ქვა აიღო და ნაცვალს გაუწოდა. ქვა არც ისე დიდი იყო, რომ დასასჯელი მაშინვე მოეკლა, და არც ისე პატარა, რომ ტანჯვა გაეხანგრძლივებინა.

— შენ პირველი ხარ.

— სხვა რა ჩარაა, — მარტო ქურუმის გასაგონად წაუხმადაბლა ნაცვალმა. — მაგრამ ვიცი, რომ არასწორია.

— მთელი ეს წლები შენ მაიძულებდი, რომ რაც შეიძლება მკაცრი ვყოფილიყავი, თავად კი მარტო იმას იქმოდი, რაც ხალხს ესიამოვნებოდა. — ხმადაბლავე მიუგო ქურუმმა. — სულ ეჭვები მხრავდნენ და დანაშაულის გრძნობას ვერ ვიშორებდი თავიდან, უძილო ღამეებიც ბევრი მახსოვს და, თუ მართლა რამე ცოდვაში ჩამიდგამს ფეხი, როცა დამძინებია, ის ცოდვა უმალ მაჯლაჯუნად დამწოლია. მაგრამ იმის წყალობით, რომ არ ვილაჩრე, დღეს მთელი ქვეყანა აქბარს შურისთვალით უცქერის.

ხალხმა შესაფერისი ზომის ქვებს დაუწყო ძებნა. რამდენიმე ხანს მხოლოდ ერთმანეთს მოხვედრილი ქვების რახარუხი ისმოდა. ქურუმმა განაგრძო:

— იქნებ იმაში ვცდები, ამ კაცს სასიკვდილოდ რომ ვიმეტებ, მაგრამ არა იმ საქმეში, რაც ჩვენი ქალაქის ღირსებას ეხება. ჩვენ მოღალატენი არა ვართ.

თარგმნა
ზურაბ გოგიაშვილმა.

(გაგრძელება იქნება).




## კომპეტენტური აზრი

# „ვინა თქვა შენი დალევა"...

## მივხედოთ მომთაბარე მეცხვარეობას!

**მომთაბარე მეცხვარეობა ქართული სულისა და სიმარჯვის გამოვლინებაა, რომელსაც ეკონომიკური მნიშვნელობის გვერდით დიდი სოციალური და საზოგადოებრივი აზრი გააჩნია. ამ დარგს, დღეს როგორც არასდროს, შეუძლია მთაში შრომისუნარიანი ძალების დასაქმება და დამაგრება. ამავე დროს, მეცხვარეობის ეს ძველისძველი მიმართულება, დიდ როლს ასრულებს მთისა და ბარის ურთიერთკავშირებსა და კოოპერაციაში. მეცხვარეობის დარგის დღეს არსებული მდგომარეობა, გარდა ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკისა და სახელმწიფოს ადმინისტრაციული ქმედებებისა, გარკვეულწილად, უკავშირდება ბიომრავალფეროვნების დაცვის საზოგადოდ აღიარებულ თანამედროვე პრინციპებსა და მიმართულებებს.**

მეცხვარეობის დარგის პრობლემების შესწავლისა და რეგიონში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების პრინციპების განვითარებისათვის „კოალიცია კახეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის" წევრი ორგანიზაციების მიერ დაწყებულია თვისობრივად ახალი მდგრადი განვითარების სტრატეგიების დანერგვა აღმოსავლეთ საქართველოს მიწნობრივ თემებსა და რაიონებში, სადაც აღნიშნული საკითხები მთელი სიმწვავით იჩენს თავს.

მეცხვარეობის დარგის სირთულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი მეცხვარეთა პირადი ჯანდაცვის საკითხია. ამიტომაც კოალიცია სერიოზულად მუშაობს კახეთის მოსახლეობის და განსაკუთრებით, მისი ინფექციურად საშიშ ზონებში მცხოვრები პირების, სამედიცინო განათლებით უზრუნველყოფის საკითხებზე.

ჯანმრთელობის დაცვის და, შესაბამისად, ადამიანის მდგრადობის საკითხები განსაკუთრებით აქტუალურია მეცხვარეთა ბრიგადებში. ინფექციური, ინვაზიური და სხვა ტიპის დაავადებების საშიშროება სწორედ იქ შეინიშნება, სადაც საზოგადოება ინფორმაციას მოკლებულია. სამედიცინო ცოდნა ხშირად მოძველებული და ნაკლებეფექტურია.

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველო წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან რეგიონს, როგორც ბიომრავალფეროვნების, ისე სამეურნეო სოფლის მეურნეობის კუთხით. ამ რეგიონშია განლაგებული ერთადერთი ზამთრის საძოვრები, რომლებზეც თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული საქართველოში ათასწლოვანი ისტორიის მქონე თუში მეცხვარე. რეგიონი განიცდის ძლიერ ანთროპოგენურ ზეგავლენას. ეს იმიტომ ხდება, რომ იგი ტრადიციულად ზამთრის საძოვრებად გამოიყენება. გასაბჭოებამდე მოსახლეობა ფართოდ იყენებდა საძოვართბრუნვას. მიწათმოქმედების ეს ტრადიციული სისტემა საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და გამოიცდებოდა. მაგრამ იგი შეუთავსებელი აღმოჩნდა საბჭოთა მეურნეობის წესებთან. მათი ჩამოყალიბების შემდეგ საძოვრების უტილიზაცია საგრძნობლად გაიზარდა და დაიწყო ეროზიული პროცესების განვითარება. ძოვების ინტენსივობამ იმატა უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოდან ცხვარი ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე აღარ გადაჰყავთ.

XX საუკუნეში საბჭოთა იმპერიის დანგრევას მოჰყვა იმ პროტექციონისტური მეთოდოლოგიის დასამარება, რაც სხვა დარგებთან ერთად საქართველოს მეცხვარეობასაც ასაზრდოვებდა. ხსენებულ პერიოდში მარტო საქართველოში ცხვრის სახელმწიფო შესყიდვების ოდენობა წელიწადში 300.000 სულს აღწევდა. ამავე დროს სახელმწიფო თავის თავზე იღებდა მეცხოველეობის საკვები რეზერვებისა და მეცხვარეთა შრომის ანაზღაურების საკითხების მოგვარებას. პროტექციონიზმი, რაოდენაც სასარგებლო უნდა იყოს, შემდეგ აუცილებლად უარყოფით შედეგებს გამოიღებს. ფაქტობრივად, 1990 წლის შემდეგ საქართველო მეცხვარეთა თავისუფალ ბაზარს გამოუცდელი და მოუმზადებელი შეხვდა. დაიწყო ე.წ. „შოკური თერაპია", რამაც თავისი უარყოფითი გავლენა ძალიან მალე მოახდინა.

თუ 1989 წლისათვის საქართველოში ცხვრის საერთო სულადობა 1,6 მილიონს აღწევდა, დღეს მისი ოდენობა 633 000 სულამდე შემცირდა. ზამთრის საძოვრებად მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს შირაქის ველი დარჩა. შესაბამისად ამ ტერიტორიის დატვირთვა გაიზარდა. მეცხვარეობაში არსებულმა პრობლემებმა წარმოშვა საძოვრებისადმი მიმტაცებლური დამოკიდებულება. რადგანაც საბჭოთა პერიოდში არსებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები დაინგრა და ახალი საბაზრო ეკონომიკური სტრუქტურების ფორმირება დღემდე ძალზე ნელა მიმდინარეობს. ეს პრობლემა, პირველ რიგში, ეხება მეცხვარეთა სოციალურ მდგომარეობას, მომსახურების სფეროსა და საძოვრების საკუთრების ფორსირების გარკვევას.



ზემოაღნიშნულ პრობლემებთან დაკავშირებით საქართველოს საკანონმდებლო ბაზა მწირია და აღნიშნულიდან გამომდინარე, მრავალი საჭირბოროტო საკითხი უყურადღებოდ რჩება. საქართველოს კანონი „ნიადაგის დაცვის შესახებ" კრძალავს „საძოვრების გამწირებას უწესრიგო ძოვების", ანუ ნიადაგი დაცული უნდა იყოს გადაჭარბებული ძოვებისაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ნიადაგი გამოიფიტება და დგება მისი გაუდაბნოების საშიშროება. მაგრამ აღნიშნული კანონი ან სხვა ნორმატიული აქტები არ აწესრიგებს, თუ როგორ უნდა მოხდეს საძოვრების დაცვა, რა მექანიზმებით არის შესაძლებელი ჭარბი ძოვების თავიდან აცილება. არ არის შემუშავებული ტევადობის მიხედვით საძოვრების ზონირება, რაც შესაძლებელს გახდიდა საძოვრის ტიპის და მისი მდგომარეობის გათვალისწინებით პირუტყვის ისეთი დასაშვები ზღვრული ნორმის დადგენა, [illegible]

დღეს მომთაბარე მეცხვარეობას დიდი რაოდენობით პრობლემები ახლავს. მათ შორის უმთავრესია ზამთრის საძოვრების დეგრადაციის მაჩვენებლების ზრდა, საძოვრების გაუდაბნოების პროცესი, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყო და საზარელ მასშტაბებს აღწევს. ეროზიის უმთავრეს მიზეზებს არამდგრადი სისტემების დანერგვა წარმოადგენს. საძოვრების განაწილების პროცესი აბსოლუტურად არადემოკრატიული და ქაოსურია. სახელმწიფო ბიუროკრატები ხშირად დაბალ ფასში იჯარით იღებენ საძოვარს, რომელსაც შემდეგ მეცხვარეებზე მაღალ ფასებში აქირავებენ. საქართველოში დღემდე არ არსებობს საძოვრების მართვის სწორი მექანიზმები.

ქაოსურად იღებენ ვეტერინარულ ზომებს. ის, რომ შინაური პირუტყვი არ იცრება, ბადებს საშიში დაავადებების გავრცელების საშიშროებას.

არავინ იბარებს მატყლს და ხშირად მეცხვარეები ამ სასარგებლო რესურსს სხვადასხვა მეთოდებით თავიდან იცილებენ ხოლმე.

ცხვრის გადასარეკი ტრასები უკიდურესად გავერანებული და მოუწყობელია. რეგიონის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა უსისტემო და ქაოტურია.

ზემოხსენებული ფაქტორები მძიმე ტვირთად აწევება ქართველ მეცხვარეს, მისი შემოსავლები კლებულობს. მომთაბარე მეცხვარეობა დღეს საქართველოში დაახლოებით 45 000 კაცს არჩენს, მეცხვარეთა სოციალურ გარემოში მოვლენები კი დრამატულად ვითარდება.

ეკონომიკური ანალიზით ნათლად ჩანს, რომ გარკვეული ბიომრავალფეროვნების დაცვის და საერთაშორისო მეთოდების გარეშე მეცხვარეობიდან შემოსავალი შემცირდება. ეს, ჩვენი აზრით, ორ მთავარ ფაქტორზეა დამოკიდებული: პირველი — ბიომრავალფეროვნება ზოგადად და კონკრეტულად საძოვრების გამოფიტვა და დეგრადაცია და მეორე — მიწის საკითხი.

ტერმინი **ბიომრავალფეროვნება** არცთუ დიდი ხნის წინათ გაჩნდა მსოფლიო მეცნიერებაში. იგი მთლიანად სასიცოცხლო გარემოს და მისი ყოველი კომპონენტის გადარჩენას გულისხმობს. ბიომრავალფეროვნების კონსერვირება მთლიან ან ნაწილობრივი ფორმით, ფაქტობრივად, პირველყოფილი გარემოს შენარჩუნებას ნიშნავს. მეცხვარეობა მთლიანად არის დამოკიდებული ბიომრავალფეროვნების მდგომარეობაზე, არადა, ეს დარგი გარკვეულწილად აზიანებს მას. ზიანის შედეგი იოჰანესბურგის სამიტის შემდეგ ეკონომიკურად და მათემატიკურად თვლადი ხდება. ეკონომიკის ეკოლოგიზაციის პრობლემები ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია.

ბოლო პერიოდში ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის შესახებ მრავალი ნაშრომი ქვეყნდება. იქ განსაკუთრებით საინტერესოა მოცემული გარემოსა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკური ფასეულობის გამოთვლის მეთოდოლოგია. ეკოლოგიის კრიზისს საერთაშორისო ეკონომიკური წრეების აზრით, პირდაპირპროპორციულად მოსდევს ეკონომიკური კრიზისი. შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების დაუცველობას უკვე მოსდევს ეკონომიკური სტაგნაცია მომთაბარე მეცხვარეობაში.

მიწის საკითხი განსაკუთრებულად მწვავედ დგას XXI საუკუნის საქართველოში. მიწა რჩება ერთადერთ უძვირფასეს ფასეულობად ყველა სხვა რესურსის გახარჯვის შემდეგ. ამიტომაც მოსალოდნელია, რომ ის ყველაზე დიდი კორუფციისა და უკანონობის საფუძველი გახდება.

ხავრიელი მიწის ეკონომიკური ეფექტიანობა საქართველოს რეგიონებში დღეს „ფეოდალური ამბიციების" ობიექტია. ამ პროცესებში განსაკუთრებით დაიჩაგრა მომთაბარე მეცხვარეობა და კერძოდ, თუში მეცხვარე, რომელიც უმიწოდ დარჩა. განხორციელებული პრივატიზაციის შედეგად მეცხვარე დაემსგავსა ფასიან ავტოსტრადაზე მოძრაობის მსურველ მძღოლს, რომელმაც გზის უფლება ფულით უნდა იყიდოს.

უკიდურესად გაუარესებულია რეგიონის მოსახლეობის ჯანდაცვის საკითხი. საკუთარი დანაზოგის უქონლობის გამო რეგიონის მცხოვრებმა ხშირ შემთხვევაში სახლ-კარი და უძრავ-მოძრავი ქონება უნდა გაყიდოს. ადგილობრივმა მოსახლემ არ იცის, როგორ მოქმედებს ჯანდაცვის სისტემა კონკრეტულ შემთხვევებში, რა სახეობის დაავადების დროს ეკუთვნის პაციენტს დახმარება სახელმწიფოს მხრიდან და სხვა.

ჯანდაცვის საკითხების დარეგულირებისათვის მოსახლეობას სჭირდება ინფორმაციის მიწოდება ჯანდაცვის პრევენციისა და სახელმწიფო სამედიცინო პროგრამების მოქმედების პრაქტიკული გამოვლინებების შესახებ. კოალიცია კახეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზემოხსენებული საკითხების ფონზე აცხადებს, რომ „ფერმერის შემოსავლები, როგორც დამოუკიდებელი და დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, ეჭვქვეშ დგება. რეალურად მოსახლეობის შემოსავლების ასეთი ქაოტური და არაორგანიზებული ხასიათი თრგუნავს გლეხის დამოუკიდებლობას (მათ შორის — ეკონომიკურ დამოუკიდებლობას). სერიოზულად ამუხრუჭებს სოფლად დემოკრატიული პროცესების განვითარებას. ასეთ ფონზე უკიდურესად დაბალია კავშირი ხალხსა და შესაბამის სახელისუფლებო სტრუქტურებს შორის, რასაც შესაბამისად, საზოგადოებრივი პოლიტიკური პროცესების ინტენსიურობის დაბალ მაჩვენებელთან მივყავართ".

**კახაბერ ჯაყელი,**
**ბიომრავალფეროვნების ეკონომიკის ექსპერტი.**

## საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური სახელმწიფო კანცელარიის მომსახურების სააგენტოს განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური, სახელმწიფო კანცელარიის მომსახურების სააგენტო აცხადებს ღია ტენდერს სახელმწიფო კანცელარიის სხდომათა დარბაზების ტექნიკური აღჭურვის შესყიდვაზე.

**შესყიდვის საგანი:**

საკონფერენციო სისტემა, გახმოვანების სისტემა, სინქრონული თარგმანი, ვიდეო გრაფიკული ინფორმაციის ასახვა. სახელმწიფო კანცელარიის მომსახურების სააგენტო ტენდერში მონაწილეების მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვა განხორციელდება 2003 წლის განმავლობაში სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურის სახელმწიფო კანცელარიის მომსახურების სააგენტოსა და ტენდერში გამარჯვებულს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინონ 2003 წლის 25 სექტემბრიდან 30 სექტემბრის 14 საათამდე ქართულ ენაზე.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**4.1. იურიდიულ პირთათვის:**

ა) ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

გ) ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდადებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

დ) დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ.

ე) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

ვ) საქმიანობის შესაბამის სფეროში გაცემული ლიცენზიის ასლი.

**4.2. ფიზიკურ პირთათვის:**

ა) ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) დადგენილების ასლი საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციის შესახებ;

ე) ინფორმაცია ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ.

ვ) საქმიანობის შესაბამის სფეროში გაცემული ლიცენზიის ასლი.

5. დაინტერესებული პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას და არ დამტკიცდება პრეტენდენტად, თუ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებზე სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ 25 სექტემბრიდან 30 სექტემბრის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური სახელმწიფო კანცელარიის მომსახურების სააგენტო. ტელ: 93-13-97 ან 8(77) 41-77-78, 99-96-87, 99-89-77.**

7. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური სახელმწიფო კანცელარიის მომსახურების სააგენტოში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7. სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახური სახელმწიფო კანცელარიის მომსახურების სააგენტო. ტელ: 93-13-97 ან 8(77) 41-77-78, 99-96-87, 99-89-77.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# საქართველოს ორგანული კანონი

## საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

33. 52-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 52¹-ე მუხლი:

**„მუხლი 52¹. ამომრჩეველთა მარკირება**

1. საქართველოს ყველა დასახლებულ პუნქტში, სადაც შექმნილია ერთზე მეტი საარჩევნო უბანი, გამოიყენება ამომრჩეველთა მარკირების პროცედურა, რაც ითვალისწინებს თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უვნებელი ქიმიური სადებავის წასმას ამომრჩევლის მარჯვენა ხელის საჩვენებელი ან ცერა თითის ფრჩხილზე (აღნიშნული მოქმედების შეუძლებლობის შემთხვევაში – ხელის თითის სხვა ფრჩხილზე, ხოლო ამის შეუძლებლობისას – ასეთივე წესით მარცხენა ხელზე).

2. მარკირების შემოწმების პროცედურას ამომრჩეველი გადის კენჭისყრის ოთახში შესვლისას კომისიის შესაბამის წევრთან, რომელიც სპეციალური ხელსაწყოთი ამოწმებს მარკირების ადგილს და მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს მარკირება არ აქვს, ამომრჩეველს აძლევს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. თუ ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა და მისი ვინაობა შეიტანება ჩანაწერთა წიგნში.

3. ამომრჩეველი, რომელმაც გაიარა მარკირების შემოწმების პროცედურა, გადადის სარეგისტრაციო მაგიდასთან, სადაც გაივლის რეგისტრაციას და მიიღებს საარჩევნო ბიულეტენს (ბიულეტენებს). ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსების შემდეგ სპეციალური კონვერტის მიღებისას კომისიის წევრი ახორციელებს ამომრჩევლის მარკირებას.

4. თუ საარჩევნო კომისიის წევრს, უბანზე მყოფ დამკვირვებელს ან/და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს ეჭვი გაუჩნდა მარკირების ან მისი შემოწმების პროცედურის გამო, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ მუხლის მე-2 ან/და მე-3 პუნქტების განმეორებითი ჩატარება. ამ პირს უფლება აქვს სათანადო რეაგირება მოითხოვოს მარკირების პროცედურის დარღვევის ნებისმიერი გამოვლენისას.

5. მარკირება არ გამოიყენება ნაოსნობაში მყოფ გემებზე, წინასწარი პატიმრობის დაწესებულებებში, სავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში (აგრეთვე სამხედრო ნაწილებში), აგრეთვე გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრის მონაწილეთა მიმართ.

6. ამომრჩეველს, რომელმაც გაიარა მარკირების პროცედურა და მონაწილეობა მიიღო კენჭისყრაში, უფლება არა აქვს იმავე ან სხვა საარჩევნო უბანზე ხელახლა მიიღოს კენჭისყრაში მონაწილეობა.

7. ამ მუხლის მოთხოვნათა დამრღვევ პირს ეკისრება საქართველოს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.".

34. 53-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საუბნო საარჩევნო კომისია საარჩევნო ბიულეტენსა (ბიულეტენებსა) და სპეციალურ კონვერტებს გასცემს ამომრჩეველთა სიის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (საქართველოს მოქალაქის პასპორტის) წარდგენის შემთხვევაში.";

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას ამომრჩეველთა სიის სათანადო გრაფაში შეიტანება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის) ნომერი და გაცემული ბიულეტენების რაოდენობა. ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემას კომისიის წევრი – რეგისტრატორი ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს.";

გ) მე-4 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

დ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამომრჩეველი საარჩევნო ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით ადასტურებს.";

ე) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6. საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12 და 17 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიებში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი, შესაბამისი დროის მინიშნებით, შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.".

35. 54-ე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ხმის მიცემის პროცედურა ხორციელდება შემდეგი წესისა და თანამიმდევრობის დაცვით:

ა) კენჭისყრის ოთახში შესვლამდე ამომრჩეველი გადის მარკირების შემოწმების პროცედურას;

ბ) თუ ამომრჩეველი არ იქნება მარკირებული, მას მისცემენ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლებას. ამომრჩეველთა ნაკადის მოწესრიგებისთვის კომისიის წევრი კენჭისყრის ოთახში ამომრჩეველს უშვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ერთ სარეგისტრაციო მაგიდასთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ დგას;

გ) კენჭისყრის ოთახში შესული ამომრჩეველი მიდის იმ სარეგისტრაციო მაგიდასთან, რომელსაც მიეკუთვნება ამომრჩეველთა სიაში მისი რიგითი ნომერი, რეგისტრატორს წარუდგენს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას (ან საქართველოს მოქალაქის პასპორტს) და ამომრჩეველთა სიაში მოწმობის (ან პასპორტის) ნომრის შემდეგ ხელს აწერს ბიულეტენის (ბიულეტენების) მიღებას. ბიულეტენის (ბიულეტენების) გაცემისას რეგისტრატორი ხელს აწერს ბიულეტენის (ბიულეტენების) უკანა გვერდზე სათანადო გრაფაში და ამომრჩეველთა სიაში;

დ) მიღებული ბიულეტენი (ბიულეტენები) ამომრჩეველს მიაქვს დამოწმებისთვის კომისიის წევრთან, რომელიც ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამოწმებს საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდით;

ე) ბიულეტენის (ბიულეტენების) დამოწმების შემდეგ ამომრჩეველი შედის ფარული კენჭისყრის კაბინაში და ავსებს საარჩევნო ბიულეტენს (ბიულეტენებს) ამ კანონის შესაბამისად. ბიულეტენის (ბიულეტენების) შევსების შემდეგ ამომრჩეველმა იგი (ისინი) ისე უნდა დაკეცოს, რომ არ ჩანდეს, ვის მისცა ხმა;

ვ) დაკეცილი ბიულეტენი (ბიულეტენები) ამომრჩეველს მიაქვს თვალსაჩინო ადგილას განლაგებულ მაგიდასთან, სადაც სპეციალური კონვერტების გამცემი კომისიის წევრი ამოწმებს ბიულეტენის (ბიულეტენების) უკანა გვერდზე ხელმოწერის არსებობას, რის შემდეგაც ამომრჩეველს გადასცემს სპეციალურ კონვერტს და განახორციელებს მის მარკირებას;

ზ) დამოწმებული ბიულეტენი (ბიულეტენები) ამომრჩეველმა უნდა ჩადოს სპეციალურ კონვერტში, მივიდეს საარჩევნო ყუთთან და მასში ჩააგდოს კონვერტი. საარჩევნო ყუთთან ერთდროულად ერთზე მეტი ამომრჩევლის მისვლა არ შეიძლება;

თ) საარჩევნო ყუთთან მუდმივად უნდა იდგეს საარჩევნო ყუთზე ზედამხედველი კომისიის წევრი. მას დახურული უნდა ჰქონდეს კონვერტის ჩასაგდები ჭრილი, რომელიც უნდა გახსნას მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდება, რომ ამომრჩეველს ხელში მხოლოდ ერთი კონვერტი აქვს;

ი) კენჭისყრის დასრულების შემდეგ ილუქება საარჩევნო ყუთში კონვერტის ჩასაგდები ჭრილი.

3. საარჩევნო ბიულეტენების შევსებისას აკრძალულია სხვა პირის დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი, უფლება აქვს ფარული კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა:

ა) საარჩევნო კომისიის წევრისა;

ბ) კანდიდატისა;

გ) საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა;

დ) დამკვირვებლისა.

4. თუ ამომრჩეველს ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური კონვერტი, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც გაფუჭებულ ბიულეტენს/სპეციალურ კონვერტს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე, წაეწერება „გაფუჭებულია", ხელს მოაწერს კომისიის თავმჯდომარე და იგი ცალკე შეინახება.

5. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებსა და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში შესვლამდე და სპეციალურ კონვერტში ბიულეტენის (ბიულეტენების) ჩადებამდე მოსთხოვონ, უჩვენოს, რომ მას ხელთ აქვს მხოლოდ ამ კანონით დადგენილი რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი. ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.".

36. 56-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გადასატანი სარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის უფლება აქვთ ამ კანონის მე-11 მუხლით განსაზღვრულ პირებს.

2. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში მისვლის შეუძლებლობის შემთხვევაში ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა. ინფორმაციას კენჭისყრის დღეს სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი ამომრჩევლის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისია გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა. ამომრჩეველი ამომრჩეველთა სიის დანართში შეჰყავთ მას შემდეგ, რაც:

ა) საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირებული იქნება ამომრჩევლის წერილობითი ან ტელეფონით გაკეთებული ზეპირი განცხადება, რის შესახებაც საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა სათანადო ჩანაწერი უნდა გააკეთოს სარეგისტრაციო ჟურნალში სატელეფონო შეტყობინების ზუსტი დროის მითითებით და დაადასტუროს ხელმოწერით (სარეგისტრაციო ჟურნალში უნდა აღინიშნოს იმ ტელეფონის ნომერი, რომლითაც ამომრჩეველმა გააკეთა ზეპირი განცხადება);

ბ) ამომრჩეველთა ერთიან ან სპეციალურ სიაში აღინიშნება ამომრჩევლის გადაყვანა ამომრჩეველთა სიის დანართში, რაც დასტურდება საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის ხელმოწერებით.";

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3¹ პუნქტი:

„3¹. თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით ხმის მიცემის მოთხოვნით საუბნო საარჩევნო კომისიას მიმართავს ამ უბნის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 2%-ზე მეტი, გადასატანი საარჩევნო ყუთით კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მიეცემათ მხოლოდ საუბნო საარჩევნო კომისიის ჟურნალში დადგენილი წესით რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩევლებს.";

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ამომრჩეველთა ადგილსამყოფლის მიხედვით კენჭისყრის გასამართავად გამოიყენება ერთი გადასატანი გამჭვირვალე ყუთი. კომისიის მდივანი ვალდებულია ჩანაწერთა წიგნში აღნიშნოს, რამდენი ბიულეტენი გადაეცა გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლებ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს. არჩევნების დასრულების შემდეგ გადასატან ყუთში არსებული და გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმხლები საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების მიერ გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა დაჯამდება შედარების მიზნით.".

37. 57-ე მუხლის 1-ლი–მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კენჭისყრის დამთავრების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამ კანონის 52-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული წილისყრის მონაწილე კომისიის წევრებისგან იმავე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით წილისყრით შეარჩევს არანაკლებ სამ მთვლელს, ხოლო დამკვირვებლები თავისი შემადგენლობიდან ურთიერთშეთანხმებით შეარჩევენ არა უმეტეს ორ მეთვალყურეს (თუ დამკვირვებლები ვერ შეთანხმდნენ, მათგან ორ მეთვალყურეს წილისყრით გამოავლენს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე).

2. მთვლელები თანამიმდევრულად ითვლიან ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიებისა და ამომრჩეველთა სიის დანართის მიხედვით კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას. შედეგები საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში, სადემონტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში, რის შემდეგაც ცალ-ცალკე შეფუთავს და დალუქავს ერთიან და სპეციალურ სიებსა და ამომრჩეველთა სიის დანართს.

3. მთვლელები შემდეგი თანამიმდევრობით ითვლიან და პაკეტებად კრავენ:

ა) გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს, რომელთა რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში (ოქმების ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელში), სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში. პაკეტზე იწერება გამოუყენებელ ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობა;

ბ) გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებსა და სპეციალურ კონვერტებს, რომელთა რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ შესაბამის ოქმში (ოქმების ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელში), სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში. პაკეტზე იწერება გაფუჭებულ ბიულეტენთა და სპეციალურ კონვერტთა რაოდენობა.".

38. 58-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. მთვლელებს განცალკევებით მდგარ მაგიდაზე გადააქვთ საარჩევნო ყუთები და ადგილს ისე იკავებენ, რომ მოპირდაპირე მხარეს, ერთი მეტრის დაშორებით იმყოფებოდნენ საარჩევნო კომისიის წევრები და კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირები. ამ მთვლელების გვერდით დგება დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ორი მეთვალყურე.

4. თუ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმა მისცა ათზე მეტმა ამომრჩეველმა, ძირითად და გადასატან საარჩევნო ყუთებში არსებული ბიულეტენები ითვლება ცალ-ცალკე. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველად იხსნება ძირითადი საარჩევნო ყუთი. მთვლელები საარჩევნო ყუთიდან მაგიდაზე გადმოყრიან სპეციალურ კონვერტებს, ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას და უდარებენ მას საუბნო საარჩევნო კომისიაში შენახულ საკონტროლო ფურცელს. თუ ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა ან გამოვლინდა განსხვავება ამ ფურცელსა და კომისიაში შენახულ საკონტროლო ფურცელს შორის, ყველა კონვერტი დაუყოვნებლივ შეიფუთება, დაილუქება, შედგება სათანადო ოქმი და დაუყოვნებლივ გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიას. თუ ყველაფერი წესრიგშია, მთვლელები გადასატანი საარჩევნო ყუთიდან მაგიდაზე, ამოწმებენ საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არსებობას, დაითვლიან სპეციალურ კონვერტებს და იწყებენ ხმების დათვლას. თუ გადასატან ყუთში არსებული კონვერტების რაოდენობა აღემატება ამომრჩეველთა სიის დანართში ხელმომწერ ამომრჩეველთა რაოდენობას, საარჩევნო ყუთში არსებული ბიულეტენები ბათილად იქნება ცნობილი. თუ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმა მისცა ათზე ნაკლებმა ამომრჩეველმა, მთვლელები ორივე ყუთში ცალ-ცალკე ამოწმებენ საკონტროლო ბარათის არსებობას და შემდეგ ყუთებიდან გადმოყრილ სპეციალურ კონვერტებს ურევენ ერთმანეთში.".

39. 59-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დამკვირვებელთაგან გამოვლენილი ერთი მეთვალყურე დგება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნულ მეორე მთვლელთან, ხოლო მეორე მეთვალყურე – იმავე ქვეპუნქტში აღნიშნულ მესამე მთვლელთან. მათ უფლება აქვთ დააკვირდნენ დათვლის მთელ პროცედურას, მიუთითონ შეცდომაზე, მოითხოვონ შეცდომის გასწორება, ხოლო მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში გაასაჩივრონ საუბნო საარჩევნო კომისიის მოქმედება ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში, შემდეგ კი – სასამართლოში. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს უფლება აქვთ მიუთითონ მთვლელს, ცალკე გადადოს ის საარჩევნო ბიულეტენები, რომელთა ნამდვილობაც საეჭვოდ იქნა მიჩნეული. მთვლელი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.";

ბ) მე-6–მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენებზე იწერება „ბათილია", ხოლო დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენებზე – „დაუდგენელია", რასაც ხელს აწერენ მთვლელები და საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ისინი ცალ-ცალკე პაკეტებად იკვრება და მათი რაოდენობა საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში (ოქმების ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელში), სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.

7. საარჩევნო ბიულეტენების ყოველი პაკეტი უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. შეკვრას უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის ნომერი, საარჩევნო ბიულეტენების სახე და რაოდენობა.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტში აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ითვლება თითოეული საარჩევნო სუბიექტისთვის მიცემულ ხმათა რაოდენობა და საარჩევნო ბიულეტენები იკვრება ამ მუხლის მე-9 პუნქტში აღწერილი წესით. თითოეული საარჩევნო სუბიექტის კუთვნილი ბიულეტენების დასტა ცალ-ცალკე უნდა შეიფუთოს და დაილუქოს. საარჩევნო სუბიექტების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა კომისიის მდივანს დაუყოვნებლივ შეაქვს შესაბამის შემაჯამებელ ოქმში (ოქმების ბლოკნოტის ყდის უკანა ფურცელში), სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში.".

40. მე-60 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის 57-ე–59-ე მუხლებში აღნიშნული პროცედურების დასრულების შემდეგ კომისიის მდივანი საუბნო საარჩევნო კომისიისთვის განკუთვნილი შემაჯამებელი ოქმის მიხედვით ავსებს ოქმის 10 ეგზემპლარს (№№01 – 10).";

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

ა) ოქმის სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის თარიღი (შეივსება ოქმის გაცემისას);

ბ) საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი, საარჩევნო უბნის ნომერი;

გ) არჩევნების დასახელება;

დ) კენჭისყრის თარიღი (თუ ეს არის განმეორებითი კენჭისყრა ან არჩევნების მეორე ტური, ესეც უნდა აღინიშნოს);

ე) მიღებული, გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების რაოდენობა;

ვ) ამომრჩეველთა რაოდენობა ერთიან სიაში, სპეციალურ სიებში და ამომრჩეველთა სიის დანართში, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბანში;

ზ) კენჭისყრის მონაწილეთა რაოდენობა ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიებისა და ამომრჩეველთა სიის დანართის მიხედვით (ეს რაოდენობა ტოლია ამომრჩეველთა სიებში მათი ხელმოწერების რაოდენობისა), კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რაოდენობა საარჩევნო უბანში;

თ) კონვერტების რაოდენობა ძირითად და გადასატან ყუთებში:

ი) დაუდგენელი ნიმუშის, ბათილად ცნობილი და ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა;

კ) საარჩევნო სუბიექტების დასახელებები და მათ მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა;

ლ) ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობა (ასეთია ბიულეტენი, რომელშიც გადახაზულია ყველა სუბიექტი);

მ) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო;

ნ) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი" და ხელს აწერს მას).";

გ) მე-7 და მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის №01 და №02 ფურცლები (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით) ბიულეტენებისა და ამომრჩეველთა სიების დალუქულ პაკეტთან ერთად დაუყოვნებლივ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას.

8. ოქმის №№03 – 08 ფურცლები დაუყოვნებლივ გადაეცემა საარჩევნო უბანში საუკეთესო შედეგის მქონე ექვსი პარტიის/საარჩევნო ბლოკის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს, ხოლო №09 და №10 ფურცლები – ორი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს (თუ ამ ოქმების მიღების სურვილი მეტმა დამკვირვებელმა გამოთქვა, ეს ორი დამკვირვებელი წილისყრით შეირჩევა). სხვა წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს კენჭისყრის მომდევნო დღეს, თუ მოითხოვენ, გადაეცემათ შემაჯამებელი ოქმის მიხედვით შევსებული ოქმები, რომლებსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც №№01 – 10 ოქმებისა). ოქმის მიღებას წარმომადგენელი/დამკვირვებელი საუბნო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს.";

დ) მე-8 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:

„9. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმთან ერთად საოლქო საარჩევნო კომისიას ეგზავნება ამომრჩეველთა სიები კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერებით. საოლქო საარჩევნო კომისია, თავის მხრივ, აღნიშნულ სიებს უგზავნის ცესკოს, რომელიც ახარისხებს მათ და ინახავს არქივში.".

41. 61-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. განცხადება/საჩივარი საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურის დარღვევის შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს დარღვევის შემჩნევისთანავე, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე.";

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. განცხადება/საჩივარი კენჭისყრის პროცედურის დროს ჩადენილი დარღვევის შესახებ საარჩევნო ყუთის გახსნამდე უნდა გადაეცეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილეს ან კომისიის მდივანს, რომელიც რეგისტრაციაში გაატარებს მას ჩანაწერთა წიგნში, ხოლო განმცხადებელს ამ კანონის 22-ე მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად გადასცემს ცნობას (თავისი ხელმოწერით), რომელშიც აღინიშნება შესაბამისი განცხადების/საჩივრის კომისიაში მიღების თარიღი და დრო.";

გ) მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დამტკიცებამდე და მასში მითითებული უნდა იყოს:

ა) განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღი და დრო;

ბ) განმცხადებლის/მომჩივნის გვარი, სახელი და მისამართი;

გ) საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი;

დ) დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;

ე) მოწმის (თუ არის) გვარი, სახელი და მისამართი;

ვ) დამრღვევის დადგენის შემთხვევაში მისი გვარი, სახელი და მისამართი;

ზ) დამრღვევის ახსნა-განმარტება (თუ არის);

თ) სხვა დამატებითი ინფორმაცია.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული განცხადება/საჩივარი საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება ჩანაწერთა წიგნში და საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გადაეცემა ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის მომდევნო დღის 18 საათამდე, ხოლო თუ შედეგების შეჯამება ამ დროისთვის დასრულებული არ იქნება, – შემაჯამებელი ოქმის შედგენის მომდევნო დღის 18 საათამდე. განცხადება/საჩივარი ამავე ვადაში შეიძლება გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას უშუალოდ განმცხადებლის მიერ.".

42. 62-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 62. ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებული განცხადების/საჩივრის განხილვა**

1. ამ კანონის 61-ე მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული განცხადება/საჩივარი საოლქო საარჩევნო კომისიაში მიღებისთანავე საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის მიერ რეგისტრირდება საოლქო საარჩევნო კომისიის ჟურნალში. კომისია მას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის რეგისტრაციიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა. საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულე-ბით.

2. ამ კანონის 61-ე მუხლის 1-ლი – მე-3, მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი პროცედურის დარღვევით წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება.".

43. 63-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 63. კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში**

1. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-4 დღისა აჯამებს კენჭისყრის შედეგებს საქართველოს პარლამენტის არჩევნებისას (პარტიული სიებით), საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას და ქალაქ თბილისის საკრებულოს არჩევნებისას, ადგენს საქართველოს პარლამენტისა (ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მიხედვით) და ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა თბილისის საკრებულოსი) არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს საარჩევნო ოლქში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმებს.

2. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება:

ა) ოქმის სარეგისტრაციო ნომერი და რეგისტრაციის თარიღი (შეივსება ოქმის გაცემისას);

ბ) საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება;

გ) არჩევნების დასახელება;

დ) კენჭისყრის თარიღი (თუ ეს არის განმეორებითი კენჭისყრა ან არჩევნების მეორე ტური, ესეც უნდა აღინიშნოს);

ე) საარჩევნო უბნის ნომერი, რომელშიც საოლქო საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო კენჭისყრის შედეგები, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ამ უბანში და კენჭისყრის ბათილად ცნობის საფუძველი;

ვ) მიღებული, გამოუყენებელი და გაფუჭებული საარჩევნო ბიულე-ტენების რაოდენობა;

ზ) ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქში;

თ) კენჭისყრის მონაწილეთა საერთო რაოდენობა საარჩევნო ოლქში;

ი) გაცემული ბიულეტენების რაოდენობა იმ უბნებში, რომლებშიც კენჭისყრის შედეგები ბათილად იქნა ცნობილი;

კ) ბათილად ცნობილი და ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა;

ლ) საარჩევნო სუბიექტების დასახელებები და მათ მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა;

მ) ყველას წინააღმდეგ მიცემულ ხმათა რაოდენობა;

ნ) ოქმის დამტკიცების თარიღი და დრო;

ო) ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი" და ხელს აწერს მას).

3. არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმში აღინიშნება ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული მონაცემები და მათთან ერთად, არჩეული პირის/პირთა ვინაობა, არჩევნების მეორე ტურში გასულთა ვინაობა, მეორე ტურში მათ მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა, მეორე ტურში არჩეული პირის ვინაობა.

4. თუ საოლქო საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო კენჭისყრის შედეგები საარჩევნო უბანში/უბნებში და ამ უბანში/უბნებში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა ისეთია, რომ განმეორებითი კენჭისყრა გავლენას ვერ მოახდენს არჩევნების ჩატარებულად ცნობაზე ან საარჩევნო ოლქში არჩეული თუ მეორე ტურში გასული პირის/პირების გამოვლენაზე, საოლქო საარჩევნო კომისია არჩეულ თუ მეორე ტურში გასულ პირს/პირებს დაადგენს ამ უბნის/უბნების გაუთვალისწინებლად.

5. საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, ვალდებულია ხელი მოაწეროს კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ოქმი დამოწმდება საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

6. თუ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს ოქმში აღნიშნოს, რას არ ეთანხმება, და ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

7. საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს ამ მუხლში აღნიშნული მონაცემები მათი დადგენისთანავე შეაქვს საოლქო საარჩევნო კომისიაში თვალსაჩინო და ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოკრულ სადემონსტრაციო ოქმში.

8. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის/არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმების №01 ფურცლები (ამ კომისიების წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით) დაუყოვნებლივ გადაეცემა ცესკოს.

9. ოქმის №№02 – 08 ფურცლები დაუყოვნებლივ გადაეცემა საარჩევნო ოლქში საუკეთესო შედეგის მქონე 7 პარტიის/საარჩევნო ბლოკის/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებს, ხოლო №09 და №10 ფურცლები – ორი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლებს (თუ ოქმის მიღების სურვილი მეტმა დამკვირვებელმა გამოთქვა, ეს ორი დამკვირვებელი წილისყრით გამოვლინდება). სხვა წარმომადგენლებსა და დამკვირვებლებს შედეგების შეჯამების მომდევნო დღეს, თუ მოითხოვენ, გადაეცემათ შემაჯამებელი ოქმის მიხედვით შევსებული ოქმები, რომლებსაც ხელს აწერენ საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი (ამ ოქმების იურიდიული ძალა ისეთივეა, როგორიც №№01 – 10 ოქმებისა). ოქმის მიღებას წარმომადგენელი/დამკვირვებელი კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს.".

44. 64-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცესკო საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე კენჭისყრის ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-18 დღისა თავის სხდომაზე აჯამებს საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების

(იხ. მე-6 გვ.)

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 243.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

# საქართველოს ორგანული კანონი

## საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

(მეხუთე გვერდიდან)

შედეგებს და განკარგულებით ამტკიცებს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს.“;

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-$3^1$ პუნქტი:

„31. ცესკო, საარჩევნო უბნებიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების შემოსვლის პარალელურად, უზრუნველყოფს ამ ოქმების მონაცემთა ინტერნეტში განთავსებას. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს ეკრძალებათ არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ განცხადების გაკეთება, თუ ეს შედეგები სათანადო წესით არ არის გამოქვეყნებული ინტერნეტში.“;

გ) მე-4 და მე-5 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

დ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებისთანავე ცესკო ინტერნეტით აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და არა უგვიანეს მომდევნო დღისა გადასცემს მას პრესას და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებს.“.

45. 66-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. სახელმწიფო ტელემაუწყებლობის მეშვეობით ამ მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებში აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნებისას სმენის დაქვეითების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთათვის ბგერითი ინფორმაციის გადასაცემად სახელმწიფო ტელემაუწყებლობამ უნდა გამოიყენოს ჟესტების ენა ან/და სათანადო სპეციალური ტექნოლოგიები.“.

46. 67-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა. საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ: ზემდგომი საარჩევნო კომისიის წევრებს, შესაბამისი და ზემდგომი საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლებს, საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში, საერთაშორისო და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ წარმომადგენლებს. წესრიგის დარღვევისა და კომისიის მუშაობისთვის ხელის შეშლის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის სხდომის თავმჯდომარეს უფლება აქვს წესრიგის დამრღვევი სხდომიდან გააძევოს, რაც სხდომის ოქმში აღინიშნება. მისი ამ გადაწყვეტილების გაუქმების უფლება აქვს საარჩევნო კომისიას დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტის გადაწყვეტილებით.“;

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი უნდა ატარებდეს მისი ვინაობისა და სტატუსის აღმნიშვნელ სამკერდე ნიშანს (მოწმობას), რომელზედაც აღნიშნული უნდა იყოს გვარი, სახელი და სტატუსი: ცესკოს, №...საოლქო საარჩევნო კომისიის ან №...საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი/წევრი, ან ცესკოს/№...საოლქო საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, ან პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება და სიტყვა „წარმომადგენელი“, ან კანდიდატის გვარი, სახელი და სიტყვა „წარმომადგენელი“, ან ორგანიზაციის სახელწოდება და სიტყვა „დამკვირვებელი“, ან მასობრივი ინფორმაციის საშუალების სახელწოდება და სიტყვა „წარმომადგენელი“.“.

47. 68-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. არჩევნებზე დაკვირვების უფლება აქვთ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლიან საქართველოს ცენტრალურ ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია არჩევნებზე დაკვირვებას ახორციელებს ორგანიზაციის წარმომადგენლის – ადგილობრივი დამკვირვებლის მეშვეობით. ერთ ორგანიზაციას უფლება აქვს საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს ერთი დამკვირვებლისა.“;

გ) მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) საქართველოს სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვისა და დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტების, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა;“.

48. 69-ე მუხლის:

ა) 1-ლი – მე-8 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საერთაშორისო დამკვირვებელ ორგანიზაციას, აგრეთვე იმ ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს ცესკო.

2. ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია.

3. რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30 დღისა და წარუდგინოს თავისი წესდების ნოტარიულად დამოწმებული ასლი. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ საარჩევნო ოლქის (ოლქების) დასახელება, რომელშიც ორგანიზაცია ახორციელებს დაკვირვებას. საარჩევნო კომისია განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.

4. რეგისტრაციაში გატარების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-7 დღისა და წარუდგინოს დამფუძნებელი დოკუმენტის ასლი. თუ დამკვირვებელი (დამკვირვებელთა ჯგუფი) სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელია, მან უნდა წარადგინოს მხოლოდ განცხადება და რწმუნების დამადასტურებელი საბუთი. ცესკო განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში წყვეტს ამ პუნქტში აღნიშნული ორგანიზაციის, დამკვირვებლის (დამკვირვებელთა ჯგუფის) რეგისტრაციის საკითხს.

5. საარჩევნო კომისიას უფლება არა აქვს დამკვირვებელ ორგანიზაციას უარი უთხრას რეგისტრაციაზე, თუ იგი აკმაყოფილებს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. კომისიის განკარგულება მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, რომელმაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 3 დღის ვადაში.

6. ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-2 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს დამკვირვებელთა სია მათი ვინაობის (გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი) და იმ საარჩევნო ოლქების მითითებით, სადაც ისინი დააკვირდებიან არჩევნებს.

7. ცესკოს მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა ცესკოს მდივანს უნდა წარუდგინოს ცესკოში დანიშნულ, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს – საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ ამავე ვადაში საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა წარუდგინოს საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია. სიაში უნდა აღინიშნოს დამკვირვებლის ვინაობა (გვარი, სახელი, რეგისტრაციის ადგილი) და ის საარჩევნო ოლქი და საარჩევნო უბანი (უბნები), სადაც იგი დააკვირდება არჩევნებს.

8. საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია, დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს.“;

ბ) მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) საარჩევნო ოლქისა და უბნის (უბნების) დასახელება და ნომერი, სადაც უნდა განახორციელოს დაკვირვება.“.

49. 70-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) მოსთხოვოს ამომრჩეველს, უჩვენოს რამდენი საარჩევნო ბიულეტენი და სპეციალური კონვერტი აქვს ხელში;“.

50. 71-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 71. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელი და მისი უფლებამოსილება**

1. საარჩევნო სუბიექტის (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის) წარმომადგენელი საარჩევნო სუბიექტს წარმოადგენს შესაბამის საარჩევნო კომისიასთან ურთიერთობაში.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს (მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) უფლება აქვს ყველა საარჩევნო კომისიაში დანიშნოს ორ-ორი წარმომადგენელი, ხოლო ერთ ან მრავალ-მანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარმდგენ საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს ორ-ორი წარმომადგენელი დანიშნოს შესაბამის საოლქო და მის ქვემდებარე საუბნო საარჩევნო კომისიებში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულმა საარჩევნო სუბიექტმა წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას. სათანადო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის ამ კანონით განსაზღვრული თანამდებობის პირი ვალდებულია 24 საათის განმავლობაში რეგისტრაციაში გაატაროს წარმომადგენელი და მისცეს მას წარმომადგენლის მოწმობა, რომელიც იმავდროულად წარმოადგენს სამკერდე ნიშანს.

4. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშვნის განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის/საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი პირი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და მასში უნდა აღინიშნოს წარმომადგენლის გვარი, სახელი, დაბადების წელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თუ აქვს).

5. საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს (ერთდროულად მხოლოდ ერთს) საარჩევნო კომისიის სხდომებს, კენჭისყრის დღეს იმყოფებოდეს კენჭისყრის შენობაში და ესწრებოდეს კენჭისყრის, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების ყველა პროცედურას.

6. საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზეც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.“.

51. 72-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები, ხოლო მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე წარმომადგენლების აკრედიტაციას – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4. განცხადების წარდგენიდან 3 დღის ვადაში შესაბამისი კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენელს 2 დღის ვადაში გადასცემს სათანადო მოწმობას, ხოლო აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას (განკარგულებაში უარი დასაბუთებული უნდა იყოს).“.

52. 73-ე მუხლის:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 73. წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)“;

ბ) მე-2 – მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამომრჩევლებს, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებს, საარჩევნო სუბიექტებსა და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია საარჩევნო სუბიექტისა და სუბიექტობის კანდიდატის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ.

3. კენჭისყრის წინა დღის 24 საათის შემდეგ აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

4. არჩევნების მეორე ტურის, განმეორებითი კენჭისყრის, შუალედური ან ხელახალი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია) განახლდება მისი დანიშვნის დღიდან.“;

გ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სამხედრო ნაწილის მეთაურები ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის სამხედრო ნაწილის საზღვრებში უზრუნველყოფენ სამხედრო ნაწილში მყოფ ამომრჩევლებთან შეხვედრების გამართვის თანაბარ პირობებს. აუცილებლობის შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით შეიძლება შეიზღუდოს ან აიკრძალოს საარჩევნო კამპანიის ჩატარება ცალკეულ სამხედრო ნაწილებში, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს, რომელმაც ეს ინფორმაცია 2 დღის ვადაში უნდა გამოაქვეყნოს და გადასცეს ყველა საოლქო საარჩევნო კომისიას.“;

დ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. აკრძალულია ტოტალიზატორის გამართვა არჩევნებთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე.“;

ე) მე-11 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 – მე-19 პუნქტები:

„12. არჩევნების დანიშვნის დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე, და ამ დღიდან ერთი თვის განმავლობაში, არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას სავალდებულოა მიეთითოს გამოკითხვის დამკვეთის ვინაობა (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით და იურიდიული მისამართი, თუ დამკვეთი იურიდიული პირი ან სახელმწიფო ორგანოა; გვარი, სახელი და მისამართი მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით, თუ დამკვეთი ფიზიკური პირია), გამოკითხვა ფასიანია თუ უფასო, ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა გამოკითხვა (სახელწოდება საჯარო ან საარჩევნო რეგისტრაციის მიხედვით, იურიდიული მისამართი), გამოკითხვის თარიღი, გამოკითხვის მეთოდი, კითხვების ზუსტი ფორმულირება, შესაძლო ცდომილების საზღვრები. არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება, გარდა არჩევნებში შესაძლო მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა, არ შეიძლება კენჭისყრამდე 48 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 24 საათამდე.

13. სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლები ვალდებულნი არიან წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამის განთავსების მიზნით ყოველდღიურად, საერთო არჩევნების დღემდე სულ ცოტა ბოლო 15 დღის განმავლობაში, უსასყიდლოდ გამოყონ ტელევიზიისა და რადიოს საეთერო დროის ორ-ორი საათი, რომელიც თანაბრად განაწილდება საარჩევნო სუბიექტებს შორის.

14. არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების დამტკიცებამდე როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო ტელერადიომაუწყებლები ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) მაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისთვის საეთერო დროის გამოყოფის შემთხვევაში საჯაროდ გამოაცხადონ და ცესკოს გადასცენ ინფორმაცია: რა რიცხვიდან რა რიცხვამდე და რა პერიოდულობითაა გამოყოფილი საეთერო დრო; ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი დროის ხანგრძლივობა და გრაფიკი; საეთერო დროის ტარიფი;

ბ) ტელე ან რადიოკომპანიის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი არ უნდა დაეთმოს;

გ) დღიური ფასიანი საეთერო დრო თანაბრად უნდა განაწილდეს საარჩევნო სუბიექტებს შორის;

დ) დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის ერთნაირი უნდა იყოს;

ე) პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“;

ვ) ამ პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში არ დაუშვან წინასაარჩევნო სააგიტაციო გამოსვლა და პოლიტიკური რეკლამის განთავსება სხვა დროს, გარდა ამ მიზნით გამოყოფილი დროის შუალედისა.

15. პარტიებისა და სარჩევნო ბლოკების საარჩევნო რეგისტრაციის ვადის ამოწურვის დღიდან გაზეთები, გარდა პოლიტიკური პარტიის გაზეთისა, ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი პირობები:

ა) გაზეთის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისა და პოლიტიკური რეკლამისთვის გაზეთის ფართობის გამოყოფის შემთხვევაში იმავე გაზეთში გამოაქვეყნონ და ცესკოს გადასცენ შემდეგი ინფორმაცია: რა რიცხვიდან, რა პერიოდულობით და როდემდეა გამოყოფილი გაზეთის ფართობი; გაზეთის ერთ ნომერში გამოყოფილი ფართობის სიდიდე; თუ გამოყოფილია უფასო ფართობი, მთლიანად გამოყოფილი ფართობის რა ნაწილია უფასო; ფართობის ტარიფი;

ბ) არც ერთ საარჩევნო სუბიექტს გაზეთის ერთ ნომერში ან ერთი კვირის განმავლობაში გამოყოფილი ფართობის ერთ მესამედზე მეტი არ უნდა დაეთმოს;

გ) გაზეთის ერთ ნომერში ან ერთი კვირის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი ფართობი თანაბრად უნდა განაწილდეს საარჩევნო სუბიექტებს შორის;

დ) ფართობის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის ერთნაირი უნდა იყოს;

ე) სააგიტაციო წერილისა და პოლიტიკური რეკლამის გამოქვეყნებისას წერილის სათაურამდე და რეკლამის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“;

ვ) ამ პუნქტში აღნიშნულ პერიოდში არ გამოაქვეყნონ წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალა და პოლიტიკური რეკლამა ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევით.

16. არასახელმწიფო ტელე- და რადიომაუწყებელს, აგრეთვე გაზეთს უფლება აქვს, ამ მუხლის მე-14 – მე-15 პუნქტებით დადგენილი პირობების დაცვით, პოლიტიკური რეკლამისთვის უფასო საეთერო დრო/ფართობი გამოუყოს საარჩევნო სუბიექტს.

17. თუ რომელიმე საარჩევნო სუბიექტმა არ გამოიყენა მისი წილი საეთერო დრო ან გაზეთის ფართობი, ტელერადიომაუწყებლობასა და გაზეთს უფლება აქვთ ეს დრო თანაბრად გადაუნაწილონ დანარჩენ საარჩევნო სუბიექტებს.

18. თუ საარჩევნო სუბიექტი გამოიყენებს ტელერადიომაუწყებლობასა და გაზეთში ამ მუხლის მე-13 ან/და მე-16 პუნქტებში აღნიშნულ უფასო დროს/ფართობს, იგი ვალდებულია, ეს ასახოს საარჩევნო ფონდის ანგარიშში მაუწყებელი კომპანიის/გაზეთის მხრიდან შემოწირულობის სახით, იმ ოდენობით, რაც ღირს შესაბამისი დროის/ფართობის ფასიანი გამოყენება.

19. ამ მუხლის მე-11 – მე-18 პუნქტების დამრღვევ პირს ეკისრება კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.“.

53. 74-ე მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის საფუძველზე საარჩევნო სუბიექტებისთვის, მათთან შეთანხმებით, ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გამართვის განრიგს (თუ მოხდა ღონისძიებათა გადაფარვა და სუბიექტთა შეთანხმება ვერ მოხერხდა, ღონისძიებათა თანამიმდევრობა წილისყრით განისაზღვრება).“;

ბ) მე-7 – მე-9 პუნქტები ამოღებულ იქნეს.

54. 75-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-10 დღისა, ხოლო განმეორებითი კენჭისყრისას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-5 დღისა უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიების საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას. პარტიული სიებისა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატთა სიების გავრცელება სავალდებულოა.“.

55. კანონის 76-ე მუხლის:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რეგისტრირებულ კანდიდატს, რომელიც არის სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოს თანამშრომელი და რომელზედაც არ ვრცელდება კანდიდატის სტატუსთან თანამდებობრივი შეუთავსებლობა, არა აქვს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის უპირატესობის გამოყენების უფლება, კერძოდ, წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევის უფლება მას მხოლოდ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან თავისუფალ დროს აქვს. ეს შეზღუდვა არ მოქმედებს ტელერადიომაუწყებლობის მიერ წინასაარჩევნო აგიტაციისთვის გამოყოფილი დროის გამოყენებისას.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. რეგისტრირებულ კანდიდატს, ამ მუხლის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში, შესაბამისი საარჩევნო კომისიის განკარგულებით, რომელიც მიიღება სიითი შემადგენლობის უმრავლესობით არა უგვიანეს კენჭისყრის დღემდე 7 დღისა, აეკრძალება კანდიდატად იმავე სახის მომდევნო არჩევნებში მონაწილეობა, ხოლო თუ დარღვევა კენჭისყრამდე დადასტურდა, გაუქმდება მისი საარჩევნო რეგისტრაციაც. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატისა და პარტიული სიით წარდგენილი კანდიდატის (თუ იგი იმავდროულად მაჟორიტარი კანდიდატიც არ არის) საკითხს წყვეტს ცესკო, ხოლო მაჟორიტარი კანდიდატის საკითხს – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს (თუ ეს კანდიდატი პარტიულ სიაშიც იყო შეყვანილი, იგი ამ სიიდანაც ამოიღება). საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განიხილოს ამ პუნქტში აღნიშნული საკითხი, თუ სათანადო განცხადება კომისიაში შევიდა არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 30 დღისა ან თუ იმავე პერიოდში თავად კომისიამ გამოავლინა დარღვევა. საარჩევნო კომისიის განკარგულება მომდევნო არჩევნებში კანდიდატად მონაწილეობის აკრძალვისა და საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების ან ზემოაღნიშნული დარღვევის დაუდასტურებლობის შესახებ განკარგულების გამოცემიდან 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.“.

56. 77-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 77. დავის განხილვის ვადა და წესი**

1. საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში ან საერთო სასამართლოში, ხოლო თუ დავა არჩევნების კონსტიტუციურობას ეხება, აგრეთვე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

2. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება კომისიის მიერ მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში ან სასამართლოში, ხოლო ცესკოს გადაწყვეტილება – სასამართლოში, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებას სასამართლო განიხილავს 3 კალენდარული დღის ვადაში, თუ ამ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი. აკრძალულია ამ კანონით დადგენილი გასაჩივრებისა და დავის განხილვის ვადების გაგრძელება.

3. სასამართლოში სარჩელის შეტანა არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

4. საარჩევნო კომისიაში არჩევნებთან დაკავშირებული განცხადების/საჩივრის შეტანის, საარჩევნო კომისიის მიერ მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა და წესი განისაზღვრება ამ კანონითა და საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტით, ხოლო ამ კანონით განუსაზღვრელი საკითხები – საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით. თუ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებით განცხადების/საჩივრის შეტანის ვადა განსაზღვრული არ არის, მისი შეტანა შეიძლება ნებისმიერ დროს, მაგრამ შესაბამისი არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 30 დღისა, ხოლო საარჩევნო კომისიამ იგი უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს 10 კალენდარული დღის ვადაში.

5. სასამართლოში საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გასაჩივრების ვადა და წესი, სარჩელის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადები, მოსარჩელეთა წრე განისაზღვრება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით, თუ ამ კანონით სხვა ვადა ან/და წესი არ არის დადგენილი.

6. ამ კანონით განსაზღვრული არჩევნების დანიშვნა-არდანიშვნის თაობაზე კონსტიტუციური სარჩელის შეტანისა და განხილვის ვადები განისაზღვრება „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონითა და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით. არჩევნების კონსტიტუციურობის თაობაზე გასაჩივრების ვადა განისაზღვრება შესაბამისი საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების შედეგების დამტკიცების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 10 დღით, ხოლო კონსტიტუციური სარჩელის განხილვის ვადა – ამ პუნქტში აღნიშნული კანონებით.

7. ამომრჩეველთა სიების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შესაბამის საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი საოლქო ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს, აგრეთვე მოქალაქეს, რომლის განცხადებაც ამომრჩეველთა სიაში შეყვანის თხოვნით არ დააკმაყოფილა საარჩევნო კომისიამ;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

8. საარჩევნო ოლქების შექმნის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ცესკოში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, ცესკოს წევრს;

ბ) სარჩელი შეიტანება საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 5 კალენდარული დღის ვადაში. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

9. საარჩევნო უბნების შექმნის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება ამ კანონით განსაზღვრულ ვადაში აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

10. საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრის დანიშვნის/არჩევის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის საოლქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

11. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის/არჩევის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

12. საარჩევნო კომისიის წევრის ან საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ საარჩევნო კომისიისა და მისი თავმჯდომარის განკარგულების გამო, აგრეთვე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო (ამ კანონის 21-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას):

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ცესკოში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, კომისიის წევრს, რომელსაც ამ განკარგულებით ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის საოლქო სასამართლოში, თუ საქმე ეხება საქართველოს ცენტრალური ან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს, და შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, თუ საქმე ეხება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო/რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

13. ქვემდგომი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ ცესკოს განკარგულების გამო, აგრეთვე უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილების მიუღებლობის გამო:

(იხ. მე-7 გვ.)

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

(მეექვსე გვერდიდან)

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს ცესკოს წევრს, საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ცესკოში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, იმ კომისიის წევრთა ნახევარზე მეტს, რომელსაც კომისიაში ვადამდე შეუწყდა უფლებამოსილება;

ბ) სარჩელი შეიტანება თბილისის საოლქო სასამართლოში, რომელიც სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

14. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან არჩევნებისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრების ამ კანონით დადგენილ ვადაში ცესკოს ანგარიშზე ჩაურიცხაობის გამო, ამ ვადის ამოწურვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს ცესკოს. საქართველოს უზენაესი სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 3 კალენდარული დღის ვადაში.

15. პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო რეგისტრაციისა და მათი წარმომადგენლების რეგისტრაციის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს: პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), თუ ცესკომ რეგისტრაციაში არ გაატარა ეს პარტია, საარჩევნო ბლოკი, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი ან მათი წარმომადგენლები ან გააუქმა მათი რეგისტრაცია; ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში (ყველა არჩევნებისას, გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა), თუ საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა ეს საინიციატივო ჯგუფი ან მისი წარმომადგენელი ანდა გააუქმა მათი რეგისტრაცია; არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ ცესკოში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ პარტია, საარჩევნო ბლოკი ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი რეგისტრაციაში გატარდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით; არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში (ყველა არჩევნებისას, გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ საოლქო საარჩევნო კომისიაში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი რეგისტრაციაში გატარდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

ბ) სარჩელი ცესკოს თავმჯდომარის განკარგულების გამო შეიტანება საქართველოს უზენაეს სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, თუ საქმე ეხება პარტიის ან საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციას, და 2 დღის ვადაში, თუ საქმე ეხება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციას. საქართველოს უზენაესი სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 3 კალენდარული დღის ვადაში;

გ) სარჩელი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს 3 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

16. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სიის, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატებისა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის რეგისტრაციის შესახებ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს: პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), თუ ცესკომ რეგისტრაციაში არ გაატარა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი პარტიული სია, სიაში შეყვანილი ცალკეული კანდიდატები ან ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატი, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისას პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატები ანდა ამ კომისიებმა გააუქმეს მათი რეგისტრაცია; ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში (ყველა არჩევნებისას, გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა), თუ საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში არ გაატარა მის მიერ წარდგენილი კანდიდატი ან გააუქმა მისი რეგისტრაცია; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ ცესკოში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ პარტიული სია ან ცალკეული კანდიდატები რეგისტრაციაში გაატარეს საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას, რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში (ყველა არჩევნებისას, გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე სულ ცოტა 2 პირს (რომლებიც დამკვირვებლებად დაინიშნენ საოლქო საარჩევნო კომისიაში), თუ მათ მიაჩნიათ, რომ საოლქო საარჩევნო კომისიამ კანდიდატი რეგისტრაციაში გაატარა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

ბ) სარჩელი ცესკოს თავმჯდომარის განკარგულების გამო შეიტანება საქართველოს უზენაეს სასამართლოში, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულების გამო — შესაბამის საოლქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

17. ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების რეგისტრაციის შესახებ ცესკოს განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს: ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას, თუ ცესკომ იგი არ გაატარა რეგისტრაციაში; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე რეგისტრირებულ ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დამკვირვებელი ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

ბ) სარჩელი შეიტანება თბილისის საოლქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

18. ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს: ზემოაღნიშნულ ორგანიზაციას, თუ საოლქო საარჩევნო კომისიამ იგი არ გაატარა რეგისტრაციაში; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიის/საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა რეგისტრირებული საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ამ საოლქო საარჩევნო კომისიაში, დამკვირვებლის სტატუსის მქონე რეგისტრირებულ ორგანიზაციას, თუ მათ მიაჩნიათ, რომ დამკვირვებელი ორგანიზაცია რეგისტრაციაში გატარდა საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის საოლქო სასამართლოში განკარგულების გამოცემიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

19. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს;

ბ) სარჩელი ცესკოს მდივნის განკარგულების გამო შეიტანება თბილისის საოლქო სასამართლოში, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის განკარგულების გამო — შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოსა და რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

20. ამ კანონის 73-ე მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წინასაარჩევნო კამპანიის წესის დარღვევის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს: პარტიას, საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიას, თუ სარჩელი ეხება პარტიის, საარჩევნო ბლოკის ან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას; პარტიას, საარჩევნო ბლოკს, მაჟორიტარ კანდიდატს, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, საარჩევნო კომისიას, თუ სარჩელი ეხება ერთ ან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის საოლქო სასამართლოში, თუ საქმე ეხება პარტიის, საარჩევნო ბლოკის ან საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას. საოლქო სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;

გ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, თუ საქმე ეხება ერთ ან მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი კანდიდატის მიერ ზემოაღნიშნული წესის დარღვევას. რაიონული/საქალაქო სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

21. პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა მიერ ამ კანონის 73-ე მუხლის მე-11 და მე-13 – მე-17 პუნქტების დებულებათა დარღვევის გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ პირს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის საოლქო სასამართლოში, თუ საქმე ეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებას, რომლის ინფორმაციაც ვრცელდება ერთი ან რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე, და საქართველოს უზენაეს სასამართლოში, თუ მისი ინფორმაცია ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

22. ამ კანონის 76-ე მუხლის დებულებათა დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: კანდიდატის წარმდგენ პარტიასა და თვით კანდიდატს, რომლის შესახებაც გამოიცა განკარგულება; საარჩევნო რეგისტრაციის მქონე სხვა პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში (თუ საქმე ეხება მაჟორიტარი კანდიდატის საკითხს), თუ კომისიამ არ დაადასტურა ზემოაღნიშნული დარღვევა;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის საოლქო სასამართლოში, თუ საქმე ეხება ცესკოს განკარგულებას. საოლქო სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;

გ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, თუ საქმე ეხება საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებას. რაიონული/საქალაქო სასამართლო სარჩელს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს მისი შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

23. კენჭისყრის დღის განმავლობაში და კენჭისყრის შედეგების შეჯამების დროს საუბნო საარჩევნო კომისიისა და მის ცალკეულ წევრთა მოქმედებისა და გადაწყვეტილებათა (გარდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისა და მისი დამტკიცებისა) გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საუბნო ან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში, არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს საუბნო ან ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში, ზემდგომ საარჩევნო კომისიასა და მის თავმჯდომარეს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ვადაში.

24. საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულების (ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში მისი გასაჩივრების შემდეგ), აგრეთვე ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიის შესაბამისი განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში საოლქო სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

გ) სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მიღებული გადაწყვეტილება მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.

25. საარჩევნო უბანში კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის ან არცნობის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: პარტიის, საარჩევნო ბლოკის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელსა და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებელს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, აგრეთვე ცესკოსა და მის თავმჯდომარეს;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილების გამოტანიდან 2 კალენდარული დღის ვადაში საოლქო

# საქართველოს ორგანული კანონი

## საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

სასამართლოში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

გ) სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება, თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.

26. არჩევნების ჩატარებულად ან არჩატარებულად გამოცხადების შესახებ ცესკოს განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას), ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში (თუ საქმე ეხება საარჩევნო ოლქს) და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

ბ) სარჩელი შეიტანება საქართველოს უზენაეს სასამართლოში ცესკოს განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში;

გ) სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცესკოს სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მიღებული გადაწყვეტილება მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.

27. საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საოლქო საარჩევნო კომისიაში და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

ბ) სარჩელი შეიტანება შესაბამის საოლქო სასამართლოში საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება;

გ) სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიასა და ცესკოს სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მიღებული გადაწყვეტილება მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.

28. ცესკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმისა და მისი დამტკიცების შესახებ ცესკოს განკარგულების გამო:

ა) სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება აქვთ: არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას/საარჩევნო ბლოკს, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ცესკოში (საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისას) და არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციას;

ბ) სარჩელი შეიტანება საქართველოს უზენაეს სასამართლოში ცესკოს განკარგულების გამოცემიდან 3 კალენდარული დღის ვადაში. უზენაესი სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის შეტანიდან 5 კალენდარული დღის ვადაში;

გ) სასამართლოში სარჩელის შეტანის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ცესკოს სარჩელის მიღების, ხოლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ – გადაწყვეტილების შესახებ. თუ მან დააკმაყოფილა სარჩელი, მიღებული გადაწყვეტილება მომდევნო დღის 12 საათამდე უნდა გადაეცეს მოსარჩელეს.".

57. 84-ე მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს ცესკოს თავმჯდომარე არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა.

2. ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს აძლევს შესაბამის მოწმობას.";

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-$2^1$ პუნქტი:

„$2^1$. ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციაში არ გაატარებს საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს, თუ:

ა) არასრული ან არასწორია ამ კანონის 82-ე მუხლის მე-3 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები;

ბ) მხარდამჭერ ამომრჩეველთა სიაში აღმოჩნდება 50 000 ამომრჩევლის ხელმოწერაზე ნაკლები;

გ) დარღვეულია ამ კანონის 83-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადები.";

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს შეუძლია კენჭისყრის წინა დღის 12 საათამდე მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს ცესკოს. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის კანდიდატურის მოხსნის შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენზე მისი დასახელების გასწვრივ დაისმება შტამპი „არჩევნებიდან მოხსნილია".

58. 85-ე მუხლის:

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე არ შეიძლება დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინებაზე არ იქნა ცესკოს თანხმობა. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული ან დაპატიმრებული კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.";

ბ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ცესკოს განკარგულებას ამ მუხლში აღნიშნული თანხმობის მიცემის შესახებ კენჭი უნდა ეყაროს საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.".

59. 86-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ცესკო კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-16 დღისა თავის სხდომაზე აჯამებს არჩევნების შედეგებს საარჩევნო უბნების მიხედვით და აფორმებს შემაჯამებელ ოქმს, რომელიც მტკიცდება ცესკოს განკარგულებით.".

60. 87-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თუ არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, ინიშნება არჩევნების მეორე ტური.

2. არჩევნების მეორე ტურს განკარგულებით ნიშნავს ცესკო. არჩევნების მეორე ტური ტარდება საერთო არჩევნებიდან (პირველი ტურიდან) ორი კვირის თავზე.".

61. 88-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ხელახალი არჩევნები ტარდება ამ კანონით საერთო არჩევნებისთვის დადგენილი წესით და ცესკოს მიერ განსაზღვრულ ვადებში, მაგრამ საერთო არჩევნებიდან არა უგვიანეს 2 თვისა.".

62. 89-ე მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საქართველოს პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების დროს არჩევნები ტარდება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტიდან 45 დღის ვადაში ამ კანონით საერთო არჩევნებისთვის დადგენილი წესით.".

63. 92-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა და იცის ქართული ენა.";

ბ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-3 პუნქტი:

„3. საქართველოს პარლამენტის წევრად არ შეიძლება აირჩეს ნარკომანი ან ნარკოტიკის მომხმარებელი, ხოლო თუ ეს პირი შესაბამისმა საარჩევნო კომისიამ არჩეულად გამოაცხადა, საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს ცნოს მისი უფლებამოსილება.".

64. 94-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 94. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან**

საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატად რეგისტრაციის მიზნით შესაბამისი საარჩევნო კომისიისთვის განცხადებით მიმართვამდე, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 42-ე დღისა, დაკავებული თანამდებობიდან უნდა გადადგნენ და განთავისუფლდნენ შემდეგი თანამდებობის პირები:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ) საქართველოს, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრები, სამთავრობო და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

გ) საქართველოს უშიშროების საბჭოს წევრები;

დ) საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები;

ე) საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები;

ვ) საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი;

ზ) საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულები და მათი მოადგილეები;

თ) რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები;

ი) საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროების, საქართველოს დაზვერვისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ოფიცრები;

კ) მოსამართლეები;

ლ) საქართველოს სახალხო დამცველი და მისი მოადგილე;

მ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს წევრები (რომლებიც არ არიან პარლამენტის წევრები);

ნ) საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწეები;

ო) აუდიტორული საქმიანობის საბჭოს წევრები;

პ) საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიისა და სხვა მარეგულირებელი ეროვნული კომისიების წევრები;

ჟ) თანამდებობის პირთა ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს თავმჯდომარე და მოადგილეები;

რ) პროკურორები, მათი მოადგილეები, თანაშემწეები და გამომძიებლები.".

65. 95-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 95. პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების საარჩევნო რეგისტრაცია**

1. საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად პარტიამ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს:

ა) პარლამენტის არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 57-ე დღისა, თუ მას არჩევნების დანიშვნის დღისთვის ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში;

ბ) საპარლამენტო არჩევნების წლის 1 იანვრიდან 1 აგვისტომდე, თუ მას არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში.

2. განცხადებას უნდა დაერთოს პარტიის რეგისტრაციის მოწმობა და წესდება ან მათი ნოტარიულად დამოწმებული ასლები.

3. განცხადებაში უნდა აღინიშნოს პარტიის:

ა) სახელწოდება და, თუ გამოიყენება, მისი შემოკლებული ფორმა ან/და აბრევიატურა, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში;

ბ) ხელმძღვანელი პირის (პირების) გვარი, სახელი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით), ტელეფონის ნომერი და მისი (მათი) ხელმოწერის ნიმუში;

გ) წარმომადგენლის გვარი, სახელი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით), ტელეფონის ნომერი და მისი უფლებამოსილების ფარგლები;

დ) რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობისას – საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებში თითოეულის უფლებამოსილების ფარგლები.

(იხ. მე-8 გვ.)

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 244, შაბათი, 13 სექტემბერი, 2003 წელი.

# საქართველოს ორგანული კანონი

## საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

(მეშვიდე გვერდიდან)

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებული სახელწოდება, მისი შემოკლებული ფორმა და აბრევიატურა არ უნდა ემთხვეოდეს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სხვა პარტიის ოფიციალურ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას (თუ ემთხვევა, პარტიას არა აქვს მისი გამოყენების უფლება);

ბ) იმ საარჩევნო ბლოკის სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში, თუ ამ ბლოკის განცხადება ცესკოს უფრო ადრე წარედგინა (თუ ემთხვევა, პარტიას არა აქვს მისი გამოყენების უფლება);

გ) ბოლო საპარლამენტო არჩევნებში სხვა პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ გამოყენებულ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, თუ ამაზე არ არსებობს მისი თანხმობა.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ცესკოს სათანადო სამსახური განცხადების მიღებისთანავე პარტიის წარმომადგენელს აძლევს მხარდამჭერთა სიის ნიმუშს.

6. ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს განცხადებასა და თანდართულ საბუთებს და არა უგვიანეს კომისიაში განცხადების შეტანის მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა, ცესკოს თავმჯდომარე:

ა) საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი განცხადება და თანდართული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა, და მას 3 დღე ეძლევა განცხადებისა და საბუთების სრულყოფისთვის.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შესწორებული განცხადებისა და საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან 2 დღეში. თუ შესწორებული განცხადება და საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

9. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული დასკვნის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-3 დღისა, ცესკოს თავმჯდომარე წერილობით აცნობებს პარტიის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან განცხადებისა და თანდართული საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა. შესწორებული განცხადება და საბუთები ცესკოს უნდა დაუბრუნდეს 3 დღის ვადაში.

10. პარტია, რომელსაც არ ჰყავს წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში, ვალდებულია, მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 15 აგვისტოსი ცესკოს წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი სულ ცოტა 50 000 ამომრჩევლის სია. მხარდამჭერთა სიას ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს ამ კანონის 42-ე მუხლით დადგენილი წესითა და ვადაში.

11. თუ ამ მუხლით გათვალისწინებული განცხადება, თანდართული საბუთები (ან შესწორებული განცხადება და საბუთები) და მხარდამჭერთა სია წარდგენილია ამ კანონით დადგენილ ვადაში და აკმაყოფილებს ამ კანონის მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე, ცესკოს სათანადო სამსახურის დასკვნის საფუძველზე, დასკვნის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 59-ე დღისა საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიასა და მის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა.

12. ცესკოს თავმჯდომარის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ შექმნან საარჩევნო ბლოკები და გავიდნენ ბლოკის შემადგენლობიდან. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთვის მორიგი არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 43-ე დღისა ცესკოს თავმჯდომარეს უნდა წარედგინოს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირების მიერ ხელმოწერილი განცხადება და საარჩევნო ბლოკის წესდება.

13. განცხადებაში უნდა აღინიშნოს საარჩევნო ბლოკის:

ა) სახელწოდება და, თუ გამოიყენება, მისი შემოკლებული ფორმა ან/და აბრევიატურა, რომლითაც მონაწილეობს არჩევნებში და ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ჩამონათვალი;

ბ) ხელმძღვანელი პირის (პირების) გვარი, სახელი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

გ) წარმომადგენლის გვარი, სახელი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით), ტელეფონის ნომერი და მისი უფლებამოსილების ფარგლები;

დ) რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობისას – საარჩევნო პროცესთან დაკავშირებულ ურთიერთობებში თითოეულის უფლებამოსილების ფარგლები.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული საარჩევნო ბლოკის სახელწოდება, მისი შემოკლებული ფორმა და აბრევიატურა არ უნდა ემთხვეოდეს:

ა) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სხვა პარტიის (გარდა ამავე ბლოკის წევრი პარტიისა) ოფიციალურ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას (თუ ემთხვევა, პარტიას არა აქვს მისი გამოყენების უფლება);

ბ) სხვა საარჩევნო ბლოკის სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში, თუ ამ ბლოკის განცხადება ცესკოს უფრო ადრე წარედგინა (თუ ემთხვევა, ბლოკს არა აქვს მისი გამოყენების უფლება);

გ) ბოლო საპარლამენტო არჩევნებში სხვა საარჩევნო ბლოკის მიერ გამოყენებულ სახელწოდებას, მის შემოკლებულ ფორმასა და აბრევიატურას, თუ ამაზე არ არსებობს მისი თანხმობა.

15. საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილ საარჩევნო ბლოკის წესდებაში აღინიშნება:

ა) საარჩევნო ბლოკის სახელწოდება და, თუ გამოიყენება, მისი შემოკლებული ფორმა ან/და აბრევიატურა, რომლითაც იგი მონაწილეობს არჩევნებში;

ბ) საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა ჩამონათვალი;

გ) საარჩევნო ბლოკის ხელმძღვანელი ორგანო (თუ არსებობს), ხელმძღვანელი თანამდებობის პირები და მათი უფლებამოსილება;

დ) საარჩევნო ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მათ შორის, ბლოკში ახალი წევრის მიღების, ბლოკიდან პარტიის გასვლისა და გარიცხვის, ბლოკის მიერ წარმომადგენლობითი ორგანოს წევრობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის გაუქმების წესები;

ე) პირი (პირები), რომელსაც აქვს ბლოკის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლება;

ვ) საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით ბლოკში შემავალი ერთ-ერთი პარტიის ბეჭდის გამოყენების წესი;

ზ) საარჩევნო კამპანიის ფონდის მმართველისა და ბუღალტრის დანიშვნის წესი;

თ) საარჩევნო ბლოკის წესდებაში ცვლილების შეტანის წესი.

16. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია ერთი და იმავე არჩევნებისას არ შეიძლება იმავდროულად შედიოდეს სხვა საარჩევნო ბლოკში ან დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში.

17. ამ მუხლის მე-12 პუნქტში აღნიშნული განცხადებისა და წესდების მიღებისთანავე ცესკო ბლოკის წარმომადგენელს აძლევს ცნობას მათი მიღების შესახებ.

18. ცესკოს სათანადო სამსახური ამოწმებს ამ მუხლის მე-12 პუნქტში აღნიშნულ განცხადებასა და წესდებას, და არა უგვიანეს კომისიაში განცხადების შეტანის მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს. ცესკოს თავმჯდომარე დასკვნის მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი საბუთები შეესაბამება ამ მუხლის მე-12 – მე-16 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს, ხოლო თუ წარდგენილი საბუთები არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, წერილობით აცნობებს ბლოკის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან საბუთების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით). შესწორებული საბუთები ცესკოს უნდა დაუბრუნდეს შეტყობინებიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა. რეგისტრაციის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას ცესკოს თავმჯდომარე შესწორებული საბუთების მიღებიდან 2 დღის ვადაში იღებს: თუ შესწორებული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე რეგისტრაციაში გაატარებს საარჩევნო ბლოკსა და მის წარმომადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი გამოსცემს განკარგულებას რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება ბლოკის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ ეცნობება და მოთხოვნისთანავე გადაეცემა. ამ პუნქტში აღწერილი რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 37-ე დღეს.

19. პარტიას, რომელმაც გაიარა საარჩევნო რეგისტრაცია, უფლება აქვს, საარჩევნო ბლოკების რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე შევიდეს რეგისტრირებულ საარჩევნო ბლოკში, რისთვისაც საკმარისია, რომ ცესკოს თავმჯდომარეს წარუდგინოს სათანადო განცხადება და საარჩევნო ბლოკის თანხმობა.

20. საარჩევნო ბლოკის რეგისტრაციისთანავე ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უფლებამოსილება უწყდებათ ბლოკის წევრი პარტიების წარმომადგენლებს ყველა საარჩევნო კომისიაში, ხოლო ბლოკს უფლება ეძლევა დანიშნოს თითო წარმომადგენელი ყველა საარჩევნო კომისიაში.

21. პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვამდე საარჩევნო ბლოკიდან პარტიის/პარტიების გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში თითოეულ მათგანს უფლება აქვს გააგრძელოს არჩევნებში მონაწილეობა. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით და მასში ადრე შემავალ პარტიებს უფლება ექნებათ გააგრძელონ არჩევნებში მონაწილეობა.

22. პარტიული სიების/კანდიდატების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ საარჩევნო ბლოკიდან პარტიის გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება ამ პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია. თუ ამის გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით უქმდება საარჩევნო ბლოკის რეგისტრაცია და დარჩენილი პარტია ხდება ბლოკის უფლებამონაცვლე.

23. ამ მუხლის შესაბამისად რეგისტრირებულ პარტიას/საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს თავისი განცხადების საფუძველზე მონაწილეობა მიიღოს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე. საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულ პარტიას უფლება აქვს დამოუკიდებლად ან სხვა საარჩევნო ბლოკის შემადგენლობაში მონაწილეობდეს ყველა დონის არჩევნებში, რომლებიც გაიმართება მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე, გარდა პარლამენტის შუალედური არჩევნებისა.

24. არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 30-ე დღისა ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების სიას განცხადების წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიებისა და ბლოკების სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრაციაზე ან რომელთა რეგისტრაციაც გაუქმდა და ამის მიზეზებს.“.

66. 95-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $95^{1}$-ე და $95^{2}$-ე მუხლები:

**„მუხლი $95^{1}$. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო რეგისტრაცია**

1. არჩევნებში მონაწილეობისა და კანდიდატის წარდგენის უფლების მისაღებად ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფი ამ კანონით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში რეგისტრაციაში უნდა გატარდეს:

ა) ცესკოში – საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის;

ბ) საოლქო საარჩევნო კომისიაში – ყველა სხვა არჩევნებისთვის.

2. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო რეგისტრაციისთვის (გარდა საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისა) არჩევნების დღემდე არა უადრეს მე-60 და არა უგვიანეს 55-ე დღისა საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს იმავე საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა სულ ცოტა ხუთკაციანი საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი განცხადება. განცხადებას უნდა დაერთოს წარმომადგენლის 2 ფოტოსურათი, მისი ხელმოწერის ნიმუში და მასში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) საინიციატივო ჯგუფი რომელ არჩევნებში მონაწილეობის მიზნით ითხოვს საარჩევნო რეგისტრაციას და რომელ საარჩევნო ოლქში აპირებს კანდიდატის წარდგენას;

ბ) საინიციატივო ჯგუფის ყველა წევრის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნომერი და პირადი ნომერი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

გ) საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის გვარი, სახელი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნომერი და პირადი ნომერი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით), საკონტაქტო ტელეფონის ან/და ფაქსის ნომრები, აგრეთვე მისი უფლებამოსილების ფარგლები.

3. საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ამოწმებს ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულ საბუთებს და მათი მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა დასკვნას წარუდგენს კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც წყვეტს საინიციატივო ჯგუფის და მისი წარმომადგენლის რეგისტრაციის საკითხს. კომისიის თავმჯდომარე, დასკვნის მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა, საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საინიციატივო ჯგუფსა და მის წარმომადგენელს, თუ წარდგენილი საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმავე ვადაში საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს წერილობით აცნობებს შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) და საინიციატივო ჯგუფს ერთი დღე ეძლევა საბუთების სრულყოფისთვის. შესწორებული საბუთები საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა დაუბრუნდეს შეტყობინებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული შესწორებული საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება მათი წარდგენიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. თუ შესწორებული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს საინიციატივო ჯგუფსა და მის წარმომადგენელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზი და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს და მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს. ამ პუნქტში აღწერილი რეგისტრაციის პროცედურა მთავრდება არჩევნების დღემდე 51-ე დღეს.

5. საოლქო საარჩევნო კომისია საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაციისთანავე აძლევს მხარდამჭერთა სიის ნიმუშსა და ამ კანონის 96-ე მუხლის მე-12 პუნქტში აღნიშნულ 2 სააღრიცხვო ბარათს.

**მუხლი $95^{2}$. პარტიის, საარჩევნო ბლოკის და ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმება**

1. პარტიის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ პარტიის აკრძალვის ან მისი საქმიანობის შეჩერების შემთხვევაში;

გ) თუ გაუქმდა მისი შემცველი საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ან „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

დ) თუ იგი გავიდა ან გაირიცხა საარჩევნო ბლოკიდან ბლოკის მიერ პარტიული სიების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ;

ე) თუ მან არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა;

ვ) თუ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა მის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა ამ კანონით დადგენილ მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა;

ზ) თუ მან არ წარადგინა ან რეგისტრაციაში არ გატარდა მის მიერ წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ან თუ გაუქმდა მის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია.

2. საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ საარჩევნო ბლოკი დაიშალა ან ბლოკიდან მისი წევრი პარტიის (პარტიების) გასვლის, გარიცხვის ან საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების გამო ბლოკში მხოლოდ ერთი პარტია დარჩა;

გ) თუ მან არ წარადგინა პარტიული სია ან წარდგენილი პარტიული სია რეგისტრაციაში არ გატარდა;

დ) თუ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა ბლოკის პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა ამ კანონით დადგენილ მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა;

ე) თუ მან არ წარადგინა ან რეგისტრაციაში არ გატარდა წარდგენილი საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი, ან თუ გაუქმდა მის მიერ წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია.

3. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ მან არ წარადგინა ან რეგისტრაციაში არ გატარდა წარდგენილი კანდიდატი, ან თუ გაუქმდა მის მიერ წარდგენილი კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია.“.

67. 96-ე მუხლის:

ა) მე-9 – მე-13 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. პარტიული სია საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს პარტიის/საარჩევნო ბლოკის საარჩევნო რეგისტრაციის შემდეგ, არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 31-ე დღისა და მას თან უნდა ერთვოდეს პარლამენტის წევრობის თითოეული კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი და მისი ფოტოსურათი. თუ კანდიდატი იმავდროულად ერთმანდატიან საარჩევნო ოლქშიც არის წარდგენილი, სააღრიცხვო ბარათი და ფოტოსურათი 2 ცალად უნდა იქნეს წარდგენილი; ამ საბუთების თითო ეგზემპლარი მათი მიღებიდან 2 დღის ვადაში უნდა გადაეცეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

10. პარტიული სია დამოწმებული უნდა იყოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელით ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის (პირების) ხელმოწერით.

11. პარტიულ სიაში უნდა აღინიშნოს ყოველი კანდიდატის:

ა) გვარი, სახელი;

ბ) დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

გ) მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნომერი და პირადი ნომერი;

ე) სპეციალობა (განათლების დიპლომის/სერტიფიკატის მიხედვით);

ვ) სამუშაო ადგილი (დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს და ა.შ. დასახელება);

ზ) თანამდებობა (უმუშევრობის შემთხვევაში აღინიშნება – „უმუშევარი“);

თ) პარტიულობა (თუ უპარტიოა, აღინიშნება – „უპარტიო“);

ი) თუ კანდიდატი წარდგენილია ერთმანდატიან საარჩევნო ოლქშიც, უნდა აღინიშნოს ამ ოლქის დასახელება და ნომერი.

12. სააღრიცხვო ბარათში უნდა აღინიშნოს ყოველი კანდიდატის:

ა) გვარი, სახელი;

ბ) დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი);

გ) სქესი;

დ) მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნომერი და პირადი ნომერი;

ვ) განათლება (უმაღლესი, დაუმთავრებელი უმაღლესი, პროფესიული, საშუალო, საბაზო, დაწყებითი);

ზ) სპეციალობა (განათლების დიპლომის/სერტიფიკატის მიხედვით);

თ) სამუშაო ადგილი (დაწესებულების, ორგანიზაციის, საწარმოს და ა.შ. დასახელება);

ი) თანამდებობა (უმუშევრობის შემთხვევაში აღინიშნება – „უმუშევარი“);

კ) პარტიულობა (თუ უპარტიოა, აღინიშნება – „უპარტიო“);

ლ) არანაკლებ 10 წლის განმავლობაში საქართველოში მუდმივად ცხოვრების ფაქტი, ხოლო თუ მას ბოლო 2 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში, უნდა მიეთითოს საქართველოს საკონსულო, სადაც იგი დგას საკონსულო აღრიცხვაზე;

მ) სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება;

ნ) ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი, რომელშიც წარდგენილია კანდიდატად (თუ წარდგენილია);

ო) თანხმობა, კენჭი იყაროს მოცემული პარტიული სიით (თუ წარდგენილია პარტიული სიით, უნდა აღინიშნოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის სახელწოდება);

პ) თანხმობა, კენჭი იყაროს მოცემულ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში (თუ წარდგენილია საინიციატივო ჯგუფის ან პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ);

ჟ) ბოლო არჩევნებით საქართველოს პარლამენტის წევრად ყოფნის ფაქტი;

რ) ხელმოწერა და ხელმოწერის თარიღი.

13. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ სააღრიცხვო ბარათებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს წინასწარ გადასცემს ცენტრალური საარჩევნო კომისია.“;

ბ) მე-14 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

68. 97-ე და 98-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 97. კანდიდატთა წარდგენა ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში**

1. ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს:

ა) არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას;

ბ) საარჩევნო ბლოკს;

გ) შესაბამისი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს.

2. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს ყოველ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარადგინოს თავის პარტიულ სიაში შეყვანილ პირთაგან პარლამენტის წევრობის თითო კანდიდატი. გამონაკლისია საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები, რომლის დროსაც კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს პირი, რომელიც არ იყო პარტიულ სიაში.

3. ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფს უფლება აქვს იმავე საარჩევნო ოლქში წარადგინოს პარლამენტის წევრობის ერთი კანდიდატი.

4. არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში კანდიდატის წარდგენა ხდება ამ კანონის 96-ე მუხლის მე-9 – მე-13 პუნქტებით განსაზღვრული წესით. გამონაკლისია საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები, როდესაც ასეთივე წესით კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს პირი, რომელიც არ იყო პარტიულ სიაში.

5. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე საინიციატივო ჯგუფმა არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 41-ე დღისა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი განცხადება საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი, რომელშიც წარდგენილია კანდიდატი, კანდიდატის გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი (რეგისტრაციის ადგილის მიხედვით), საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნომერი და პირადი ნომერი, პარტიულობა (თუ უპარტიოა, აღინიშნება – „უპარტიო“), აგრეთვე მხარდამჭერთა ხელმოწერილი ბლანკებისა და ხელმომწერ მხარდამჭერთა სრული რაოდენობა.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნულ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) მხარდამჭერთა სია შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 1 000 ხელმოწერით, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც წარდგენილი კანდიდატი ბოლო არჩევნებით არჩეული იყო საქართველოს პარლამენტის წევრად და უფლებამოსილება ვადამდე არ შეწყვეტია საქართველოს კონსტიტუციის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ან „ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძვლით;

ბ) კანდიდატის მიერ შევსებული და ხელმოწერილი სააღრიცხვო ბარათი – 2 ცალად;

გ) კანდიდატის 2 ფოტოსურათი.

7. საოლქო საარჩევნო კომისია ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ – „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საბუთების თითო ეგზემპლარს მათი მიღებიდან 2 დღის ვადაში გადასცემს ცესკოს.

8. საოლქო საარჩევნო კომისიის ჟურნალში რეგისტრირდება მხარდამჭერთა ხელმოწერილი ბლანკების და ხელმომწერ მხარდამჭერთა სრული რაოდენობა, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს ეძლევა სათანადო ცნობა.

**მუხლი 98. პარტიული სიებისა და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილ პარლამენტის წევრობის კანდიდატთა საბუთების შემოწმება და საარჩევნო რეგისტრაცია**

1. პარტიული სია და პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილი პარლამენტის წევრობის კანდიდატი საარჩევნო რეგისტრაციაში გატარდება ცესკოს თავმჯდომარის, ხოლო ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატი – საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით, თუ ამ კანონით დადგენილი ყველა საბუთი შეესაბამება ამ კანონის მოთხოვნებს. რომელიმე საბუთის წარდგენისთვის ამ კანონით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება.

2. პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილ პარტიულ სიას ამოწმებს ცესკოს სათანადო სამსახური და სიის წარდგენიდან 10 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 26-ე დღისა, დასკვნას წარუდგენს ცესკოს თავმჯდომარეს, რომელიც 3 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 25-ე დღისა:

ა) საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიასა და პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილ კანდიდატებს, თუ წარდგენილი პარტიული სია და თანდართული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) წერილობით აცნობებს პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებთან პარტიულ სიასა და თანდართულ საბუთებში არსებული მონაცემების შეუსაბამობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით), თუ არსებობს ასეთი შეუსაბამობა, და პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს 3 დღე ეძლევა პარტიული სიისა და სხვა საბუთების სრულყოფისთვის.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნული შესწორებული მონაცემები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-20 დღისა. თუ შესწორებული მონაცემები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, ცესკოს თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარტიულ სიას ან მის იმ ნაწილს, რომელიც შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს (თუ ამ ნაწილში კანდიდატთა რაოდენობა დადგენილ მინიმუმზე ნაკლები არ არის), და ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში წარდგენილ შესაბამის კანდიდატებს, ხოლო დანარჩენი კანდიდატების თაობაზე იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). თუ პარტიული სიის იმ ნაწილში, რომელიც შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, დადგენილ მინიმუმზე ნაკლები კანდიდატი დარჩა, არც პარტიული სია და არც პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი კანდიდატები რეგისტრაციაში არ გატარდება და ცესკოს თავმჯდომარე ზემოაღნიშნულ ვადაში გამოსცემს განკარგულებას პარტიული სიის საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ამ პუნქტში აღნიშნული განკარგულება პარტიის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს და მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს.

(იხ. მე-9 გვ.)

(მერვე გვერდიდან)

4. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის ამ კანონის 97-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებში აღნიშნულ საბუთებს ცესკოს მიერ დადგენილი წესით ამოწმებს საოლქო საარჩევნო კომისია და დასკვნას ყველა საბუთის შესახებ, გარდა მხარდამჭერთა სიებისა, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს წარუდგენს საბუთების მიღებიდან 3 დღის ვადაში, ხოლო დასკვნას მხარდამჭერთა სიების შესახებ – 15 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს სიის წარდგენის ვადის ამოწურვიდან მე-8 დღისა. თუ ზემოაღნიშნული საბუთები, გარდა მხარდამჭერთა სიებისა, არ შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე მისთვის დასკვნის გადაცემიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა წერილობით აცნობებს საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს შეუსაბამობის არსებობის შესახებ (შეუსაბამობის მითითებით) და მას 3 დღე ეძლევა საბუთების სრულყოფისთვის.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული შესწორებული საბუთები უნდა შემოწმდეს და საარჩევნო რეგისტრაციის საკითხი უნდა გადაწყდეს მათი წარდგენიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს არჩევნების დღემდე 31-ე დღისა. თუ მხარდამჭერთა სიები და შესწორებული საბუთები შეესაბამება ამ კანონით დადგენილ მოთხოვნებს, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარებს პარლამენტის წევრობის კანდიდატს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი იმავე ვადაში გამოსცემს განკარგულებას საარჩევნო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (განკარგულებაში ზუსტად უნდა აღინიშნოს რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზები და ამ კანონის ის ნორმები, რომელთა დაუკმაყოფილებლობამაც გამოიწვია უარის თქმა). ეს განკარგულება ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს და მოთხოვნისთანავე უნდა გადაეცეს.

6. პარლამენტის წევრობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, ხოლო რეგისტრირებული კანდიდატის საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით (თუ რეგისტრირებული იყო მის მიერ) ან სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი განცხადებები და საბუთები არ აკმაყოფილებენ ამ კანონით დადგენილ ყველა მოთხოვნას ან დარღვეულია ამ კანონით დადგენილი სხვა პირობები, კერძოდ:

ა) თუ არასრული ან არასწორია განცხადებებსა და საბუთებში აღნიშნული მონაცემები;

ბ) თუ პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატი არჩევნების მონაწილე სხვა პარტიის წევრია;

გ) თუ კანდიდატი შეყვანილია ერთზე მეტ პარტიულ სიაში და ერთდროულად არსებობს ან არსებობდა ერთზე მეტ სიაში შეყვანაზე მისი თანხმობა;

დ) თუ პარტიულ სიაში შეყვანილი კანდიდატი ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში წარდგენილია სხვა პარტიის, საარჩევნო ბლოკის ან ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ;

ე) თუ საქართველოს პარლამენტის არჩევნების პერიოდში იმართება სხვა არჩევნები და ერთდროულად არსებობს ან არსებობდა პარლამენტის წევრობის კანდიდატის თანხმობა ამ არჩევნებში კანდიდატის სტატუსით მონაწილეობაზეც;

ვ) თუ დარღვეულია ამ კანონის 73-ე მუხლის მე-9 პუნქტით ან/და 76-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები.

7. პარტიული სიისა და მისი წარმდგენი პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და ამ ბლოკში გაერთიანებული პარტიების საარჩევნო რეგისტრაცია გაუქმდება, თუ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-2 დღისა პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა ამ კანონით დადგენილ მინიმალურ რაოდენობაზე ნაკლები აღმოჩნდა.“.

69. 99-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საარჩევნო სუბიექტების რიგითობა დგინდება არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-14 დღისა.“.

70. 102-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ცესკოს მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებამდე, ხოლო მის მიერ პარლამენტის წევრად არჩეულად გამოცხადებული პირი მისი უფლებამოსილების ცნობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე, არ შეიძლება დააკავონ, დააპატიმრონ ან გაჩხრიკონ, თუ საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინებაზე არ იქნა ცესკოს თანხმობა. გამონაკლისია დანაშაულზე წასწრების შემთხვევა, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ცესკოს. თუ ცესკო მიიღებს სათანადო განკარგულებას, დაკავებული ან დაპატიმრებული კანდიდატი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს.

2. ცესკოს განკარგულებას ამ მუხლში აღნიშნული თანხმობის მიცემის შესახებ კენჭი უნდა ეყაროს საქართველოს გენერალური პროკურორის წარდგინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.“.

71. 103-ე მუხლის მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

72. 104-ე მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. განცხადების/საჩივრის ან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის განსხვავებული აზრის არსებობისას, რომელიც მოითხოვს კენჭისყრის შედეგების გადამოწმებას ან ბათილად ცნობას, საოლქო საარჩევნო კომისია განკარგულებით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისიიდან მიღებული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების ხელახალი დათვლის საკითხს, ხოლო თუ საარჩევნო უბნის შედეგებს შეუძლია არჩევნების საბოლოო შედეგზე გავლენის მოხდენა, კომისია ვალდებულია შეასრულოს ზემოაღნიშნული მოქმედება.“;

ბ) მე-3 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

73. 105-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე არჩევნების დღიდან არა უგვიანეს მე-18 დღისა თავის სხდომაზე აჯამებს საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგებს და შეადგენს ოქმს.“;

ბ) მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12. თუ საარჩევნო ოლქში ამ კანონის მოთხოვნათა უხეშად დარღვევის გამო ბათილად იქნა ცნობილი კენჭისყრის შედეგები [illegible] არჩევნების შედეგები საარჩევნო ოლქში ბათილად ითვლება და ცესკო ამ ოლქში ხელახალ არჩევნებს ნიშნავს.“.

74. 106-ე მუხლის:

ა) სათაური და 1-ლი – მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 106. არჩევნების მეორე ტური. ხელახალი და შუალედური არჩევნები. საქართველოს პარლამენტის გამოკლებული წევრის ადგილმონაცვლეობის წესი**

1. თუ არჩევნების პირველ ტურში პარლამენტის წევრი ვერ აირჩა, ცესკო პირველი ტურის შედეგების დამტკიცებასთან ერთად ნიშნავს არჩევნების მეორე ტურს, რომელიც უნდა გაიმართოს პირველი ტურის შედეგების დამტკიცებიდან არა უგვიანეს მე-14 დღისა. [illegible]

2. [illegible]

3. [illegible]

4. [illegible] არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს ცესკო არჩევნების არჩატარებულად გამოცხადებიდან ან ბათილად ცნობიდან არა უგვიანეს 7 დღისა.

5. შუალედური არჩევნების თარიღს განკარგულებით ნიშნავს და საარჩევნო ღონისძიებათა ვადებს განკარგულებით ადგენს ცესკო არჩევნების დღემდე არა უგვიანეს 2 თვისა. შუალედური არჩევნები იმართება წელიწადში ორჯერ, მაის-ივნისში ან ოქტომბერ-ნოემბერში. არჩევნები უნდა გაიმართოს უახლოეს ვადაში.“;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თუ პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის პარტიული სიით, მის ადგილს ერთი თვის ვადაში იკავებს იმავე სიაში რიგით მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოქმნიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში მისი მომდევნო კანდიდატი და ა. შ. თუ პარტიულ სიაში ასარჩევი კანდიდატი აღარ არის, პარლამენტის წევრის ეს მანდატი გაუქმებულად ჩაითვლება.“;

გ) მე-7 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-$7^{1}$ პუნქტი:

„$7^{1}$. თუ პარლამენტის გამოკლებული წევრი არჩეული იყო საარჩევნო ბლოკის პარტიული სიით და პარტიულ სიაში აღნიშნული იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი სუბიექტი პარტიის წევრია, მის ადგილს ერთი თვის ვადაში იკავებს იმავე პარტიის რიგით მომდევნო პარლამენტის წევრობის კანდიდატი, თუ მან ვაკანსიის წარმოქმნიდან 15 დღეში თანხმობა განაცხადა პარლამენტის წევრობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაკანტურ ადგილს დაიკავებს სიაში იმავე პარტიის მომდევნო კანდიდატი და ა. შ. თუ პარტიულ სიაში აღნიშნული არ იყო, რომ იგი საარჩევნო ბლოკის ერთ-ერთი სუბიექტი პარტიის წევრია, მისი ადგილმონაცვლე განისაზღვრება ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით.“;

დ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ამ მუხლის მე-7 და მე-$7^{1}$ პუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში ცესკო სათანადო საბუთებს წარუდგენს საქართველოს პარლამენტს.“;

ე) მე-10 და მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საქართველოს პარლამენტის მიერ დეპუტატთა უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პარტიულ სიებში დარჩენილ პირებს შეუჩერდებათ პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

11. პარტიული სიით არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისთანავე პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსი აღუდგება იმ პირს, რომელიც ამ მუხლის მე-7 ან მე-$7^{1}$ პუნქტების შესაბამისად მისი უფლებამონაცვლეა. ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან არჩეული პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში პარლამენტის წევრობის კანდიდატის სტატუსი აღუდგება პარტიულ სიაში მყოფ პირს, თუ პარტია/საარჩევნო ბლოკი ამ საარჩევნო ოლქში მას წარადგენს პარლამენტის წევრობის კანდიდატად (სტატუსი აღუდგება ცესკოსთვის კანდიდატად წარდგენის მომენტიდან).“.

75. 107-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $107^{1}$-ე მუხლი:

**„მუხლი $107^{1}$. საქართველოს პარლამენტის წევრად არჩეულ პირთა ნარკოლოგიური შემოწმება**

1. პარლამენტის წევრად არჩეული პირის უფლებამოსილების ცნობამდე ამ პირმა საქართველოს პარლამენტს უნდა წარუდგინოს ამ მუხლით განსაზღვრული ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

2. საქართველოს პარლამენტს უფლება არა აქვს ცნოს პარლამენტის წევრად არჩეული პირის უფლებამოსილება, თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ ცნობაში აღნიშნულ იქნა, რომ იგი ნარკომანი ან ნარკოტიკის მომხმარებელია. ეს პირი კარგავს პასიურ საარჩევნო უფლებას, ვიდრე მის მიერ ცესკოსთვის წარდგენილი არ იქნება ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა, რომლითაც დადასტურდება, რომ იგი ჯანმრთელია.

3. ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა საქართველოს პარლამენტს უნდა წარედგინოს ცესკოს მიერ არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებიდან, ხოლო ამ კანონის 106-ე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში – ცესკოს მიერ პარლამენტისთვის სათანადო საბუთების წარდგენიდან არა უგვიანეს მე-14 დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნების შედეგები ბათილად ითვლება და ინიშნება ხელახალი არჩევნები, თუ პირი პარლამენტის წევრად არჩეული იყო ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქიდან, ან ცესკოს მიერ ამ კანონის 106-ე მუხლის მე-7 და მე-$7^{1}$-ე პუნქტების შესაბამისად განისაზღვრება მისი უფლებამონაცვლე.

4. ამ მუხლში აღნიშნული ნარკოლოგიური შემოწმება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ პარლამენტის საერთო/შუალედური არჩევნების დღის შემდეგ, სათანადო უფლების მქონე დაწესებულების მიერ კომისიური წესით. ამ დაწესებულებას ყოველი საერთო არჩევნების დღემდე სულ ცოტა 30 დღით ადრე ერთობლივად შეარჩევს ცესკო და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. ამ მუხლში აღნიშნული შემოწმების უფლების მინიჭება ფორმდება ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით.“.

76. $127^{1}$-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $127^{1}$. მოქმედი საარჩევნო ადმინისტრაციის უფლებამოსილების შეწყვეტა**

საარჩევნო ადმინისტრაციის რეორგანიზაციის გამო ამ კანონის 128-ე და $128^{1}$-ე მუხლების შესაბამისად შექმნილი საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების პირველი შეკრებისთანავე უფლებამოსილება შეუწყდებათ ამ მუხლის ამოქმედებამდე არსებული შესაბამისი საარჩევნო კომისიების წევრებსა და მათი აპარატების თანამშრომლებს. საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი თანამდებობის პირები ვალდებულნი არიან საქმეები გადააბარონ კომისიების ახალ შემადგენლობას, ხოლო საარჩევნო კომისიების აპარატის თანამშრომლები საქმის გადაბარებამდე და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამსახურიდან განთავისუფლებამდე ასრულებენ კომისიის თავმჯდომარის დავალებებს.“.

77. 128-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის პირველივე არჩევნების შედეგების საფუძველზე, ამ კანონის შესაბამისად საარჩევნო კომისიების შექმნამდე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება ამ კანონის მე-18 მუხლის, მე-20 მუხლის მე-5 პუნქტის, 21-ე, 221-ე, 26-ე მუხლების, 28-ე მუხლის მე-3 – მე-6 პუნქტების, $39^{1}$-ე მუხლის და ამ მუხლის შესაბამისად. თუ ზემოაღნიშნული მუხლების რომელიმე დებულება განსხვავდება ამ მუხლის დებულებათაგან, მოქმედებს ამ მუხლით დადგენილი ნორმა.“.

78. $128^{1}$-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის პირველივე არჩევნების შედეგების საფუძველზე, ამ კანონის შესაბამისად საარჩევნო კომისიების შექმნამდე, საოლქო საარჩევნო კომისია იქმნება ამ კანონის მე-18 მუხლის, მე-20 მუხლის მე-4 – მე-5 პუნქტების, 21-ე, $22^{1}$-ე, 26-ე მუხლების, 33-ე მუხლის მე-5 – მე-8 პუნქტების, $39^{1}$-ე მუხლის და ამ მუხლის შესაბამისად. თუ ზემოაღნიშნული მუხლების რომელიმე დებულება განსხვავდება ამ მუხლის დებულებათაგან, მოქმედებს ამ მუხლით დადგენილი ნორმა.“.

79. $128^{2}$-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ, საქართველოს პარლამენტის პირველივე არჩევნების შედეგების საფუძველზე, ამ კანონის შესაბამისად საარჩევნო კომისიების შექმნამდე, საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება ამ კანონის მე-18 მუხლის, მე-20 მუხლის მე-4 – მე-5 პუნქტების, 21-ე, $22^{1}$-ე, 26-ე მუხლების, 36-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 37-ე და $39^{1}$-ე მუხლების და ამ მუხლის შესაბამისად. თუ ზემოაღნიშნული მუხლების რომელიმე დებულება განსხვავდება ამ მუხლის დებულებათაგან, მოქმედებს ამ მუხლით დადგენილი ნორმა.“.

80. $128^{3}$-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი $128^{3}$. ამ კანონის 128-ე, $128^{1}$-ე და $128^{2}$-ე მუხლების შესაბამისად შექმნილი საარჩევნო კომისიების წევრების უფლებამოსილების ვადა**

1. ამ კანონის 128-ე და $128^{1}$-ე მუხლების შესაბამისად დანიშნული ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების უფლებამოსილების ვადა იწყება კომისიის პირველი შეკრების დღეს და იწურება პარლამენტის მომდევნო არჩევნების საფუძველზე შექმნილი კომისიების პირველი შეკრების დღეს.

2. ამ კანონის $128^{3}$-ე მუხლის შესაბამისად დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება კომისიის პირველი შეკრების დღეს, ხოლო თუ იგი დაინიშნა ამ დღის შემდეგ – ზემდგომი საოლქო საარჩევნო კომისიისთვის მისი დანიშვნის განცხადების წარდგენის დღეს და იწურება შესაბამის საარჩევნო უბანში კანონით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დასრულებისთანავე.“.

# საქართველოს ორგანული კანონი

## საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

81. $128^{3}$-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $128^{4}$-ე – $128^{8}$-ე მუხლები:

**„მუხლი $128^{4}$. საარჩევნო კომისიების მიერ ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღების წესი**

1. ამ კანონის 128-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისია, ამ კანონით დადგენილისგან განსხვავებით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს აუცილებლობის შემთხვევაში ნიშნავს განკარგულებით, რომელიც მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის ორი მესამედით.

2. ამ კანონის $128^{1}$-ე მუხლის შესაბამისად შექმნილი საოლქო საარჩევნო კომისია, განკარგულებით, რომელიც (ამ კანონით დადგენილისაგან განსხვავებით) მიიღება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, უფლებამოსილია:

ა) აუცილებლობის შემთხვევაში დანიშნოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი;

ბ) ბათილად ცნოს კენჭისყრის შედეგები საარჩევნო უბანში;

გ) დაამტკიცოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

**მუხლი $128^{5}$. 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ოლქებისა და საარჩევნო უბნების შექმნის ვადები**

1. საარჩევნო ოლქები იქმნება ამ კანონით დადგენილი წესით არა უგვიანეს 2003 წლის 6 სექტემბრისა, ხოლო მათი ჩამონათვალი ცესკოს მიერ ქვეყნდება საარჩევნო ოლქების შექმნიდან 3 დღის ვადაში.

2. საარჩევნო უბნები იქმნება ამ კანონით დადგენილი წესით არა უგვიანეს 2003 წლის 11 სექტემბრისა, ხოლო მათი ჩამონათვალი ცესკოს მიერ ქვეყნდება უბნების შექმნიდან 5 დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისიების მეშვეობით. საარჩევნო უბნების საზღვრების დაზუსტება ხდება არა უგვიანეს 2003 წლის 3 ოქტომბრისა.

**მუხლი $128^{6}$. ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი და ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის განსაზღვრა 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის**

1. ამ კანონის მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ – „ე“ ქვეპუნქტებში აღნიშნული დაწესებულებები არა უგვიანეს 2003 წლის 29 აგვისტოსი, ბოლო ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დაწესებულებები არა უგვიანეს 2003 წლის 10 სექტემბრისა ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირებისთვის საჭირო მონაცემების 2 ეგზემპლარს გადასცემენ ცესკოს, რომელიც სიების ერთ ეგზემპლარს გადასცემს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. მონაცემების ამსახველი სიის დედნების შენახვას უზრუნველყოფს ცესკო.

2. ამ კანონის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში აღნიშნული მოქალაქის პირადობის მოწმობის არარსებობის შემთხვევაში 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეიტანება ამ კანონის $128^{8}$-ე მუხლით განსაზღვრული იმ საბუთის სახელწოდება და ნომერი, რომლის საფუძველზეც იქნა შეყვანილი სიაში.

3. ამომრჩეველთა ერთიან სიაში ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. 2003 წლის 1 სექტემბრის შემდეგ პირის მუდმივი საცხოვრებელი ადგილისა და რეგისტრაციის მისამართის შეცვლა არ წარმოშობს ამომრჩევლის მონაცემებსა და ამომრჩეველთა ერთიან სიაში შესაბამისი ცვლილების შეტანის ვალდებულებას.

4. საოლქო საარჩევნო კომისია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ დაწესებულებათა მიერ გადაცემული მონაცემების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

5. ცესკო არა უგვიანეს 2003 წლის 27 სექტემბრისა უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ერთიანი სიის შედგენას, მასში ამ კანონით გათვალისწინებულ ცვლილებათა ასახვას, სიის დაყოფას საარჩევნო ოლქებისა და უბნების მიხედვით, სიების გადაცემას შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის და კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. საოლქო საარჩევნო კომისია მისთვის გადაცემულ ამომრჩეველთა სიებს, მიღებიდან 2 დღის ვადაში, გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს, რომლებიც დაუყოვნებლივ უზრუნველყოფენ სიების საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას მათი გამოკვრით.

6. საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, ამ კანონის 68-ე მუხლით განსაზღვრულ დამკვირვებელ ორგანიზაციასა და ამომრჩეველს უფლება აქვთ გაეცნონ საქართველოს ცენტრალურ, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებული ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ ნაწილს (ამომრჩეველს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ მის და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილების შეტანა) და უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში არა უგვიანეს 2003 წლის 19 ოქტომბრისა მოითხოვონ ამომრჩეველთა მონაცემებსა და ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა. მონაცემების გაცნობა და ასლის გაცემა ხდება საჯარო ინფორმაციის გაცნობისა და გაცემისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული განცხადება, თუ იგი შევიდა საქართველოს ცენტრალურ ან საუბნო საარჩევნო კომისიაში, არა უგვიანეს მომდევნო დღისა გადაეცემა შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. უფლებამოსილი სუბიექტის განცხადებას საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს და სათანადო გადაწყვეტილებას იღებს განცხადების მიღებიდან 5 დღის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 2003 წლის 22 ოქტომბრისა. კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიაში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და განკარგულების გამოცემის მომდევნო დღიდან, მოთხოვნისთანავე, უნდა გადაეცეს განმცხადებელს.

8. ამომრჩეველთა სიებსა და მონაცემებში ცვლილების შეტანა უნდა დამოწმდეს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მიერ უფლებამოსილი პირის, სახელმწიფო დაწესებულებაში შესაბამისი მონაცემების დადგენაზე უფლებამოსილი პირის და იმ სუბიექტის ან მისი წარმომადგენლის ხელმოწერით, რომელიც მოითხოვდა ცვლილების შეტანას.

9. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა სიებსა და მონაცემებში ცვლილების შეტანის შესახებ 2 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს ცენტრალურ და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებს.

10. არა უგვიანეს 2003 წლის 26 ოქტომბრისა საუბნო საარჩევნო კომისიებს გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და მდივნის მიერ ხელმოწერილი ამომრჩეველთა დაზუსტებული სიების 2 ეგზემპლარი. ამომრჩეველთა სიის საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილზე.

11. საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა სიებში/მონაცემებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ, მისი გამოცემიდან 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში. სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება 3 დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნების დღემდე 10 დღეზე ნაკლებია დარჩენილი, მომდევნო დღესვე უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ცესკოსა და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. საარჩევნო კომისიებმა სათანადო ცვლილება დაუყოვნებლივ უნდა შეიტანონ ამომრჩეველთა სიებში.

12. აკრძალულია ამომრჩეველთა სიებში ცვლილების შეტანა არჩევნების დღემდე ბოლო 4 დღის განმავლობაში, ხოლო არჩევნებამდე მე-10-დან მე-4 დღემდე ცვლილება შეიტანება მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით (ასეთ შემთხვევაში საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში ცვლილება შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს და მას ხელმოწერით ადასტურებენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

13. ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა საქართველოში და მის ყოველ საარჩევნო ოლქში განისაზღვრება 2003 წლის 27 სექტემბრის მდგომარეობით და ქვეყნდება 3 დღის ვადაში. ამომრჩეველთა დაზუსტებული საერთო რაოდენობა განისაზღვრება 2003 წლის 29 ოქტომბრის მდგომარეობით და ქვეყნდება არა უგვიანეს 31 ოქტომბრისა.

**მუხლი $128^{7}$. პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის ღონისძიებათა ვადები 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისას**

1. პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის მიზნით ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის მიმართვის ვადის ბოლო, განსხვავებით ამ კანონის 95-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულისა, განისაზღვროს 2003 წლის 2 სექტემბრით.

2. არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერთა სიის წარდგენის ვადის ბოლო, განსხვავებით ამ კანონის 95-ე მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნულისა, განისაზღვრება 2003 წლის 7 სექტემბრით.

3. პარტიის საარჩევნო რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების ვადის ბოლო, განსხვავებით ამ კანონის 95-ე მუხლის მე-11 პუნქტში აღნიშნულისა, განისაზღვრება 2003 წლის 12 სექტემბრით.

**მუხლი $128^{8}$. საარჩევნო ბიულეტენის მისაღებად, საარჩევნო კომისიების წევრთა დასანიშნად/ასარჩევად/წარსადგენად და მხარდამჭერთა სიაში აღსანიშნავად აუცილებელი საბუთები 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებისას**

1. საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის საფუძველზე კენჭისყრის დღეს საარჩევნო ბიულეტენს (ბიულეტენებს) და სპეციალურ კონვერტს გასცემს ქვემოთ ჩამოთვლილი ერთ-ერთი საბუთის წარდგენისას:

ა) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი (მათ შორის სსრ კავშირის სიმბოლიკიანი პასპორტი, თუ მასში აღნიშნულია ამომრჩევლის რეგისტრაციის ადგილი);

ბ) სამხედრო ბილეთი;

გ) დევნილის მოწმობა;

დ) შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ გაცემული ამომრჩევლის მოწმობა.

2. თუ სოფელში, თემსა და დაბაში მცხოვრებ ამომრჩეველს არა აქვს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი საბუთი, მან განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით. საკითხის დადებითად გადაწყვეტისას ამომრჩეველს ეძლევა ამომრჩევლის მოწმობა, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. საკითხის უარყოფითად გადაწყვეტისას განმცხადებელს არა უგვიანეს მომდევნო დღისა ეძლევა განკარგულების ასლი, რომელშიც აღინიშნება უარის თქმის მიზეზი. ამომრჩევლის მოწმობის ფორმას განკარგულებით ადგენს ცესკო.

3. საარჩევნო ბიულეტენისა და სპეციალური კონვერტის გაცემისას ამომრჩეველთა სიაში შეიტანება ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საბუთის დასახელება და ნომერი.

4. საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნისას/არჩევისას/წარდგენისას, აგრეთვე მხარდამჭერთა სიაში ხელმოწერისას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ან საქართველოს მოქალაქის პასპორტის ნაცვლად (თუ პირს არა აქვს ეს საბუთი), შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ – „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული ერთ-ერთი საბუთი.“.

82. 129-ე მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ კანონის 92-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ქართული ენის ცოდნის ვალდებულება ამოქმედდეს 2005 წლის 1 იანვრიდან.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2004 წლის 1 თებერვლიდან.“;

გ) მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში სახელმწიფო ენის ცოდნის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიის წინადადების საფუძველზე, ცესკო უზრუნველყოფს ამ კომისიებისთვის სათანადო კვალიფიკაციის თარჯიმნის გამოყოფას.“.

**მუხლი 2. გარდამავალი დებულება**

არა უგვიანეს 2003 წლის 5 სექტემბრისა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოამზადოს და საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს ამ კანონიდან გამომდინარე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის პროექტები, რომელთა განხილვა და მიღება პარლამენტმა უზრუნველყოს 2003 წლის 30 სექტემბრამდე.

**მუხლი 3. დასკვნითი დებულება**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს პრეზიდენტი**
**ედუარდ შევარდნაძე.**

თბილისი, 2003 წლის 14 აგვისტო.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 244, შაბათი, 13 სექტემბერი, 2003 წელი.

### მენეჯმენტი

# „სერმა" საერთაშორისო სერტიფიკატის მფლობელია

**ახლებურად მართვა ურთულესი პრობლემაა. ყველას როდი შეუძლია ამ გამოცდის ჩაბარება. მაგალითად, როცა ჩინეთში მართვის ახალი სისტემის დანერგვა დაიწყო, მმართველთა დაახლოებით 40 პროცენტი გაათავისუფლეს, ან მათ თვითონ დატოვეს თავიანთი პოსტები. ჩვენთანაც, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საწარმოთა ბევრმა ხელმძღვანელმა ალღო ვერ აუღო ახალ ურთიერთობებს, არ ეყოთ არც ნიჭი და არც გამოცდილება იმისათვის, რომ მათ ქარხანას თუ ფაბრიკას ახალ პირობებში ფეხი აეწყო თანამედროვე ცხოვრებისათვის. ამიტომაც არის, რომ ჩვენს ქვეყანაში საწარმოთა უმრავლესობის კარები გამოკეტილია, მსხვილი ბოქლომი ადევს, ხოლო შენობა-ნაგებობები, რომელთა აშენებაზე თავის დროზე მილიონები დაიხარჯა, უმოწყალოდ ნადგურდება. თავისთავად იბადება კითხვა, ნუთუ იმიტომ ჩატარდა პრივატიზაცია, რომ სიცოცხლისუნარიანი საწარმოები მომკვდარიყო ან სამ-ოთხ კაცს „ეგულავა" ფართო საამქროებში, თანდათანობით გაეყიდა ჩარხები, მანქანა-დანადგარები, მოსამსახურე პერსონალი ქუჩაში გაეყარა და თავიანთი უნიათობა სხვისთვის გადაებრალებინათ.**

საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი „სერმა", ყველაფერს ღონობს იმისათვის, რომ ქართველმა მენეჯერებმა კვალიფიკაცია აამაღლონ საერთაშორისო დონის „პროფესიონალ მენეჯერთა პროგრამაში" მონაწილეობით. ამ პროგრამას 3 წლის განმავლობაში ამზადებდნენ როგორც გამოცდილი ქართველი ბიზნეს-კონსულტანტები, ასევე მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისა და



ბიზნეს-სკოლების პროფესორები. [illegible]

**მაინც, რა მნიშვნელობა ენიჭება ხარისხის მართვის საერთაშორისო სერტიფიკატის მიღებას და როგორ წაადგება იგი ქართულ კომპანიებს? — ამის თაობაზე გვესაუბრება „სერმას" აღმასრულებელი დირექტორი ქალბატონი ნანა ადეიშვილი.**

— „სერმას" ხარისხის მართვის სისტემა შეამოწმა სტანდარტიზაციის, ტესტირების და სერტიფიცირების სფეროში ერთ-ერთმა უდიდესმა ბრიტანეთის სტანდარტების ორგანიზაციამ BSI-მ. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001 დაარსდა 1987 წელს, როდესაც სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ პირველად მართვის სისტემების საკითხებში ბრიტანეთის ეროვნული სტანდარტების ბაზაზე გამოსცა ხარისხის მართვის მარეგულირებელი სტანდარტების სერია. თვითონ საერთაშორისო ორგანიზაცია შეიქმნა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და მასში გაწევრიანებულია 147 ქვეყანა. ამჟამად სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციას გამოცემული აქვს 13700 სხვადასხვა ტიპის [illegible] მიერი სიდიდის და საქმიანობის მქონე კომპანიამ ან ორგანიზაციამ. ეს სერტიფიკატი საერთაშორისო კომპანიებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის აუცილებელია.

სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ ISO 9001 გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე სტანდარტი და როგორც მართვის მძლავრი მექანიზმი, დიდ ზეგავლენას ახდენს ყველა იმ პროცესზე, რომელსაც კომპანია მართავს.

ხარისხის მართვის სისტემებს კომპანიებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს სისტემა უზრუნველყოფს საწარმოების პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებას და, შესაბამისად, იძლევა საერთაშორისო ბაზრებზე შესვლის შესაძლებლობას. რაც კიდევ უმნიშვნელოვანესია, კომპანიებში აადვილებს მართვის პროცესებს. „სერმამ" ეს საკუთარ თავზე გამოსცადა და კარგად იცის, თუ რამდენად ეფექტიანია იგი.

ISO 9001 სტანდარტის უმთავრესი მოთხოვნა მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება, მათ „ენაზე" საუბარი გახლავთ და თუ ეს ბარიერი დაიძლია, მაშინ იმპორტის ჩანაცვლება უფრო იოლად შეიძლება. საერთოდ, „სერმა" ძირითადად ადგილობრივ ბაზარზეა ორიენტირებული, ჩვენთან ხარისხის მართვის სისტემის დანერგვით გვინდოდა ჯერ საკუთარი თავისთვის და შემდგომ ადგილობრივი და უცხოური კომპანიებისათვის დაგვემტკიცებინა, რომ ამ საკითხებში მაღალკვალიფიციური მომსახურების გაწევა შეგვიძლია. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ ISO 9001 სტანდარტით საქართველოში „სერმას" გარდა, მხოლოდ ხუთი კომპანია არის სერტიფიცირებული. რა თქმა უნდა, ეს კარგია, მაგრამ ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარებისათვის ნამდვილად არასაკმარისია.

**— ქალბატონო ნანა, ამჟამად რომელი დარგის საწარმოებში მუშაობთ და რას აპირებთ მომავალში?**

— ამჟამად ვმუშაობთ კვების მრეწველობისა და ხეტყის [illegible] 15 [illegible] 20 [illegible] ჯი. უცხოეთში ქართულ ჩაის არ იცნობენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები არ მაქვს მხედველობაში, არადა, ნამდვილად არსებობს იმის პოტენციალი, რომ ქართულმა ჩაიმ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზარზე. რა თქმა უნდა, ეს ძნელად მისაღწევია, მაგრამ უნდა შევძლოთ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჩაის პლანტაციების განახლება-მოვლაპატრონობას, რადგან ჩვენი ექსპერტების აზრით, თუ ახლავე ყურადღება არ დაეთმო ამას, ხუთ წელიწადში ჩაის ბუჩქები საერთოდ გადაგვარდება.

გარდა ამისა, ვმუშაობთ რძის გადამამუშავებელი, ხილფაფებისა და კონსერვების დამამზადებელ საწარმოებში, რადგან მათ მიერ გამოშვებული კვების პროდუქტები არ შეესაბამებიან საერთაშორისო სტანდარტებს და ამის გამო საექსპორტოდ მცირე რაოდენობის პროდუქცია იგზავნება. ამის მიზეზი არასრული ყოფილი მართვა გახლავთ, ამ მართვაში არ იგულისხმება ადმინისტრირება, თუმცა ხარისხსაც მართვა სჭირდება. ხეტყის გადამამუშავებელ საწარმოებთან შედარებით სამართავად კვების მრეწველობის საწარმოები შედარებით უფრო დინამიურია, მასში ინვესტიციების ჩადებაც უფრო მეტად ხდება. ახლა ამ ტიპის ბევრი მცირე საწარმო შეიქმნა, რაც უდავოდ დადებითია. ვცდილობთ, რომ ეს საწარმოები ერთმანეთს დავაკავშიროთ და თითოეულ მათგანს მენეჯმენტში დავეხმაროთ, მნიშვნელოვნად გავზარდოთ ექსპორტი, როგორც ხეტყის, ისე კვების მრეწველობაში. ამ მხრივ ბევრი სამუშაო არის განსახორციელებელი როგორც ხარჯთაღრიცხვიანობის თვალსაზრისით, ასევე ხარისხის, მწარმოებლობის ზრდის, პროდუქტიულობის გაუმჯობესების, გარე ბაზრების მარკეტინგის თვალსაზრისით. ამასთან, ვაფართოებთ ჩვენს კურსს კომპანიის მენეჯერებისათვის მარკეტინგის მენეჯმენტში. ეს არის სამთვიანი კურსი და ითვალისწინებს მენეჯერებში გადაწყვეტილებების მიღების უნარის განვითარებას, ანუ იმის სწავლებას, თუ რითი უნდა ხელმძღვანელობდეს კომპა- [illegible] რამები მათ ზოგად განათლებაზე კი არ იზრუნებს, არამედ ზუსტად იქნება მიმართული იმ უნარ-ჩვევების განვითარებაზე, რაც მათ სჭირდებათ კომპანიის მართვისათვის.

ეს პროგრამები კიდევ ორ წელს გაგრძელდება. „სერმას" მიზანი ისიც არის, რომ პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოში გაჩნდეს დამოუკიდებელი საკონსულტაციო კომპანიები მენეჯმენტის დარგში.

სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ „სერმას" რამდენიმე კონსულტანტი მენეჯერად უკვე მიიწვიეს სხვადასხვა საწარმოებში და ახლა ისინი წარმატებით უძღვებიან საქმეს.

ესაუბრა
**ლალი ძინძლაძე.**

### კრიმინალი

# თურქეთში... საროსკიპოდ

**„საქართველოს რესპუბლიკამ" თავის მკითხველებს უკვე ამცნო ბავშვებით მოვაჭრე ერთ-ერთი ორგანიზებული ჯგუფის „საქმიანობის" შესახებ, ამჯერად მოგითხრობთ სამართალდამცველთა მიერ საქართველო-თურქეთის საზღვარზე დაკავებულ ერთ ქალბატონზე, რომელიც, ასევე ტრეფიკინგს, ოღონდ ქალებით ვაჭრობას ეწეოდა.**

7 სექტემბერს ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის საფუძველზე სამცხე-ჯავახეთის შს სამხარეო სამმართველოს, შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს, სამხარეო შს მთავარი სამმართველოს შესაბამისი სამსახურის, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურის, ახალციხის შს განყოფილების, სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის რეგიონალური სამმართველოსა და უშიშროების სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ახალციხის რეგიონული განყოფილების თანამშრომლებმა საქართველო-თურქეთის ვალეს საბაჟო გამშვებ პუნქტზე დააკავეს ყვარელში მცხოვრები 48 წლის ცირა ბაღოშვილი, რომელმაც 26 ივლისს იმავე საბაჟო გამშვები პუნქტის გავლით, პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით მოტყუებით გადაიყვანა თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს მოქალაქეები, ქარელის რაიონში მცხოვრები 21 წლის მ. ე. და ხაშურის რაიონის მცხოვრები 25 წლის თ. გ. ბაღოშვილმა მათ საზღვრის გადაკვეთისთანავე ჩამოართვა პასპორტები და აძალებდა თურქი ეროვნების მამაკაცებთან სექსუალური კავშირის დამყარებას, რის გასამრჯელოსაც იღებდა თვითონ. ბაღოშვილისგან ამოღებულია რვეული, სადაც იგი აკეთებდა აღნიშვნებს მ. ე.-ს და თ. გ.-ს მიერ ჩატარებული სექსუალური აქტების და მიღებული გასამრჯელოს შესახებ.

თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცენტრალური აპარატისა და რაიონების შს სამმართველოების თანამშრომლებმა გასულ კვირაში 23 დანაშაული გახსნეს და გამოავლინეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ყაჩაღთა ორგანიზებული რამდენიმე ჯგუფის დაკავება, რომელთაგან ერთ-ერთი კარგა ხნის მანძილზე მოქმედებდა საქართველოს დედაქალაქში, აწყობდა შეიარაღებულ ყაჩაღურ თავდასხმებს კერძო და სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებზე.



3 სექტემბერს დააკავეს დედაქალაქში მოქმედი ყაჩაღური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები, რუსთავში მცხოვრები, ორჯერ ნასამართლევი ქართლოს გოჩიტაშვილი, აბაშაში მცხოვრები, დროებით თბილისში დიღმის მასივში მცხოვრები გიორგი გაბელია, გარდაბნის რაიონში მცხოვრები როინ ჯაჭვაძე, თბილისში მცხოვრები გიორგი ჯაჭვაძე და ზაზა ნამგალაძე, რომლებიც ამჟამად მიმალვაში მყოფ ორ თანამზრახველთან წინასწარი შეთანხმებით 2003 წლის 14 აპრილს ყაჩაღურად თავს დაესხნენ „თბილგაზის" ადმინისტრაციულ შენობას. განსაკუთრებული ცინიზმითა და ცეცხლსასროლი იარაღებით სიცოცხლისათვის საშიში მუქარით გათოკეს დისპეტჩერი გიორგი ნოზაძე და დარაჯი ბერდია ნანობაშვილი. გაანგრიეს ბუღალტერიის კედელი და გაიტაცეს 18 000 ლარი.

გატარებული შემდგომი კომპლექსური ოპერატიულ-სამძიებო ღონისძიებების შედეგად დადგინდა, რომ ამ ჯგუფს დედაქალაქში ჩადენილი აქვს კიდევ არაერთი მძიმე კატეგორიის დანაშაულობები. კერძოდ, 5 ივნისს, დილის 5 საათზე მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ტერიტორიაზე გ. გაბელია, რ. ჯაჭვაძე, ზ. ნამგალაძე და გ. ჯაჭვაძე, ვინმე ლევანთან ერთად, გერგეტის ქ. №6-ში ყაჩაღურად თავს დაესხნენ დასუფთავების სამმართველოს. განსაკუთრებული ცინიზმითა და ცეცხლსასროლი იარაღით სიცოცხლისათვის საშიში მუქარით გათოკეს ორგანიზაციის დარაჯი, დაარბიეს ადმინისტრაციული შენობის ოთახები და სეიფები, საიდანაც გაიტაცეს 3 000 ლარი. დაზარალებულებს ამ ფაქტის შესახებ პოლიციისათვის არ მიუმართავთ.

11 ივლისს, ღამის 1 საათზე, გლდანი-ნაძალადევის რაიონის ტერიტორიაზე გ. გაბელია, რ. ჯაჭვაძე, ზ. ნამგალაძე და გ. ჯაჭვაძე, ვინმე ლევანთან ერთად, ყაჩაღურად თავს დაესხნენ გლდანის გამგეობის შენობას, განსაკუთრებული ცინიზმითა და ცეცხლსასროლი იარაღით სიცოცხლისათვის საშიში მუქარით გათოკეს ორგანიზაციის დარაჯი, დაარბიეს ადმინისტრაციული შენობის ოთახები და სეიფები, საიდანაც გაიტაცეს 5 ტელევიზორი. ამ ფაქტზე გლდანი-ნაძალადევის საგამოძიებო სამსახურში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ნივთმტკიცებები ამოღებულია.

ცნობილია, რომ ქურდული სამყარო სასჯელის მოხდის ადგილებიდანაც გეგმავს და ორგანიზებას უკეთებს ხოლმე სხვადასხვა ქალაქსა თუ სოფელში განსახორციელებელ დანაშაულს, თუმცა, როგორც ჩანს, ზოგიერთი პატიმარი ამასაც არ სჯერდება.

8 სექტემბერს თბილისის შს მთავარ სამმართველოში არსებული ოპერატიული მასალების საფუძველზე სისხლის სამართლის სამძებროს სამმართველოს თანამშრომლებმა გატარებული ღონისძიებების შედეგად ფულის გამოძალვის ფაქტზე ამხილეს ქარელის რაიონის სოფელ ახალსოფელში მცხოვრები, ნასამართლევი, ამჟამად ყაჩაღობის ჩადენისათვის ბრალდებული ზაზა სხირტლაძე, რომელიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილედან მობილური ტელეფონის საშუალებით 11-დან 31 აგვისტომდე დროის შუალედში სისტემატურად უკავშირდებოდა ბინის ტელეფონზე თბილისში, დიღმის მასივის მე-3 კვარტალში მცხოვრებ იოსებ მელქონიანს, რომელსაც სიცოცხლის მოსპობის მუქარით სძალავდა 7 000 დოლარს.

გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური.

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

## • შვედეთის პოლიცია ეძებს ანა ლინდის მკვლელს
## • მასობრივი საპროტესტო გამოსვლები პალესტინაში
## • ინციდენტი „სუნიტურ სამკუთხედში"

# ეჭვმიტანილის ვინაობა ცნობილია, თუმცა პოლიცია კომენტარისაგან თავს იკავებს



**შვედეთის პოლიციამ განაცხადა, რომ დაადგინა ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის ანა ლინდის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პირის ვინაობა. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ლინდი გარდაიცვალა ხუთშაბათს სტოკჰოლმის ერთ-ერთ უნივერმაღში დანით მიყენებული ჭრილობების შედეგად.**

პოლიცია ეძებს 30 წლის მამაკაცს. როგორც სამართალდამცავები აღნიშნავენ, უნივერმაღის ესკალატორზე აღმოჩენილმა თითის ანაბეჭდებმა პოლიციას მისცა შესაძლებლობა შეემოწმებინა მონაცემების ეროვნული ბაზა, რომელშიც შეტანილია ნასამართლევ პირთა საქმეები. გაირკვა, რომ მონაცემები თავდამსხმელის შესახებ, რომლის ვინაობასაც ჯერჯერობით არ ახმაურებენ, დაცულია ამ ბაზაში.

ძებნილს აქვს გრძელი შავი თმა, თავდასხმის მომენტისათვის მას ეცვა საზაფხულო ქურთუკი და ეხურა სპორტული კეპი. გამომძიებლებმა უკვე იპოვეს დამნაშავის ტანსაცმელი და დანა, რომლითაც მან სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა ანა ლინდს. იტყობინებიან, რომ ეჭვმიტანილს არა აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი და იგი ფსიქიკურად გაუწონასწორებელია. ჯერჯერობით არ არის ცნობილი, ჰქონდა თუ არა მკვლელს ანა ლინდზე თავდასხმის რაიმე განსაკუთრებული საბაბი, თუ ეს, უბრალოდ, შემთხვევითი თავდასხმა იყო.

ეჭვმიტანილის ძებნა შვედეთში დაიწყო მაშინ, როცა ქვეყანაში ემზადებიან რეფერენდუმის გამართვისათვის. რეფერენდუმის გამართვა კვირისათვის არის დანიშნული, რომლის დროსაც შვედეთის მოსახლეობამ უნდა დააფიქსიროს, თანახმა არის თუ არა, რომ ქვეყანა შეუერთდეს ერთიანი ევროპული ვალუტის ზონას. ანა ლინდის გარდაცვალების შემდეგ, ევროს მომხრეებმაც და მოწინააღმდეგეებმაც შეწყვიტეს სააგიტაციო კამპანია, თუმცა რეფერენდუმი მაინც გაიმართება.

საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ბოლო შედეგებმა ცხადყვეს, რომ ქვეყანაში ევროენთუზიასტთა რიცხვი ნაკლები იყო ევროსკეპტიკოსებთან შედარებით. ანა ლინდი შვედეთის ევროზონაში გაერთიანებას უჭერდა მხარს. მაგრამ, როგორც მრავალი ანალიტიკოსი ვარაუდობს, სტოკჰოლმში მომხდარმა ტრაგედიამ განამტკიცა ევროს მომხრეთა პოზიციები. პარასკევს გამოქვეყნებული გამოკითხვის შედეგებით, ახლა ორივე მხარეს თანაბარი მხარდაჭერა აქვს მოსახლეობაში.

ჯერჯერობით კი, ევროდებატების ნაცვლად ქვეყნის მთავრობამ გამართა დემონსტრაცია ძალადობის წინააღმდეგ. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღეს ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა იორან პერსონმა და სხვა წამყვანმა შვედმა პოლიტიკოსებმა. ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ მოსახლეობა ასეთი გზით შეძლებს გამოხატოს აღშფოთება ამ თავდასხმის გამო, რომელმაც შეიწირა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო პოლიტიკოსის სიცოცხლე.

# ერაყში თავს დაესხნენ ამერიკელთა ბადრაგს

**ხუთშაბათს ერაყის ქალაქ ელ-ფალუჯის დასავლეთით მოხდა თავდასხმა ამერიკელთა ბადრაგზე. თავდასხმის შედეგად განადგურებულია რამდენიმე ერთეული საბრძოლო ტექნიკა.**



როგორც არაბული ტელეარხები იტყობინებოდნენ, ერაყის წინააღმდეგობის მებრძოლებმა ნაღმსატყორცნებისა და ავტომატური იარაღის ცეცხლი გაუხსნეს ამერიკელებს. სროლის შედეგად განადგურებულია ორი საწევარი, რომელთაგან ერთს იყენებდნენ ტანკების ტრანსპორტირებისათვის, აგრეთვე არმიის ჯიპი.

თავდასხმის თვითმხილველებს მოჰყავს სხვადასხვა მონაცემი შეტაკების შედეგად დაღუპულ ამერიკელთა რიცხვის შესახებ. სხვადასხვა ვერსიით, მოკლულია რამდენიმე სამხედრო მოსამსახურე და დაჭრილია შვიდი კაცი.

ელ-ფალუჯა მდებარეობს ეგრეთ წოდებულ „სუნიტურ სამკუთხედში" — ბაღდადიდან დასავლეთით და ჩრდილოეთით განლაგებულ რაიონში, სადაც ყველაზე ხშირად ხორციელდება თავდასხმები ამერიკელთა ჯარებზე.

# პალესტინელები მხარს უჭერენ იასირ არაფატს



**პალესტინის ავტონომიის ლიდერის იასირ არაფატის გასახლების შესახებ ისრაელის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების პასუხად, პალესტინელებმა მასობრივი საპროტესტო აქციები გამართეს. პალესტინის ავტონომიის ლიდერის მომხრეები შეიკრიბნენ იასირ არაფატის რამალაჰის რეზიდენციასთან. ანალოგიური მიტინგები დაზის სექტორში გაიმართა.**

პალესტინის ახალმა პრემიერმა აჰმედ ქურეიმ ისრაელის მთავრობის ასეთი გადაწყვეტილების პასუხად განაცხადა, რომ წყვეტს მუშაობას ავტონომიის ახალი მთავრობის შექმნისათვის, რადგან ამ ბოლო ხანს განვითარებული მოვლენები საფრთხეს უქმნის სტაბილურობას მთელს რეგიონში.

არაფატის გასახლების შესახებ გადაწყვეტილება გამოაცხადეს ისრაელის მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომაზე, რომელზეც განიხილეს სამშაბათს ისრაელში ბომბების აფეთქებაზე საპასუხო ღონისძიებათა განხორციელების ვარიანტები. როგორც უკვე ვიტყობინებოდით, ტერორისტი კამიკაძეების მიერ განხორციელებული ამ აფეთქებების შედეგად დაღუპა 15 კაცი.

ისრაელის გადაწყვეტილებამ ნეგატიური რეაქცია გამოიწვია მთელ მსოფლიოში. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ასეთი ღონისძიება, ალბათ, ვერ შეუწყობს ხელს პრობლემის გადაჭრას და, პირიქით, კიდევ უფრო მეტ მხარდაჭერას მოუპოვებს არაფატს მთელს მსოფლიოში.

ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა მოუწოდა ისრაელს არ გაასახლოს არაფატი, რადგან პალესტინელთა ლიდერი ასრულებს მნიშვნელოვან როლს ახლო აღმოსავლეთის სამშვიდობო პროცესში.

ამ საკითხის თაობაზე შეშფოთება ევროკავშირმაც გამოთქვა.

როგორც რამალაჰიდან იტყობინებიან, ისრაელის კაბინეტის მიერ მიღებული ასეთი გადაწყვეტილების პასუხად, სხვადასხვა ასაკის პალესტინელები შეიკრიბნენ არაფატის რეზიდენციასთან, ისინი დროშებს აფრიალებდნენ, გაიძახოდნენ არაფატის მხარდამჭერ ლოზუნგებს, გმობდნენ ისრაელის პრემიერის არიელ შარონის მოქმედებას.

არაფატი გამოჩნდა რეზიდენციის კიბეზე და მადლობა მოუხადა შეკრებილთ.

მაღალი თანამდებობის პალესტინელმა ოფიციალურმა პირებმა გააფრთხილეს ისრაელი, რომ ქვეყნის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას, შესაძლოა მოჰყვეს კატასტროფული შედეგები. მოძრაობა „ფათჰმა", რომელსაც არაფატი ხელმძღვანელობს, მოუწოდა პალესტინელებს დააწესონ საღღეღამისო მორიგეობა, რათა ყოველმხრივ დაიცვან თავიანთი ლიდერი ისრაელთა მიერ ძალის გამოყენებისაგან.

# პოლონეთის დედაქალაქში მეშახტეებმა ჩაამსხვრიეს რუსეთის საელჩოს ფანჯრის მინები

**ხუთშაბათს, ვარშავის ცენტრში, მეშახტეთა 10-ათასიანი მანიფესტაციის დროს ჩაამსხვრიეს რუსეთის საელჩოს ფანჯრის მინები.**

მეშახტეთა განრისხებული ბრბო მანიფესტაციის დასრულების შემდეგ შეჩერდა რუსეთის საელჩოს შენობის წინ და დაუშინა მას პეტარდები, ლითონის საგნები და ქვები, რის შედეგადაც ჩაიმსხვრა რამდენიმე ათეული ფანჯრის მინა. ჯერჯერობით არ არის დადგენილი, თუ რა ოდენობის ზარალი განიცადა დიპლომატიურმა მისიამ.



გარდა ამისა, ვარშავაში დააზიანეს მინისტრთა საბჭოს კანცელარიის, ეკონომიკის, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს, აგრეთვე „მემარცხენე დემოკრატთა კავშირის" პარტიის გამგეობის შენობები. განსაკუთრებით დაზიანდა ეკონომიკის, შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს შენობა. „მემარცხენე დემოკრატთა კავშირის" პარტიის გამგეობის შენობაში კი მთლიანად ჩაამსხვრიეს ქვედა სართულების ფანჯრები და რამდენიმე კარი.

ვარშავის ცენტრალური ქუჩები მოსვრილია საღებავით, სისხლითა და ნავთობით. მიმოფანტულია სპირტიანი სასმელების ბოთლები, სიგარეტის ნამწვავები, დედაქალაქის პარკებიდან ამოთხრილი ჯუჯა ხეები, კალოშები, რომლებითაც მეშახტეებმა მოიტანეს „მოლოტოვის კოქტეილი", დამწვარია ნაგვის ურნები და განადგურებულია ყვავილების კლუმბები.

ვარშაველებმა შექმნეს მოხალისეთა რაზმები ქალაქის გასუფთავებისათვის, ისინი ჩამოსულ მანიფესტანტებს „პლებეებსა და ველურებს" უწოდებენ.

მეშახტეები პროტესტს უცხადებენ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, 2004 წელს სილეზიაში, შლენსკის საევოევოდოში უნდა დაიხუროს ოთხი დიდი შახტი, სადაც დაახლოებით 6 ათასი კაცი მუშაობს.

ხუთშაბათს განხორციელებული საპროტესტო აქციის შედეგად დაშავდა ორმოცამდე პოლიციელი, რვა მათგანის მდგომარეობა მძიმეა, სამის კი — კრიტიკული. გარდა ამისა, დაშავებულია თხუთმეტამდე მეშახტეც.

მანიფესტაციების დროს ქალაქში წესრიგს მხოლოდ 1200 პოლიციელი იცავდა. პოლიციის კომენდატურამ ეს ახსნა წესრიგის დამცველთა რიცხვის სიმცირით.

როცა ვარშავას ტოვებდნენ, მეშახტეები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ლაშქრობა წარმატებული იყო და აცხადებდნენ, რომ კვლავ დაბრუნდებოდნენ დედაქალაქში.

# ბერლუსკონიმ დაიცვა მუსოლინი

„მუსოლინის არასდროს არავინ არ მოუკლავს. როგორ შეიძლება მისი შედარება სადამ ჰუსეინის რეჟიმთან! ფაშისტური რეჟიმი ხომ ასეთი სასტიკი არ ყოფილა. გადასახლებები ადამიანებისათვის შვებულებასავით იყო", — განაცხადა იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ.

ბერლუსკონის ასეთმა განცხადებებმა, რომლებიც ინგლისურმა და იტალიურმა პრესამ გამოაქვეყნა, ცხარე პოლემიკა გამოიწვია. ოპოზიციის აზრით, ეს არის „ფაშიზმის აპოლოგია".

აგვისტოში პორტო როტონდოში ჟურნალისტებთან გამართული შეხვედრის დროს ბერლუსკონი შეეხო ერაყის თემას. ჟურნალისტებმა სთხოვეს მას ერთმანეთისთვის შეედარებინა სადამ ჰუსეინი და ბენიტო მუსოლინი, რომლის რეჟიმიც, ბერლუსკონის აზრით, არ ყოფილა ისეთი სასტიკი, როგორც სადამ ჰუსეინისა.

პრემიერის ასეთი გამონათქვამი მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში მოხვდა. ზოგიერთი პოლიტიკური ძალა აცხადებდა, რომ „ბერლუსკონი არ იცნობს იტალიის ისტორიას", სხვებს კი მიაჩნდათ, რომ „ბერლუსკონიმ, ბოლოს და ბოლოს, ჩამოიხსნა ნიღაბი".

ბერლუსკონის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია იტალიის ებრაელთა თემში. მუსოლინის ზოგიერთი ბიოგრაფის აზრით, „დუჩეს" მმართველობის წლებში მოკლეს მილიონამდე კაცი — ძირითადად ლიბიაში, ეთიოპიაში, ყოფილ იუგოსლავიაში, აგრეთვე რამდენიმე ათასი იტალიელი ებრაელი.

# რა არ ხდება...

**პოლონეთის** ქალაქ პშემისლის ძველებურ კოშკში განლაგებული მუზეუმის თანამშრომლები უარს აცხადებენ ღამით მორიგეობაზე. თვითმხილველები ირწმუნებიან, რომ მუზეუმში თავისთავად ინთება და ქრება შუქი, იხსნება და იკეტება წყალსადენის ონკანები. დახურული და დალუქული კარებიდან აშკარად ისმის ადამიანების ლაპარაკი, ფეხის ხმა და იარაღის ჟღარუნი. ერთი სიტყვით, ამ ძველებურ კოშკში მოჩვენებები არიან დაბუდებული.

* * *

**ფენ-შუის** სპეციალისტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციათა სისტემა იმათთვის, ვისაც სურს სულ რაღაც სამ თვეში შეხვდეს თავისი ოცნების ქალიშვილს. ამისათვის საჭიროა მხოლოდ ჩავიცვათ... ვარდისფერი ქვედა საცვალი, აგრეთვე, მივირთვათ გველთევზა და სახლის კარზე დავკიდოთ იაპონიის სახელმწიფო დროშა.

* * *

**„ჩარლის ანგელოზები"** ჩინეთში ბრძოლას გამოუცხადებენ მოძალადე მამაკაცებს. გაუპატიურების წინააღმდეგ საბრძოლველად ჟენგჟოუს პროვინციაში ჩამოაყალიბეს 7 ქალიშვილისაგან შემდგარი სპეციალური ქვედანაყოფი. გოგონებმა წარჩინებით დაასრულეს პოლიციის აკადემია, ბრწყინვალედ ფლობენ კუნგ-ფუს და „ფანტასტიკურად ლამაზები" არიან.

* * *

**ნიუ-იორკის** სექსის მუზეუმში გაიხსნა „კეთილი რჩევების მაღაზია". როგორც გაირკვა, მეგაპოლისის მცხოვრებლები უკომპლექსონი ყოფილან მხოლოდ სახელგანთქმულ სერიალში „სექსი დიდ ქალაქში". სინამდვილეში კი, მრავალმა ნიუ-იორკელმა არ იცის, თუ როგორ გაააქტიუროს თავისი სექსუალური ცხოვრება. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად მუზეუმმა დაიქირავა კონსულტანტები და აწყობს სემინარებს.

* * *

**პარიზში** 37 ქალიშვილი დაიწყებს ბრძოლას „მის „ევროპა-2003" ტიტულის მოსაპოვებლად. წლეულს კონკურსში გამარჯვებული პრიზის სახით დაჯილდოვდება 100 ათასი ევროს ჩეკით, ავტომობილით, ბრილიანტის ყელსაბამით და მოგზაურობით გვადალუპეში. გამარჯვებულს შეამკობენ ფრანგული საოქრომჭედლო ფირმის „შოპარდის" მიერ დამზადებული გვირგვინით, რომელსაც 678 ბრილიანტი ამშვენებს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა
**ზაზა ბეჟანიძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

### საჯარო სამართლის იურიდიული პირის — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრის

## განცხადება

საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო განვითარების ასოციაციისგან მიიღო კრედიტი სოფლის მეურნეობის კვლევის, დანერგვა-კონსულტაციებისა და სწავლების პროექტისათვის და განზრახული აქვს ამ კრედიტის სახსრების ნაწილის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო კვლევის, დანერგვა-კონსულტირებისა და სწავლების პროექტის ინსტიტუციური რეფორმის კომპონენტის ფარგლებში განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მენეჯმენტის, მეცნიერებისა და მეცნიერული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გამაგრების სამუშაოების დასაფინანსებლად.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი — მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი (PCC) იწვევს საკონკურსო წინადადებებს მონაწილეობის უფლების მქონე სამშენებლო ფირმებს შემდეგი სახის სამუშაოს შესასრულებლად:

● **საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის შენობის, მეცნიერებისა და მეცნიერული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების გამაგრების სამუშაოები.**

კონკურსანტებს უნდა ჰქონდეთ მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზია. [illegible]

კონკურსში გამარჯვებული შეირჩევა მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხებისა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის (IDA) კრედიტების ფარგლებში შესყიდვები“, 1995 წლის იანვარი (გადახედილია 1996 წლის იანვარში და აგვისტოში; 1997 წლის სექტემბერში და 1999 წლის იანვარში) მითითებული პროცედურების თანახმად.

საკონკურსო დოკუმენტაციისა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე სამუშაო დღეებში 10 საათიდან 17 საათამდე.

საკონკურსო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2003 წლის 10 ოქტომბერი, 11 საათი, რის შემდეგაც საკონკურსო წინადადებები გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც მოისურვებენ დასწრებას. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება.

**მისამართი: მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით განსახორციელებელი საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების საკოორდინაციო ცენტრი — თბილისი, კოსტავას ქუჩა 41, მე-3 სართული, ოთახი 337, ტელ/ფაქსი 93-46-51; 92-20-41.**



## განცხადება

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად საქართველოს სახელმწიფო სამსახურის ბიურო აცხადებს კონკურსს ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს აპარატის მოხელეთა შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

1. მოსამართლის თანაშემწე — 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 125 ლარი).
2. სხდომის მდივანი — 2 საშტატო ერთეული (თანამდებობრივი სარგო — 100 ლარი).

***კონკურსის პირობები:***

კონკურსი სახელმწიფო თანამდებობის დასაკავებლად (შემდგომ — კონკურსი) უზრუნველყოფს სახელმწიფო სამსახურის თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასათვის;

კონკურსი ეწყობა იმ პირებს შორის, რომლებიც შეიტანენ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და დააკმაყოფილებენ საკონკურსო მოთხოვნებს;

[illegible]

***სპეციალური მოთხოვნები:***

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს პირს, [illegible] ცენტრში, ან აქვს სხდომის მდივნად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება.

კონკურსს აცხადებს ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს საკონკურსო-საატესტაციო კომისია.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა რუსთავის საქალაქო სასამართლოში წერილობით განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. ავტობიოგრაფია;
2. განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი მოწმობა;
3. [illegible]

კონკურსი მოეწყობა [illegible]

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის [illegible] ქ. რუსთავი, [illegible] ტანქალაქის ქ. № 6, ტ: 19-22-98.



## განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (მის: თბილისი, რუსთაველის გამზ. №29, საფოსტო ინდექსი 0104) აცხადებს კონკურსს ქვემოთ მითითებული პროდუქციის შესასყიდად და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**— საარჩევნო ბიულეტენის დასამზადებლად სპეციალური ქაღალდი** (მოსაწოდებელია 41 ტონა 80 გრამიანი ან 36 ტონა 70 გრამიანი ქაღალდი)

**— გამჭვირვალე საარჩევნო ყუთები** (მოსაწოდებელია 1150 ძირითადი და 1150 გადასატანი საარჩევნო ყუთი; ძირითადი საარჩვნო ყუთის ტევადობა არ უნდა იყოს 0,08 კუბურ მეტრზე ნაკლები, ხოლო გადასატანი ყუთის ტევადობა არ უნდა იყოს 0,025 კუბურ მეტრზე ნაკლები; ბიულეტენის ჩასაშვები ჭრილის ზომა — 7 მმX170 მმ)

**— მარკირების ამომცნობი დეტექტორი** (მოსაწოდებელია 3000 ცალი დეტექტორი; დეტექტორს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ფუნქცია; მისი ელემენტის სიძლავრე უნდა იყოს რაოდენობრივად არანაკლებ 2500-ჯერ დასხივების შესაძლებლობისა).

**— მარკირების ფანქარი**

(მოსაწოდებელია 10.000 ცალი მარკირების ფანქარი; მარკირების ფანქრის შესაძლებლობა — არანაკლებ 500 ამომრჩევლის მარკირება; მარკირების სითხე უნდა იყოს თვალით უხილავი და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი ქიმიური საღებავი)

**— სპეციალური კონვერტი**

(მოსაწოდებელია 3,2 მილიონი სპეციალური კონვერტი; კონვერტის ზომა — $A^6$ ფორმატის ქაღალდისათვის განკუთვნილი კონვერტი)

**— საარჩევნო ბიულეტენის დამზადება**

(სამუშაოთა მოკლე დახასიათება: ორმხრივი, პერფორაციით, 40-40 ცალად აკინძული: წინა გვერდზე — საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, საარჩევნო უბნის ნომერი — ბიულეტენის ყუასა და საკუთრივ ბიულეტენზე; სულ დასამზადებელია 6 მილიონი ბიულეტენი: $A^3$ ფორმატის — 3 მილიონი, $A^4$ და $A^5$ ფორმატის ჯამში 3 მილიონი; საარჩევნო ბიულეტენის დამზადების უფლება აქვს ზუსტი აღრიცხვის დოკუმენტაციის დაბეჭდვის ლიცენზიის მქონე გამომცემლობას).

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 20 სექტემბრამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. 29, მე-3 სართული, ოთახი №328; საკონტაქტო პირები — ნონა ესებუა (ტელ: 98-70-03) და ნოდარ ლაზარიაშვილი (ტელ.: 98-70-05).

3. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ განცხადების მე-2 პუნქტში მითითებული პირებისაგან.

**ნანა დევდარიანი,**
**კომისიის თავმჯდომარე.**


## შაბათი
### 13 სექტემბერი

08.00, 15.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ვიწრო ზღვარი"** 09.45 დოკ.სერიალი "ბუნების სამყაროში" 10.00 დილის პაემანი 11.05 მხიარული კარუსელი 11.35 მოგზაურობა სასიტყვეთში 12.05 გლობუსი 12.35 პოზიცია 13.25 კვალი 13.55 დოკ. სერიალი "არტე" 14.25 საქართველო, დრო, მოვლენები 15.15 ქართ. ფილმი **"იშვიათი ფრინველები"** 16.55 საწინდარი 17.25 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 17.40 ტელეზღაპარი "რწყილი და ჭიანჭველა" 18.00 "ვესტნიკი" 18.35 "თბილისის დროით" 19.00 ისტორიანი 20.00 მოამბე 20.35 ცაიტნოტი 21.45 პრესკრანი 22.15 ფორტუნა 22.50 პროფათეული 23.25 ამბობენ 00.05 მოამბე 00.20 მხ. ფილმი **"ფედერალური დაცვა"** 01.50 ღამის ჯაზი

19.00 მულტფილმი 19.30 ორატორი 19.40 დოკ. ფილმი 20.00 ჯანმრთელობა 20.30 დოკ. ფილმი 21.30 წარსულის ტერიტორია 22.00 მხ. ფილმი **"პოზერი და ედი"**

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 ფიფქია 09.50 ცხოველთა ომები 10.20 საბ.ფილმი "ჰერკულესის თავგადასავალი" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 დოკ. სერიალი "ველური სამყაროს ამბები" 17.40 სერიალი **"სუფთა ინგლისური მკვლელობა"** 18.00, 02.00 კურიერი 18.20 სერიალი **"სუფთა ინგლისური მკვლელობა"** 19.00 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა 19.35 დოკ. ფილმი "თანამედროვე ტექნოლოგიები" 20.05 სერიალი **"მაფია"** 21.00 **კურიერი** P.S. 22.00 საოჯახო ტოტო 23.00 **ფსიქო**. მხ.ფ. **"სახელითა მამისათა"** რეჟ: ჯიმ შერიდანი. 02.20 მხ.ფილმი **"იდეალური მსხვერპლი"**. მთ. რ-ში: კელი მაკ გილისი, ბრიუს დერნი.

08.00 ანონსი 08.05 დიალოგი 10.30 მხ. ფილმი 12.30 დოკ. ფილმი 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 17.30 მულტსერიალი "კაპიტანი სიმიანი და კოსმიური მაიმუნები" 13.30 დოკ. ფილმი 14.50, 17.20, 18.30, 21.55, 01.00 მუსიკა 15.15 მხ. ფილმი **"ანტიპოდი"** 18.00, 19.30 მულტფილმი 18.45 ბუნების ფერები 19.30 მულტფილმი 20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი 21.00 დოკ. ფილმი 23.30 მხ. ფილმი **"სიყვარული, რომელიც გიძღვის"** 02.30 მუსიკა

09.00 ქრონიკა 09.15, 12.20, 14.50, 01.20 იმედის მელოდიები 09.30 სერიალი **"იუდას ძალი"** 10.20 ანიმაციური სერიალი "სუპერმენი" 1-2ს. 10.50 მხ. ფილმი **"მამიკოები"** 12.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 22.00 ქრონიკა 13.10 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 13.40 თოქ-შოუ "არჩევანი თქვენ" 15.10 მხ. ფილმი **"იყო ერთი პოლიციელი"** 17.05 დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისათვის" 18.00 "ერთხელ ჰოლივუდში" 18.30 დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" 19.20 მხ. ფილმი **"მარტოსული გულები"** 21.05 ქართ. სერიალი **"ყავა და ლუდი"** 1-ლი ს. 22.45 საღამოს ღიმილი 23.00 კლიპ-ლოტო 23.10 ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. 1-ლი ტაიმი. 00.20 ქრონიკა 00.30 ფეხბურთი: იტალიის ჩემპიონატი. მე-2 ტაიმი.

09.00 მულტფილმი "101 დალმატინელი" 10.30 საბ. სერიალი **"ალისა საოცრებათა ქვეყანაში"** 11.30 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 დეტექტ. სერიალი **"მკაცრი დროება"** 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 18.05 სერიალი **"კამელოტის ქალები"** 19.00 ფეხბურთი. პრემიერ-ლიგა. **ჩელსი-ტოტენჰემი** 20.45 საინფ. გამოშვება "მზერა" 22.45 მხ. ფილმი **"ხმალთევზა"** 23.45 მხ. ფილმი **"ტუზსი"**

12.00 მხ. ფილმი **"ადამიანები შავებში"** 13.30 მხ. ფილმი **"სამოთხის პარკზე დაკაკუნება"** 15.00 მხ.ფილმი **"საცდელი დღე"** 17.00 მხ. ფილმი **"პატივმოყვარეობის კოცონი"** 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 19.20 მუსიკა 21.00 მხ. ფილმი **"ქალების მტერეველი"** 22.30 მხ. ფილმი **"არც ცოცხალი, არც მკვდარი"** 00.20 მხ. ფილმი **"ზინა"**

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 სალონი 13.30 ექიმი გვირჩევს 14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება 16.00 ლაბირინთი 17.00 მუსიკალური პაუზა 17.30 თქვენი ადვოკატი 18.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 20.00 თინეიჯერი 21.30 "ზერკალო" 22.00 "და ღმერთმა შექმნა ქალი" 22.30 საოცარი პირამიდა 00.30 მხ. ფილმი

08.10 მხ. ფილმი **"ზვიგენის თავდასხმა-1"** 10.00 მულტსერიალი "კონკია" 10.30 სერიალი **"პატარა აინშტაინები"** 11.00 სერიალი **"ინდიგოს მიწა"** 12.00 დოკ. ფილმი "კუდიანი ამბები" 12.25, 14.15, 15.20, 16.20, 17.50, 22.05 მუსიკა 12.40 მხ. ფილმი **"შურისძიება"** 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები 14.50 "ყვითელი კვადრატი" 15.30 სერიალი **"გამანადგურებლები"** 16.30 დოკ. სერიალი "ზღვარზე" 17.00 სერიალი **"სამოდელო სკოლა"** 18.00 მულტსერიალი "კონკია" 18.30 სერიალი **"პატარა აინშტაინები"** 19.00 "საუბრები სტუდიაში" 20.00 დოკ. სერიალი "ფაქტზე დაჭერა" მე-16ს. 21.15 სერიალი **"80 დღე დედამიწის გარშემო"** მე-2ს. 22.15 "ტელემეტრი"-გართობა, დიზაინი 22.30 გადაცემა "ოლიმპი" 22.50 მოკლ.მხ.ფილმი **"მის ამერიკული სილამაზე"** 23.20 "ცხელი ცხრიანი" 00.30 მხ. ფილმი **"1492 წელი – სამოთხის დაპყრობა"**.

## კვირა
### 14 სექტემბერი

08.00, 15.00 მოამბე 08.15 მხ. ფილმი **"ფედერალური დაცვა"** 09.45 დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" 10.00 დილის პაემანი 11.00 დიდი დასვენება 11.25 ტვ-ლოტო 12.00 სპა 12.35 მოსკოვი-თბილისი 13.05 ღამის ჯაზი 13.35 მეტრო 14.25 არათბილისური ამბები 14.40 ბენი ჰილი 15.15 საფ. სპექტაკლი "კუკარაჩა" 16.40 მულტსერიალი "კიტუ" 17.00 დოკ. ფილმი "აღმოაჩინეთ ბიზანტია" 18.00 ტაიმ-აუტი 18.20 სახსოვარი 18.50 დოკ. სერიალი "მსოფლიოს ქალაქები" 19.05 "მაცაცერა" 19.15 ჩვენი მისამართია 20.00 ტაიმ-აუტი 21.00 მუსიკალური ოქტაგონი 21.45 საქართველო არის ესე 22.15 მელომანია 22.50 ჩემი მშვენიერი ლედი 23.15 საფ. კინოდარბაზი **"გიორგი კანდელაკი"** 23.50 ტაი-აუტი 00.05 მხ. ფილმი **"ლიფტის ხელმარცხნივ"**.

19.00 მხიარული კარუსელი 19.30 ამბები ჩვენზე 20.00 საქართველოს მატიანე 20.30 დიზაინი 21.00 ტალანტები და თაყვანისმცემლები 21.45 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.00 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი **"მესანიშნავე"**.

08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.20 ფიფქია 09.50 ცხოველთა ომები 10.20 საბ.ფილმი "ჰერკულესის თავგადასავალი" 12.00, 15.00 კურიერი 12.20 სიმფსონები 12.50 მხ.ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.00 სერიალი **"სუფთა ინგლისური მკვლელობა"** 18.00, 00.00 კურიერი 18.20 სერიალი **"სუფთა ინგლისური მკვლელობა"** 18.50 მხ. ფილმი **"მისის დაუტფაიერი"** 21.00 კურიერი 21.45 ჩვენი ეზო 22.00 "ჯეილსელის კინოკლუბი" - **"ფულის სიმძიმე"** 877 45-79-25 კეტრინ მაკორმაკი, შონ პენი, **"სიყვარულის შემდეგ"** 877 45-79-26 ბერნან ჟიროდო, იზაბელ იუპერი, **"ჰოლანდიური ცათამბჯენი"** 877 45-79-27 ერიკ ჟიუდორი, რამზი ბედია. 00.10 მხ.ფილმი **"ჰენრი და ჯუნი"**. მთ. რ-ში: ფრედ უორდი, უმა თურმანი.

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.20 ალსავალი 08.30 ახალი ამბები 09.00 მხ. ფილმი **"სიყვარული, რომელიც გიძღვის"** 10.15, 21.55, 00.50 მუსიკა 10.20 მულტფილმი 12.30 გადაცემა - მურადა (განმ.) 13.00 მხ. ფილმი 15.00 ქიმერიონი 17.00 ოპერა 19.30 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი **"პინოკიო"** 22.00 ტელე-სინე-ვიდეო 23.00 მხ. ფილმი **"პლიაჟზე"** 00.50 მუსიკა

09.00 ქრონიკა 09.10, 15.10, 17.50, 01.50 იმედის მელოდიები 10.20 ანიმაციური სერიალი "სუპერმენი" 3-4 ს. 10.50 მხ. ფილმი **"მარტოსული გულები"** 12.30 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 13.00, 15.00, 17.45, 19.00, 21.00, 00.20 ქრონიკა 13.10 სერიალი **"უკიდურესი ზღვარი"** 13.40 თამაში "ბოიარის ციხესიმაგრე" 14.30 სპორტ. პროგრამა "ასი" 15.15 ქართ. ფილმი **"სინათლე ჩვენს ფანჯრებში"** 16.45 საღამოს ღიმილი 17.00 ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. "თბილისი"(თბილისი) — "დინამო"(თბილისი). 19.20 მხ. ფილმი **"კანონგარეშე"** 21.05 ქართ. სერიალი **"ყავა და ლუდი"** მე-2 ს. 22.00 **"დროება"** 23.00 "მულამები" 23.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. 01.20 "X კლუბივი"

09.00 მულტფილმი "მძინარე მზეთუნახავი" 10.15 საბ. სერიალი "ვირტუალობით შეპყრობა" 11.30 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" 12.00 ფეხბურთი მზეზე 12.30 დეტექტ. სერიალი **"მკაცრი დროება"** 13.30 დღის კინოდარბაზი 14.00, 17.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 18.00 ფეხბურთი. პრემიერ-ლიგა. **მანჩესტერ-სიტი — ასტონ ვილა** 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.30 მხ. ფილმი **"მოძრაობის ნაზის შეცვლისას"** 22.20 მხ. ფილმი **"კოკაინი"** 00.30 მზის სერენადა.

12.00 მხ. ფილმი **"ქალების მტერეველი"** 13.30 მხ. ფილმი **"არც ცოცხალი, არც მკვდარი"** 15.00 მხ. ფილმი **"ჯერი მაგუაიერი"** 17.00 მხ. ფილმი **"ბედთამაყიროველნი"** 19.00 ინდ. მხ. ფილმი **"შველა სიყვარულშია"** 22.00 მხ. ფილმი **"კარტი, ფული, ორი ლულა"** 00.10 მხ. ფილმი **"თამაში"**.

11.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 12.00 თეატრალური შეხვედრები 13.35 თბილისური ოჯახები 14.00 ძველი ინდური კინო **"უკანონო შვილი"** 16.30 დოკ. ფილმი "ფანჯარა ევროპაში" 19.00 კითხვების კორიანტელი 19.20 ცეროდენა ვარსკვლავები 20.00 შეხვედრა ვარსვლავთან 20.20 მოგზაურობა ბავშვობაში 20.40 თავისუფალი მიკროფონი 20.50 თქვენი აზრით 21.00 "კვირის ვესტი" 22.00 "იდენ-ტვ" 22.30 საოცარი პირამიდა 23.00 მხ. ფილმი **"იან ლარის შურისძიება"**

08.10 მხ. ფილმი **"ზვიგენის თავდასხმა-2"** 09.45, 11.50, 16.30, 20.00 მუსიკა 10.05 მულტსერიალი "კონკია" 10.30 სერიალი **"პატარა აინშტაინები"** 11.00 "საუბრები სტუდიაში" 12.00 "ცხელი ცხრიანი" 12.50 მხ. ფილმი **"მწვანე ფოსტა"** 14.20 "ტელემეტრი" (განმ.) 14.35 "ოლიმპი" 15.00 კონცერტი - კრის ბოტი 16.05 მულტფილმი "სასაცილო ფანი-ბანი" 16.50 დოკ. სერიალი "ქალაქი-ლუვრი—უდიდესი მუზეუმები" მე-2ნ. 18.00 მულტსერიალი "კონკია" 19.00 "ბელისიმო" 19.30 "მსოფლიო ფეხბურთი" 20.15 "ჩემი ქვეყანა" 20.40 რუს. სერიალი **"იმედის სახლი"** 1-ლი ს. 21.35 მოკლ. მხ. ფილმი **"საკუთარი მეთოდი"** 22.15 მხ. ფილმი **"დედინაცვალი"**. 00.40 მხ. ეროტ. სერიალი **"ალმასები"** მე-2 ს.

**წინ, საქართველო!**

**პირველი გვერდიდან**

# დღეს თუ არა, ხვალ მაინც...

ერთ-ერთ ლაშქრობაში ამას წინათ ცნობილი ქართველი მთამსვლელი **გია თორთლაძეც** მონაწილეობდა. „პადოშას“ (ასე ეძახიან მას სიყვარულით ახლობლები და მეგობრები) წარდგენა არ სჭირდება, მაგრამ ჩვენს მკითხველებს მაინც შევახსენებთ, რომ მის ფერხთით ორ-ორჯერ განერთხო რვაათასიანი მწვერვალები — ევერესტი და შიშა-პანგმა, თითოჯერ — დაულაგირი , ჩო-ოიუ და ლჰოცზე, ხოლო თერთმეტჯერ „შვიდათასიანები“ დანებდნენ ცნობილ მეკლდეურს.

— წლეულს მესამედ ემონაწილეობდი „მთა-ქილერზე“ მოწყობილ ექსპედიციაში, — მითხრა გია თორთლაძემ, რომელიც პაკისტანიდან დაბრუნებისთანავე რედაქციაში გვესტუმრა. — ევერესტზე პირველასვლის ნახევარსაუკუნოვანი იუბილის დღეებში საბოლოოდ შევთანხმდით ახალ ლაშქრობაზე, რომლის ორგანიზებაც პაკისტანის უდიდესმა ტურისტულმა სააგენტომ „ATP“-მ ითავა. ექსპედიციის შემადგენლობაში ჩემთან ერთად იყვნენ ორ-ორი კანადელი და პაკისტანელი, თითო — ავსტრიელი, შვეიცარიელი და ფრანგი.

საბაზო ბანაკში 5100 მეტრზე 24 დღე დავყავით. შემდეგ მეორე ბანაკი 6700 მეტრზე მოვაწყვეთ. უამინდობის მიუხედავად, რამდენიმე დღის მერე მწვერვალისკენ კიდევ 700 მეტრით წავიწიეთ, მაგრამ ჩვენმა ექსპედიციამ მეტი ვერ შეძლო — საშინელ ქარიშხალსა და თოვლში საკმაოდ დამრეცი საზვავე ფერდი უნდა გადაგვეჭრა, რაც სახიფათო იყო, ამიტომ კიდევ ხუთ ექსპედიციასთან ერთად ჩვენი გუნდიც დაიშალა. გული დამწყდა, რადგან „k-2“-ის დალაშქვრას მესამედაც უშედეგოდ ვამთავრებდი. შარშან ზაფხულს საერთაშორისო ექსპედიციის შემადგენლობაში 6700 მეტრი დავძლიე. დეკემბერ-იანვარში პოლონელებთან ერთად ვცადე ასვლა და მაშინაც დიდთოვლობის გამო 6700 მეტრს ვერ ავცდით. „მთა-ქილერთან“ რისკი უაზრობაა. შარშან და წლეულს მასთან ჭიდილში 3 კაცი დაიღუპა და რამდენიმემ მძიმე მოყინულობა მიიღო.

ყოველივეს მიუხედავად, როგორც გითხარით, გული მაინც მწყდებოდა, რომ მესამედაც ვერ ვაღწევდი მიზანს. ამ დროს ჩვენს ბანაკამდე ყაზახეთის შვიდკაციანმა ექსპედიციამ ამოაღწია. მის წევრებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი „k-2“-ზე ასვლა. მეც მათ შევუერთდი. ყველანი I საიერიშო ბანაკში დავბრუნდით. ხუთი დღის დასვენების შემდეგ კვლავ შევუტიეთ „ჩოგორს“. ძლიერი ქარი ქროდა და გადაუღებლად თოვდა. თითქმის 7800 მეტრამდე სიმაღლეს რომ მივაღწიეთ, თოვლის საფარი უკვე წელამდე გვწვდებოდა. დამრეცი საზვავე ფერდის გადაჭრა გარდაუვალ სიკვდილს ნიშნავდა, ამიტომ ვერ გავრისკეთ და პირველი საიერიშო ბანაკისკენ დავეშვით.




**— გზად ხიფათს ხომ არ გადაყრიხართ?**

— მთამსვლელისთვის რაიმე განსაკუთრებულს — არა, თუმცა ერთ საბედისწერო შემთხვევას შევესწარით. სანამ „k-2“-ისკენ ბოლო იერიშს დავიწყებდით, დილის ხუთ საათზე ქალის კივილმა გამოგვაღვიძა. შვეიცარიულ ექსპედიციაში ერთი გერმანელი ალპინისტიც მონაწილეობდა. თურმე თოკში არ ყოფილა ჩაბმული და ცისფერყინულოვანი ფერდიდან მოწყდა, დაახლოებით 150 მეტრი იფრინა და ხევში დაიღუპა. იქიდან მისი ჩამოსვენება შეუძლებელი იყო. იმ ექსპედიციის წევრებმა დაღუპული გერმანელი კარავში შეახვიეს და იქვე დატოვეს.

ერთი შემთხვევაც მინდა გიამბოთ: 1986 წელს „k-2“-ზე მარტო აპირებდა ასვლას ცნობილი იტალიელი ალპინისტი რენატო კასაროტო, რომელსაც მეუღლე პირველ საიერიშო ბანაკში ჰყავდა დატოვებული. ერთ-ერთ მონაკვეთზე იტალიელიც მოსწყდა ყინულოვან კიდეს და ნაპრალში ჩაიჩეხა. გარდაცვალებამდე მოასწრო, რაციით შეეტყობინებია ბანაკისთვის მომხდარის შესახებ. მთამსვლელებმა მას ცოცხალს კი მიუსწრეს, მაგრამ ისე იყო დამტვრეული, რომ მალევე გარდაიცვალა. მეუღლემ (როგორც ამბობენ, იგი შემდეგ ფსიქიურად დაავადდა) ეს რომ შეიტყო, არ ისურვა მკვდარი მეუღლის ხილვა. ბიჭებმა რენატო ნაპრალში დატოვეს.

მოგეხსენებათ, მყინვარი, საერთოდ, მოძრაობს, ზოგი დღე-ღამეში საშუალოდ მეტრსაც კი გადის. კასაროტო რომ ჩაასვენეს, იმ ნაპრალმაც იმოძრავა, 200 მეტრზე მეტი „გაიარა“ და იტალიელი ახლა ვიპოვეთ დასახიჩრებული (ქურთუკზე გაკეთებული წარწერით ვიცანით, თორემ თავი და ხელფეხი წაწყვეტილი ჰქონდა). პატივით მივაბარეთ მიწას.

**— სამომავლოდ რას აპირებთ?**

— იანვარში ალპების ყინულოვან მარშრუტებს მოვინახულებ, გაზაფხულზე ჰიმალაიში წავალ, ივნისის შუა რიცხვებში კი ისევ „k-2“-ის დალაშქვრას შევეცდები. ჩანაფიქრის განხორციელება, ცხადია, შეუძლებელი იქნება, თუ ვინმე ეკონომიკურად არ დამეხმარა. ამჯერად ცნობილმა ბიზნესმენმა და მეცენატმა, საქართველოს ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტმა ბადრი პატარკაციშვილმა დამაფინანსა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა ვუთხრა მას. სამომავლოდაც კეთილი ადამიანების თანადგომის იმედი მაქვს.

ესაუბრა
**ვაჟა დანელია.**

**პრესკონფერენცია**

# როცა ურემი გადაბრუნდა

**ალბანეთიდან დაბრუნებულმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა და ეროვნული ნაკრების აწ უკვე ყოფილმა თავკაცმა მერაბ ჟორდანიამ პრესკონფერენცია მოიწვია და მედიასთან დიალოგი ბოდიშის მოხდით დაიწყო: „პატივებას ვთხოვ გულშემატკივრებს, რომელთაც მოსკოვურ თამაშამდე დარჩენილ ერთ თვეში იმედი ჩავუკალით“ — განაცხადა მან.**

ჟურნალისტთა განსაკუთრებული დაინტერესება სტუმართა სათადარიგო სკამზე მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია, თუმცა კონკრეტული ინფორმაციის მოწოდებას თანამედროვე ქართული ფეხბურთის მესაჭემ ზოგადი მსჯელობა ამჯობინა: „აღნიშნულმა ინციდენტმა დაადასტურა, რომ ნაკრების ყველა წევრს არა აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს „შინდისფერი“ მაისური და ქვეყნის ღირსების დაცვის პატივი. ეს ფაქტი მთელ საფეხბურთო ოჯახს შეურაცხყოფს. ვადასტურებ, რომ საქმის გარჩევა“ გასახდელშიც გაგრძელდა, მაგრამ დეტალებში ჩაღრმავება მიზანშეუწონლად მიმაჩნია“.

ასეთი შესავლის შემდეგ საუბარი, ბუნებრივია, გუნდში არსებულ ვითარებასაც შეეხო: „მეგონა, რომ ერთკვირიანი თბილისური შეკრების შემდეგ გაუგებრობები ყველა ფეხბურთელთან ამოიწურა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, შევცდი.



ზოგიერთი იმდენსაც კი ბედავს, რომ ულტიმატუმის ენაზე განაგრძობს საუბარს — მაგალითად, თუ ძირითად შემადგენლობაში არ დამაყენებთ, ნურც გამომიძახებთ ნაკრებშიო (როგორც შევიტყვეთ, სწორედ ამიტომ არ წაჰყვა გუნდს ალბანეთში გიორგი შაშიაშვილი — გ. პ).

როგორც მთავარი მწვრთნელი, მერაბ ჟორდანია საბედისწერო შეხვედრის წმინდა სათამაშო მომენტებზეც შეჩერდა: „ვთვლი, რომ I ტაიმში ნორმალურად გამოვიყურებოდით. ყველაფერი რევაზ ქემოკლიძის მიერ მიღებული ტრავმის შემდეგ შეიცვალა — იგი იძულებით შეცვლამდე წარმატებით უწევდა პერსონალურ მეურვეობას მასპინძელთა ერთ-ერთ ლიდერს ტარეს. არ დაგიმალავთ — მართლაც გვაღელვებდა მცველთა სიმცირე (კალაძის, ხიზანეიშვილისა და შაშიაშვილის არყოფნა), მაგრამ სარეზერვო ვარიანტად რეხვიაშვილისა და ნემსაძის უკან დაწევა გვქონდა შეგულებული, რამაც ამჯერად, სამწუხაროდ, არ გაამართლა. გამოგიტყდებით, მეტოქემ ფიზიკური მომზადებითაც გვაჯობა — ეს განსაკუთრებით მეორე ტაიმზე ითქმის“.

დეკემბერში, მოგეხსენებათ, 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი რაუნდის კენჭისყრა გაიმართება, ჩვენი ნაკრები კი დამრიგებლის გარეშეა დარჩენილი. სფფ-ს შეფს არც ეს საკითხი გამორჩენია და გვაუწყა, რომ რამდენიმე კანდიდატურიდან ყველაზე ღირსეული სწორედ ახალი წლის წინა დღეებში შეირჩევა.

„ამ თაობამ ზედიზედ მეხუთე შესარჩევი ციკლი ჩააგდო, მაგრამ დარწმუნებული ვარ საიმედო ცვლა აუცილებლად გამოჩნდება. რაც შეეხება პასუხისმგებლობის ფორმის მოძებნას, ეს ჩვენი შიდასამზარეულოს საქმეა“, — დასძინა დასასრულს მერაბ ჟორდანიამ.

**გია პლატონიშვილი.**

**ძიუდო**

# ზვიადაურის იაპონური „ვერცხლი“

**იაპონიის ქალაქ ოსაკაში გრძელდება ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელშიც ქართველი ფალავნებიც მონაწილეობენ. გუშინ წარმატებას მიაღწია 22 წლის ახმეტელმა ზურაბ ზვიადაურმა, რომელმაც 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიპოვა. იგი ფინალში სამხრეთკორეელ ხი ტე ხვანთან დამარცხდა (მესამე ადგილებზე ბელარუსი კუხარენკო და ბრაზილიელი ონორატო გავიდნენ).**



**ყოველი მხრიდან**



## ოლეგ რომანცევი — უკრაინის ნაკრების სათავეში?

**ფეხბურთში უკრაინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, შესაძლებელია, გახდეს ოლეგ რომანცევი — მოსკოვის „სპარტაკის“ და რუსეთის ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, — ასეთი ცნობა გაჩნდა უეფა-ს ოფიციალურ საიტზე.**

უკრაინის ეროვნულ ფედერაციასთან ლეონიდ ბურიაკის კონტრაქტი მთავრდება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის დამთავრებისთანავე, ამ ქვეყნის ნაკრები კი, სამწუხაროდ, პორტუგალიაში, ფინალურ ჯგუფში ვერ მოხვდა.

უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის სხდომა, რომელზეც გადაწყდება ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხი, სექტემბერში უნდა გაიმართოს.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა განაცხადა, რომ ნაკრების ახალი მწვრთნელი უცხოელი იქნება.

კიევში ეჭვი არ ეპარებათ, რომ 11 ოქტომბერს მაკედონიასთან ამხანაგურ მატჩში ნაკრებს ახალი მწვრთნელი გამოიყვანს.

## დასაჯეს... დიქტორი

**ფეხბურთის ისტორიაში პირველად დისკვალიფიკაცია მოუსაჯეს... სტადიონის დიქტორს. თორმეტი წელი უხინჯ-უმწიკვლოდ იმუშავა მიკროფონთან მიუნხენის ოლიმპიური სტადიონის დიქტორმა შტეფან შნაიდერმა.** მაგრამ ამას წინათ გერმანიის ჩემპიონატზე „მიუნხენ-1860“-ისა და „შალკეს“ მატჩის (1:1) შემდეგ თავი ვეღარ შეიკავა და მთელი სტადიონის გასაგონად გამოაცხადა: „თქვენ ახლა კარგად იცით, თუ რატომ ვერ მოვახერხეთ მოგება!“ ტრიბუნები მას დაეთანხმნენ და ყურისწამლები სტვენით გააცილეს შეხვედრის მსაჯი ტორსტენ კოოპა.

## ნაკრებში — პროტექციით?

**სულ მალე დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატი ქალთა ფეხბურთში. ასპარეზობა ამერიკის შეერთებულ შტატებში სტარტს 20 სექტემბერს აიღებს, ფინალური მატჩი კი 12 ოქტომბერს გაიმართება.** რასაკვირველია, ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში მოხვედრილი ყოველი გუნდის გულშემატკივრებს აინტერესებთ, თუ ვინ დაიცავს მათი ქვეყნის ღირსებას.

თუმცა განსაკუთრებული აჟიოტაჟია ბრაზილიის ნაკრების გარშემო. ყველას აინტერესებს, შეიყვანს თუ არა გუნდში მთავარი მწვრთნელი მილენა დომინგესს — მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის — რონალდოს ცოლს.



ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი აქამდე მას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ბოლოს მაინც განაცხადა, რომ მილენა აშშ-ში გაემგზავრება.

მართალია, ნაკრების დამრიგებელს არ უნახავს, თუ როგორ თამაშობს ფეხბურთს „კიჭას“ ცოლი, მაგრამ მასზე იზრუნა ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ — უნდა წაიყვანოო, — უთხრეს მწვრთნელს, — ეს მსოფლიოში ბრაზილიური ფეხბურთის პროპაგანდისათვის ძალზე საჭიროაო.

## დაიწყო!

**ოთხშაბათს, სტამბოლის გარეუბანში საზეიმო ვითარებაში დაიწყო თურქეთში პირველი საერთაშორისო კლასის ავტოდრომის მშენებლობა.**

აქ 2005 წლის აგვისტოში უნდა გაიმართოს „ფორმულა-1“-ის მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი.

მშენებლობა, რომლის პროექტის ავტორია ცნობილი გერმანელი არქიტექტორი გერმან ტილკე, 60 მილიონი დოლარი დაჯდება. სამუშაოთა უდიდეს ნაწილს თავად თურქეთის მთავრობა აფინანსებს.

## პენალტმა შეიწირა

**ტანზანიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის მზი კერის გუნდი ძმკმ ზანზიბარში პრემიერ-ლიგის მატჩში ქვეყნის ჩემპიონს, „მლანდეგეს“ ხვდებოდა.** 25-ე წუთზე ამ უკანასკნელის კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ კერის აღზრდილმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს მისი გატანა. მწვრთნელს გული შეუღონდა. ექიმთა მცდელობამ შედეგი ვერ გამოიღო და იგი გარდაიცვალა.

**სპორტის რედაქცია**

## ალბომი

# ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



1967 წლის 28 დეკემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ჯვარის პირველი საშუალო სკოლის ეზოში გაიხსნა შინმოუსვლელი ჯარისკაცის ძეგლი. მარცხნიდან: სოციალისტური შრომის გმირი ანდრონიკე ჭანტურია, საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია და ჯვარის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ქანთარია საზეიმო მიტინგზე. ტრიბუნაზე დგას ამ ძეგლის თაოსანი, ჯვარის პირველი საშუალო სკოლის (ეს სკოლა ამჟამად მელიტონ ქანთარიას სახელს ატარებს) დირექტორი ლუდოვიკო ჭანტურია.

მოგვაწოდა ბექა ქანთარიამ.

## ღიმილის დოზა



სამი სცენარი რეალისტის, პესიმისტის და ოპტიმისტის მონაწილეობით:

1. ცოლი გაგცილდათ.
რეალისტი: ეს არის ჩემი ოჯახური ცხოვრების დასასრული.
პესიმისტი: ეს ჩემი ცხოვრების დასასრულია.
ოპტიმისტი: ეს არის ბიუჯეტის პრობლემების დასასრული.

2. თქვენ მიიღეთ წერილი, რომელშიც აღმოჩნდა თეთრი ფხვნილი.
რეალისტი: ეს არის ციმბირის წყლული, სასწრაფოდ უნდა დავრეკო უშიშროების სამსახურში.
პესიმისტი: ვაიმე! ორ დღეში მოვკვდები!
ოპტიმისტი: ტელევიზიით მაჩვენებენ.

3. დაყრუვდით.
რეალისტი: შეიძლება, ვერასოდეს ვერაფერი გავიგონო.
პესიმისტი: ვერავისთან ვერ შევძლებ ურთიერთობის დამყარებას.
ოპტიმისტი: აღარ მოვუსმენ ქართული ესტრადის „ვარსკვლავებს“.

* * *

ჯულია რობერტსს მაკიაჟი რომ ჩამობანო, ჟეჟო და სიფათი დაულილაო, იგი ჩვეულებრივი რუსი ქალი იქნება.

* * *

— მე, მაგალითად, პრეზერვატივებს არ ვხმარობ.
— რატომ?
— კლაუსტროფობია მჭირს...

* * *

არ ვარგა ის შიზოიდი, რომელიც პარანოიდობაზე არ ოცნებობს.

## განცხადება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად, დიდი საბჭოს 2003 წლის 12 სექტემბრის სხდომის გადაწყვეტილებით ცხადდება კონკურსი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დასაკავებლად.

საბუთების შემოტანის ვადაა ერთი თვე განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

განცხადება კონკურსში მონაწილეობის თაობაზე მიიღება საორგანიზაციო კომისიის სახელზე.

## გვწერენ

# დევნილთაგან ბინაწართმეულნი, მეტს ველარ მოვითმენთ!

ძვირფასო რედაქცია!

მოგმართავთ დევნილთაგან ბინაწართმეული, სიტყვიერად თუ ფიზიკურად შეურაცხყოფილი თბილისელები, საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც თავისი შრომით, სამეცნიერო, ლიტერატურული, კულტურული მოღვაწეობით გარკვეული წვლილი მიუძღვის ჩვენი ქალაქის თუ ქვეყნის აღმშენებლობისა და წინსვლის საქმეში და წლების განმავლობაში მოთმინებით ელოდება საკუთარ ჭერქვეშ შესვლას. დღეს კი, ჩვენს ბინებში დევნილები არიან მოკალათებულნი და ბინების კანონიერ მფლობელთ შანტაჟსა და მუქარასაც არ გვაკლებენ.

აფხაზეთი თითოეული ქართველის ტკივილია. ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ საქართველოს მთელი მოსახლეობა გაგებით მოეკიდა ჩვენი შვილებისთვის განკუთვნილი ბაგა-ბაღების, სკოლების, ტექნიკუმების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სასტუმროების, სამკურნალო-პროფილაქტიკური და სხვა სახის ორგანიზაცია-დაწესებულებების კუთვნილ შენობა-ნაგებობებში დევნილთა შესახლებას. მაგრამ, საკუთარი ჭერის წართმევის მცდელობა, ჭერისა, რომელსაც სახელმწიფოს დაუფინანსებლობის გამო არა და არ ეღირსა დამთავრება, ჭერისა, რომელსაც 20-30 წელიწადი ველოდებით ნახევარსარდაფებში, გარაჟებსა თუ კარვებში მცხოვრები გაჭირვებული თბილისელები, უკვე მეტისმეტია!

ჩვენი მრავალი მიმართვისა და ბინათმშენებლობის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის მიუხედავად, აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას დღემდე არანაირი კონკრეტული ნაბიჯი არ გადაუდგამს პრობლემის მოსაგვარებლად, პირიქით, მათმა ბოლოდროინდელმა სატელევიზიო გამოსვლებმა თუ საგაზეთო კომენტარებმა კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია. ჩაიშალა ჩვენი მცდელობა იმისა, რომ უკანონოდ შეჭრილები გაგვერკვია საქმის არსში და მათ მშვიდობიანად დაეტოვებინათ კორპუსი. აფხაზეთის ხელისუფლების ასეთმა უმოქმედობამ, ფაქტობრივად, წააქეზა დევნილები, შეუქმნა მათ დაუსჯელობის ილუზია და მათაც მთელი ენთუზიაზმით დაიწყეს ჩვენი ბინების სარემონტო სამუშაოები.

კითხვაზე, თუ საიდან აქვთ მათ ბინების სარემონტო ფული (მარტო მუხიანში მდებარე კორპუსის დამთავრებას 1,5 მლნ. ლარი სჭირდება), ისინი აცხადებენ, რომ გაეროს, წითელი ჯვრისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტებით არემონტებენ ჩვენს ბინებს („დილის გაზეთი“, 01.09.03).

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტები კონფლიქტების დარეგულირებას ხმარდება და ნუთუ საქართველოში ხსენებული გრანტებით სამოქალაქო დაპირისპირება ფინანსირდება?! ნუთუ, ჩვენ არ გაგვაჩნია ამ გრანტების მიზნობრივად ხარჯვის მექანიზმი?! იქნებ, ეს თანხები დევნილთა აფხაზეთში დაბრუნებას მოხმარდებოდა?! ან უკიდურეს შემთხვევაში, იქნებ, აზერბაიჯანის გამოცდილება გაგვეზიარებინა და სადმე, თბილისთან ახლოს აგვეშენებინა ქალაქი, სადაც აფხაზეთში დაბრუნებამდე კომპაქტურად ჩავასახლებდით დევნილებს.

სიტუაცია უაღრესად მწვავეა. ამის მიზეზია უკანონოდ შეჭრილთა შორის გამეფებული დაუსჯელობის, ხოლო კანონიერ ბინათმფლობელთა შორის — დაუცველობის სინდრომი. ყოველ წუთს მოსალოდნელია დაძაბულობის ახალი ესკალაცია, საქმე ფიზიკურ ანგარიშსწორებამდეა მისული, რამაც შეიძლება, დაპირისპირებულ მხარეთა პროვოცირება გამოიწვიოს და დაიწყოს უმართავი პროცესები. სიტუაციას ამწვავებს ისიც, რომ სასამართლო პროცესები უსასრულოდ ჭიანურდება მოპასუხე მხარის გამოუცხადებლობის ან ვინაობის შეცვლის გამო. მეტის მოთმენა, მართლაც, აღარ შეგვიძლია...

უღრმესი პატივისცემით:

შოთა ხოლაშნელი, თენგიზ ბაბუნია, მაყვალა ზერაძე, ზური ოტობაია, ნოდარ ონანაშვილი, დიდრო ახალაია, ანზორ არაქელოვი, ქეთევან დანელია და სხვა. სულ 60 ხელმოწერა.

**ნომრის მორიგე რედაქტორისგან:**

**დევნილთაგან შევიწროებული თბილისელების თხოვნა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, გასარკვევია, ვინ დგას ამ კრიმინალური ფაქტების უკან, ვინ აღვივებს სამოქალაქო დაპირისპირებას, საფრთხეს ვინ უქმნის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთიანობას. სად გაგონილა დევნილთა დაუსჯელობის ხარჯზე თბილისელები დაუცველნი და შეურაცხყოფილნი გავხადოთ?**

**იმედს ვიტოვებთ, რომ ამ მტკივნეული პრობლემის გადასაჭრელად, ქვეყნისა და დედაქალაქის შესაბამისი ორგანოები ეფექტიან ზომებს მიიღებენ.**

## მეცენატი

# საჩუქარიც ამას ჰქვია!

## „წმინდანთა ცხოვრების' ორტომეული — საპატრიარქოს

**დღეს „სიკეთის ქმნას“ ბევრი ჩემობს, არანაირ ტრიბუნას არ ერიდება, რომ საზოგადოება ცრუ დაპირებებით მოაღოროს და თვალში ნაცარი შეაყაროს. ეს განსაკუთრებით იმათზე ითქმის, ხელისუფლებაში მოსვლას რომ გეგმავს. ლამის ზოგიერთმა საკუთარი სრა-სასახლეების მშენებლობაც ქველმოქმედებად მიითვალოს, ხოლო საქმე საქმეზე რომ მიდგება, ხელიდან გახვრეტილ შაურიანს ვერ გააგდებინებ. მათი დევიზი მარტივია: მიზანი ამართლებს საშუალებას. სამწუხაროდ, ზოგჯერ სასურველ ეფექტსაც ახდენენ — ათასი გაჭირვებით დამძიმებული უქონელთა ერთი ნაწილი იმედს ებღაუჭება: ვთქვათ და დაპირება შეასრულოს? გაივლის მცირე დრო და მკაცრი რეალობაც არ დააყოვნებს — თურმე ყველაფერი გავლენიანი სკამის ხელში ჩასაგდებად იყო გათვლილი, თორემ, საქვეყნო საქმე არც დასიზმრებიათ!**

მაგრამ, ხომ არიან გამონაკლისებიც? — მეპაექრება შინაგანი „მე“. დიახ, არიან და თუმცა ნათქვამია, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, იმ ერთი მერცხლის ნალვაწიც კარგად ჩანს, ხოლო როცა მაგალითი არის, მიმბაძველთა მომრავლების იმედიც ჩნდება.

საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორი აკაკი ჩხაიძე საარჩევნო მარათონში არ ჩაბმულა — მას საამისოდ არ სცალია. სამაგიეროდ, მაღალ-მაღალი ტრიბუნებიდან დაპირებების დაურიგებლად აკეთებს საქვეყნო საქმეს, თუმცა, მადლობის მიგების ნაცვლად უკადრებელიც არაერთხელ გაუბედეს...

„თუ სიკეთის მქმნელი ხარ, განა თავაწეულმა არ უნდა იარო?“ ასე გვასწავლის „ბიბლია“ — სიბრძნის კიდობანი, რომელსაც კაცობრიობის საუკეთესო შვილები საუკუნეების მანძილზე დიდი რუდუნებით ავსებდნენ. უფლება არა გვაქვს, რომ ამ მცნებას არ მივყვეთ. ჩვენს გაზეთში მკითხველის არაერთი წერილი დაიბეჭდა რკინიგზის თავკაცის თანადგომის გამო მადლიერების ნიშნად. გვწერდნენ აფხაზეთიდან ლტოლვილები და მიწისძვრით დაზარალებული თბილისელები, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და რიგითი ადამიანები, სპორტსმენები და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, პენსიონერები, ვეტერანები... თუ ყველა მათგანის საერთო აზრს შევაჯერებთ, ერთ დასკვნამდე მივალთ: „სირცხვილია, ხალხო, თქვენს ღმერთს შეხედეთ! განა შეიძლება, უკეთური იყოს ადამიანი, ვისაც სხვისთვის სიკეთის ქმნა არ ეზარება?“ (პენსიონერი ირა ლექავა).

ახლა წარმოიდგინეთ, რა ტკარცალს ატეხდნენ ტრიბუნებზე გაწვართული ჩიტირეკიები, მისი ნალვაწის მეასედიც რომ ჰქონდეთ გაკეთებული! ბატონ აკაკის კი ამაზე ხმამაღლა საუბარი არ უყვარს, ხოლო რადგან წმინდა წიგნი — „ბიბლია“ გვარწმუნებს, რომ სიკეთის მქმნელმა თავაწეულმა უნდა იაროს, აკაკი ჩხაიძის ერთ კონკრეტულ ქველმოქმედებაზე მოგახსენებთ.

ამ დღეებში ბულგარეთიდან მოვიდა სოლიდური ამანათი, რომელშიც **„წმინდანთა ცხოვრების“** ორტომეულიც აღმოჩნდა. იგი მოამზადა და დაბეჭდა **ბონდო მაცაბერიძის გამომცემლობა „ბაკმმა“.** ყურადღებას იქცევს წიგნის თავფურცელზე მსხვილი შრიფტით გამოტანილი ცნობა **„ეძღვნება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II დაბადების 70 და აღსაყდრების 25 წლისთავს“.** ეძღვნება ჩვენს სულიერ მამას, ვინც საქართველოს პრეზიდენტმა ამა წლის იანვარში ქართველი ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. იქვე ერთი საყურადღებო ცნობაც არის: **„წიგნი გამოიცა ბატონი აკაკი ჩხაიძის თანადგომითა და უანგარო დახმარებით. კეთილდღეობით ცხოვრება და წარმატება მოანიჭე, უფალო, შვილთა მისთა გიორგისა და მარიამს და აკურთხე შთამომავალნი მათნი“.**





**დიაღაც, რომ ღირსეული არჩევანი გაუკეთებია ბატონ აკაკი ჩხაიძეს — დღეს საქართველოს** არა მარტო მატერიალური, არამედ სულიერი ნაკლოვანებაც ხრავს. ხოლო როცა სულიერებას საფრთხე ექმნება, ყველაფერი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება! ამერშიც და იმერშიც, მთაშიც და ბარშიც ფეხი მოიკიდეს ათასი ჯურის სექტანტებმა, რომლებიც მიზანმიმართულად, არც თუ უანგაროდ ცდილობენ ოცდაათ ვერცხლს გამოკიდებულთა მამა-პაპური სჯულიდან გადაცდენას. ეს არის გაუგონარი ღალატი ქრისტეს მცნებისა, რამაც ქართველი ერი საუკუნეების ქარტეხილებში გამოატარა და დღეს აქამომდე მოიყვანა. ამ **პროცესს წინ სწორედ ასეთი წიგნებით უნდა აღვუდგეთ, ჩვენი შვილების მომავალიც ამ წიგნებით უნდა დავიცვათ.**

წიგნის შედგენაზე დიდი ენერგია დაუხარჯავთ **დეკანოზ ზაქარია მა**ჩიტაძეს, მანანა ბუკიას და მაკა ბულიას, კომპიუტერული დიზაინი კი ბესო გოქაძეს ეკუთვნის. ბარაქალა მათ!

ორივე ტომის ფერუხვი გარეკანი გაიძულებს, რომ წიგნებს განსაკუთრებული მოწიწებით მოეპყრო. ამასვე შეგახსენებს იმავე გარეკანზე გამოტანილი შეგონებები: **„აცხონე უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევაი ჯვრითა ბარბაროსთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ: უფალო, დიდება შენდა!“ „დაამტკიცე, ღმერთო, და განაძლიერე ღვთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი. წმინდა მართლმადიდებლური სარწმუნოება და მართლმადიდებელი ქრისტიანები უკუნისამდე, ამინ!“**

„რაც უფრო მეტი წმინდანის ცხოვრებას გავიცნობთ ჩვენ, სასუფევლის დამკვიდრებისთვის თითქმის უშრომელი და უეჭველად იმსოფლად მიმავალი ქრისტიანები, მით უფრო მეტი შუამდგომელი გვეყოლება ორთავე სოფლის გამგებელი უფლის წინაშე“. — წერს წინასიტყვაობაში დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე.

1052-გვერდიანი ორივე ტომი მოგვითხრობს იმათზე, ვინც გამორჩეულად უერთგულა ქრისტეს რჯულს, ხოლო უფლის შეგონებით ერმა და ბერმა წმინდანებად შერაცხა. მათ შორის ასზე მეტი ქართველი მოღვაწეა. ზოგი მათგანი შორეული საუკუნეებიდან მოდის, ზოგიც ახლო წარსულში გამობრწყინდა. მათი ცხოვრება სამშობლოს მსახურების დიდებული მაგალითია, ამიტომ, ალბათ, მოვა დრო, როცა საგანმანათლებლო დაწესებულებები აუცილებელ საგნად მიიჩნევენ. ეს იქნება მნიშვნელოვანი ნაბიჯი განწმენდის გზაზე, რომელიც სულიერი და ზნეობრივი სრულყოფილებისკენ მიმავალმა ჩვენმა ერმა უნდა გაიაროს.

**დაბოლოს, იმასღა დავძენ, რომ ორტომეულის მთელი ტირაჟი აკაკი ჩხაიძემ საქართველოს საპატრიარქოს უსაჩუქრა.**

ელგუჯა ლებანიძე.



## ტელეკომპანია „იმედი“ გთავაზობთ

# სატელევიზიო თოქშოუ „არჩევანი — თქვენ“



**„თავისუფლება არჩევანის შესაძლებლობებით განისაზღვრება. ადამიანის ცხოვრებაც განუწყვეტელი არჩევანის გზით და ფორმით მიმდინარეობს. არჩევანს ახლავს განსჯა. განსჯას კი პასუხისმგებლობა. ეს ყოველივე ნების გამოვლინებაცაა“.**

**ჯანრი კაშია.**

არჩევანის საშუალება ყოველთვის გვაქვს, თუმცა კრიტიკულ სიტუაციებში ადვილი არჩევანი არ არსებობს, — ასეთია ყოველკვირეული თოქშოუს **„არჩევანი — თქვენ“** დედააზრი, ეს არის პირველი თოქშოუ საქართველოში, რომელიც ზნეობრივ საკითხებს ეხება. ავტორი და მასპინძელია — ფილოსოფოსი, მწერალი და ჟურნალისტი **ჯანრი კაშია,** რომელიც სტუდიაში მოწვეულ აუდიტორიას სთავაზობს ცხოვრებისეულ, მძაფრ ფსიქოლოგიურ და ზნეობრივ კოლიზიის შემცველ კინოთემას, რომელიც გმირს აუცილებელი არჩევანის წინაშე აყენებს. კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი დილემა დღევანდელობის ყველაზე მტკივნეულ სოციალურ და კულტურულ პრობლემებს ეხმიანება. სწორედ ეს თემატური კოლიზია ხდება ის საბაბი, რომელიც საინტერესო მსჯელობას, ცხარე კამათსა და დაძაბულ დისკუსიას იწვევს სტუდიაში, ტელემაყურებელს კი ზნეობრივ, ყოფით და ეთიკურ პრობლემებზე ფიქრისთვის განაწყობს.




ავტორი და მასპინძელი — ჯანრი კაშია.
პროგრამის ხელმძღვანელი — ქეთევან კაპანაძე.
რედაქტორი — თამარ ებრალიძე.

## საზღვარი

# ქუჩის ბიჭებს „ნორჩი მესაზღვრის“ საველე ბანაკი მოენატრათ

**როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, 1-დან 15 აგვისტომდე, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის, გენერალ-ლეიტენანტ ვალერი ჩხეიძის ინიციატივით, ახალციხის სასაზღვრო საგუშაგოზე მოეწყო „ნორჩი მესაზღვრის“ საველე ბანაკი. მასში 40-ზე მეტი მოზარდი მონაწილეობდა. მათ შორის, ქუჩის ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრის 11 აღსაზრდელიც.**

ამ დღეებში ბატონმა ვალერი ჩხეიძემ წერილი მიიღო, რომელშიც ნათქვამია:

„არასამთავრობო ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ და პირადად ჩემი სახელით უღრმეს მადლობას მოგახსენებთ იმისთვის, რომ შესაძლებლობა მიეცით ჩვენს ორგანიზაციასთან არსებულ ქუჩის ბავშვთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის ცენტრ „ბელურების“ 11 აღსაზრდელს გაეტარებინა ორი კვირა ახალციხის საგუშაგოზე.

იქ გატარებულმა დრომ და მიღებულმა გამოცდილებამ ჩვენს ბავშვებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველაფერი, საველე ბანაკში ნანახი და განცდილი, მათთვის ახალი და უჩვეულო, დაუვიწყარი იყო. ბავშვები კმაყოფილი და მადლიერი არიან ყველასი, ვინც მათთვის დრო და ძალა არ დაიშურა, ვინც მიიღო ისინი, როგორც თანასწორთა შორის თანასწორნი და ვაჟკაცური ქცევის მაგალითი უჩვენა.

ჩვენი კოლექტივი, ძირითადად, ქალებისგან შედგება, ამდენად, მოზარდი ვაჟების სრულყოფილი განვითარებისთვის ამგვარ კონტაქტებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

კიდევ ერთხელ გულწრფელ მადლობას მოგახსენებთ დახმარებისა და თანამშრომლობისათვის და ვიმედოვნებთ, რომ იგი პერსპექტიული იქნება. პატივისცემით ნ. იაშვილი (ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ პრეზიდენტი“).

**ამ ბარათით, ყველაფერია ნათქვამი, საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ეს ღონისძიება, მართლაც შთამბეჭდავი და ბავშვთათვის, მით უფრო ქუჩის ბიჭებისთვის უაღრესად საჭირო იყო.**

**ჩვენც ვიმედოვნებთ, რომ ნორჩ მესაზღვრეთა საველე ბანაკში მოზარდთა მიწვევა ტრადიციული გახდება.**

თორნიკე დანელია.

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების მინისტრის ყოფილი მოადგილე, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ირაკლი სურგულაძე

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სააქციო საზოგადოება ნავთობის ეროვნული კომპანია „საქნავთობის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება კომპანიის მენეჯმენტის განყოფილების უფროსი ინჟინრის

გივი (გია) მათეშვილის



გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ალეკო კაკულია და ნინო ბექიტაშვილი თანაუგრძნობენ ნარი, მარიკა, ქეთინო ლომთათიძეებს ძვირფასი შვილისა და ძმის

ვალერი ლომთათიძის

უდროო გარდაცვალების გამო.

საქართველოს კონტროლის პალატა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მე-3 დეპარტამენტის წამყვანი კონტროლიორი

არჩილ ტყეშელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

სს „აუდიენცია სს“-ს პარტნიორთა გადაწყვეტილებით მიმდინარეობს „აუდიენცია სს“-ს ლიკვიდაცია. ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიმართოს საზოგადოების დირექტორს მისამართზე ქ. თბილისი, ალექსიძის ქ. №3.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს სს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, ვახტანგ გელაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი
სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — sakresp@gol.ge
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.